

# პიონერი

10
1976

1976
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სსრკ ჩემი სამშობლოა



რაზმი სწავლობს ვ. ი. ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, კომუნისტური პარტიის, ლენინური კომკავშირის გმირულ ტრადიციებს, ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერული ორგანიზაციის ისტორიას.

— ეცნობა სკკპ XXV ყრილობის მასალებს, მოძმე ხალხების ძმურ ოჯახში, კომუნისტთა, ყველა საბჭოთა ადამიანის გმირული შრომით, როგორ ხორციელდება ცხოვრებაში ლენინური ანდერძი, X ხუთწლედის დიადი გეგმები.

— ყურადღებით ადევნებს თვალს ქვეყნის საშინაო მოვლენებს, რეგულარულად მართავს პოლიტინფორმაციებს, შეხვედრებს პარტიისა და კომკავშირის ვეტერანებთან, წარმოების მოწინავეებთან, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებთან.

— აქტიურად მონაწილეობს კომკავშირელთა და ახალგაზრდობის საკავშირო ლაშქრობებში რევოლუციის, საბჭოთა ხალხის საბრძოლო და შრომითი დიდების ადგილებში, ტურისტულ-სამხარეთმცოდნეო ექსპედიციაში — „სსრ კავშირი — ჩემი სამშობლოა".

— რაზმმა უნდა მიაღწიოს იმას, რომ ყოველი პიონერი სათუთად ეპყრობოდეს ისტორიულ და კულტურულ ძეგლებს, იცავდეს მშობლიურ ბუნებას, აქტიურად მონაწილეობდეს საკავშირო ოპერაციაში — „სამშობლოს მწვანე სამოსი".

## ცოდნის სამყაროში



რაზმი ნორჩ ლენინელებს უნერგავს სწავლისადმი — მთავარი პიონერული მოვალეობისადმი პასუხისმგებლობის გრძნობას, სიბეჯითეს, აჩვევს დისციპლინას, ქმნის ცოდნით გატაცების, კეთილგანწყობილების, ურთიერთმომთხოვნელობის საერთო ატმოსფეროს.

— ეხმარება მასწავლებლებს, რათა პიონერთა შორის დაინერგოს დავალების დამოუკიდებლად შესრულების ჩვევა, საკუთარი ჰორიზონტის გაფართოების, დღის რეჟიმის სწორი ორგანიზების ჩვევა.

— ზრუნავს, რათა თითოეული პიონერი მეგობრობდეს წიგნთან, გახდეს საგნობრივი ან ტექნიკური წრის წევრი, აყენებდეს ცდებს, მონაწილეობდეს საგნობრივ ოლიმპიადებში, გამოფენა-დათვალიერებებში, კონკურსებში, სასწავლო კაბინეტების მოწყობაში, სკოლისათვის თვალსაჩინოების დამზადებაში.

— აქტიურად მონაწილეობს „საბავშვო წიგნის კვირეულში", მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების კვირეულებში.

## მშვიდობა და სოლიდარობა



რაზმი პიონერებს ზრდის სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. ასწავლის, რომ შეეძლოთ საბჭოური ცხოვრების უპირატესობის დასაბუთება კაპიტალისტურთან შედარებით, გულმხურვალედ გამოეხმაურონ ქვეყანაში და ქვეყნის გარეთ მიმდინარე მოვლენებს.

— ეცნობა, თუ ჩვენი პარტია და საბჭოთა ხალხი, როგორ იბრძვიან ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის, როგორი წარმატებით ხორციელდება ცხოვრებაში მშვიდობის საბჭოთა პროგრამა, როგორ ეხმარებიან ერთმანეთს სოციალიზმის ქვეყნები.

— ცდილობს, რაც შეიძლება მეტი იცოდეს კომუნისტური და მუშათა პარტიების ბრძოლის, ახალგაზრდათა კავშირების, საზღვარგარეთის პიონერების ცხოვრების შესახებ, მონაწილეობა მიიღოს კომპანიაში — „ახალგაზრდობა ანტიიმპერიალისტური სოლიდარობის, მშვიდობისა და პროგრესისათვის".

— აქტიურად მონაწილეობს ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბების მუშაობაში, სოლიდარობის კვირეულში, მსოფლიოს დემოკრატიული ახალგაზრდობის ფედერაციასთან არსებულ საბავშვო და ახალგაზრდული ორგანიზაციის კომიტეტის ღონისძიებებში.

— თავისი წვლილი შეაქვს საკავშირო ოპერაციაში — „სოლიდარობა", ჰანოის პიონერთა სასახლის ასაშენებლად სახსრების შეგროვებაში. მსოფლიო ახალგაზრდობისა და სტუდენტების კუბის XI მსოფლიო ფესტივალის, საერთაშორისო საბავშვო ფესტივალის — „დაე, მუდამ იყოს მზე!" — მომზადებაში.

## პიონერმშენი



რაზმი პიონერებს უნერგავს შრომისადმი სიყვარულს, მშრომელი ადამიანებისადმი პატივისცემას, სწრაფვას, რათა პიონერები იყვნენ მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის ღირსეული ცვლა, შეძლებისდაგვარად შეიტანონ თავიანთი წვლილი საბჭოთა ხალხის შრომით საქმიანობაში.

— მეგობრობს შრომით კოლექტივებთან, თვალყურს ადევნებს თავისი შეფებისა და მშობლების შრომით გამარჯვებებს და ზეიმით აღნიშნავს მათ.

— საქმიანობს პიონერული მოქმედების ზონაში, აქვს თავისი შრომითი ობიექტი, მონაწილეობს სკოლის, ქუჩის, საბავშვო ბაღის, სპორტული მოედნების კეთილმოწყობასა და გამწვანებაში. აქტიურად მონაწილეობს სამკურნალო მცენარეების, სოკოს, კენკრის შეგროვებაში, ეხმარება უფროსებს მოსავლის აღებასა და პირუტყვისათვის საკვების დამზადებაში, აღვივებს პიონერებში სოციალისტური საკუთრებისადმი მომჭირნე, ყაირათიან დამოკიდებულებას;

— აქტიურად მონაწილეობს საკავშირო შრომით ოპერაციებში: „ბამს — პიონერული მატარებლები!“ „მილიონი სამშობლოს!“, „იდღეგრძელე წიგნო!“ მოძრაობაში — „კომკავშირი — სოფლის სკოლას!“

## მშვენიერების სამყაროში



რაზმი პიონერებს ასწავლის დაინახონ, იგრძნონ, შეიცნონ მშვენიერი, აღვივებს თითოეულში შემოქმედებით ნიჭს, აღწევს იმას, რომ პიონერი სამაგალითოდ იქცეოდეს შინ და გარეთ.

— აწყობს ექსკურსიებს მუზეუმებში, გამოფენებზე, სურათების გალერეებში, მართავს სპექტაკლების, კინოფილმების გასინჯვებსა და განხილვებს, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებთან შეხვედრებს.

— მონაწილეობს ბავშვთა მხატვრული შემოქმედების ფესტივალებში, თეატრისა და საბავშვო ფილმების კვირეულებში.

— რაზმი სწავლობს ახალ პიონერულ სიმღერებს.

## ძლიერნი, გამბედავნი, მარდნი.



რაზმი პიონერებს ამზადებს შრომისა და სსრ კავშირის დასაცავად, იღვწის იმისათვის, რომ პიონერები რეგულარულად ასრულებდნენ დილის გამამხნევებელ ვარჯიშს, მეცადინეობდნენ ფიზკულტურასა და სპორტში; ეხმარება პიონერებს ჯანმრთელობის გაკაჟებაში, ნებისყოფის გამოწრთობაში, იღვწის იმისათვის, რომ თითოეულმა პიონერმა ჩააბაროს მშდ-ს კომპლექსის ნორმატივები; ეცნობა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გმირულ ისტორიას, მეგობრობს საბჭოთა არმიისა და ფლოტის მებრძოლებთან, მონაწილეობს „ცისკარში“. პიონერებს აბამს მილიციისა და მეხანძრეთა ნორჩ მეგობართა რაზმებში, ნორჩ ინსპექტორთა მოძრაობაში, თვალყურს ადევნებს საბჭოთა სპორტის მიღწევებს. ემზადება, რომ ახალი სპორტული მიღწევებით შეხვდეს „ოლიმპიადა-80-ს“, რომელიც ჩვენი ქვეყნის დედაქალაქ მოსკოვში გაიმართება.

— აქტიურად მონაწილეობს გაზეთების: „კომსომოლსკაია პრავდისა“ და „პიონერსკაია პრავდის“ პრიზებზე გამართულ „მშდ“-ს მრავალჭიდში, საკავშირო სპორტულ თამაშებში „იმედის სტარტები“.

## თემურელები



რაზმი პიონერებს უნერგავს ადამიანებისადმი გულისხმიერ დამოკიდებულებას, დახმარებისათვის ხელის გაწოდების ჩვევას.

— პიონერი — თემურელები მზრუნველობას და ყურადღებას იჩენენ რევოლუციისა და ომის ვეტერანებისადმი, ინვალიდებისადმი, სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისადმი, მონაწილეობენ ისტორიული მოვლენების ადგილებში მემორიალური სამახსოვროების (ობელისკები, ხეივნები, სკვერები, წყაროები და სხვ.) მოწყობაში, შეფობენ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის მებრძოლთა, სამოქალაქო და დიდი სამამულო ომის გმირების ძეგლებზე.

— ამზადებენ სამახსოვრო საჩუქრებს და დღესასწაულების დროს გადასცემენ პარტიის ვეტერანებს, რევოლუციის მონაწილეებს, ომისა და შრომის გმირებს.

— თავის მოქმედების ზონაში ზრუნავენ საშეფო საბავშვო სახლის აღსაზრდელებზე, მონაწილეობენ საბავშვო სათამაშო მოედნების მოწყობაში.

## ვარსკვლავი



რაზმი პირნათლად ასრულებს კომკავშირის დავალებას — იყოს ოქტომბრელთა კოლექტიური ხელმძღვანელი.

— აცნობს ოქტომბრელებს ვ. ი. ლენინისა და მისი თანამებრძოლების ცხოვრებასა და მოღვაწეობას, ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერული ორგანიზაციის ისტორიასა და საქმიანობას, ამზადებს მათ პიონერთა რიგებში შესასვლელად;

— ეხმარება ოქტომბრელებს სწავლაში, თავისუფალი დროის ხალისიანად და შინაარსიანად გატარებაში. ზრუნავს გახანგრძლივებული დღის ჯგუფებზე, მართავს თამაშობებს, აწყობს სათამაშო მოედნებს, იღვწის, იმისათვის, რათა ყოველი პიონერი ოქტომბრელების კარგი მეგობარი და წინამძღოლი იყოს.

— აწყობს ოქტომბრელთა კვირეულს. მონაწილეობს სოფლის დაწყებითი სკოლებისათვის გამართულ საკავშირო „მეგობრობის საშემოდგომო ლაშქრობებში“.



თენგიზ
გოგოლაძე

# მხარდამხარ

მხატვარი
ზ. ფორჩხიძე

მოთხრობა

გმირულ პროფესიას ოფიცრობას უწოდებდა და თავისი საქციელით, სიტყვა-პასუხითა და მოქმედებით სამოქალაქო ცხოვრებაშიც სამხედრო გაწვრთნილობით სულდგმულობდა. მე ეს ძალიან მომწონდა და ბოლო დროს მიბაძვაც კი დავიწყე.

რა დასამალია და, უწინ შინ ბევრჯერ რაღაც წვრილმანზე წავიჯუჯღუნებდი ხოლმე. ახლა კი იმას ვცდილობდი, ეს ავი ზნე მომეშორებინა და როგორმე ჩემი პასუხი ისეთივე ნათელი და სხარტი ყოფილიყო, როგორიც ამირან ძიასი იყო. მის ხმაში ყოველთვის მხნეობას ვგრძნობდი და არასოდეს დაუწუწუნია.

რას არ მიამბობდა თავისი საბრძოლო თავგადასავლებიდან. რა არ გარდახდენია. შიმშილი და სიცივე; რა მოსატანია, როცა სიკვდილს პირისპირ შეხვედრია. ბედის ავუგი არასოდეს უთქვამს და ყოველთვის იმას იტყოდა, ალბათ ეს ასე იყო საჭირო, ალბათ ეს ასე უნდა მომხდარიყოო.

მოდი და ამ კაცის გვერდით ნამყოფმა რამეზე იწუწუნე, რამეზე დაიჩივლე!

ოფიცერი ლევან ბერიშვილი! კარგად ჟღერს. ლეიტენანტი ბერიშვილი! კაპიტანი ბერიშვილი! მაიორი ბერიშვილი!.. როგორ უხდება ყოველ წოდებას! აბა, უფრო მაღლა წავიდეთ: გენერალი ლევან ბერიშვილი!

გამეღიმა. თვალები ამიციმციმდა და ვინაიდან თავი უკვე გენერლად წარმოვიდგინე, წელში გავსწორდი და ამირან ძიას მივუგე:

— ფიქრი არ უნდა, მე თქვენთან ვიქნები, ამირან ძია!

•

სოფელში ჩავედი თუ არა, პირდაპირ კოლმეურნეობის გარაჟისაკენ გავწიე, სადაც მამაჩემი მეგულებოდა.

— მამი, — დავიწყე მაშინვე.

ზეთიანი ხელები გაიწმინდა და შემომხედა.

— ერთ დღეს რომ გაიგო, შენი შვილი, ლევან ბერიშვილი გენერალი გახდაო, რას იზამ?

გაკვირვებით შემომხედა, წარბები შეათამაშა და შუბლზე შემახო ხელი.

— შინ წადი, დედაშენმა ცივი ტილო დაგადოს შუბლზე... დღეს ძალიან ცხელოდა, ტიალი!

მე კი შორიდან დავუწყე და აქეთ-აქეთ მთავარი სათქმელისაკენ თანდათან გადმოვიწიე.

— ეგრე გეუქვა, რა! — მხარზე წამარტყა ხელი მამაჩემმა, — გული ლამის გამისკდა, ე ბიჭი სიცხემ ხომ არ გამიგიჟა და რა გენერლობა, რის გენერლობა-მეთქი! შენ წახვალ... მერე ჩვენა, ბიჭო?

— თქვენ რა, მამი... თბილისი აქვე არ არის!

— აქვე კი არი, მაგრამა, შენ აქვე იქნები? ვიცი, რაც არის სამხედრო საქმე.

— არწივები რომ თავიანთ მართვეებს დააფრენენ, ისევ ერთ ბუდეში რჩებიან?

— არა რჩებიან, მაგრამ სახლ-კარი ვისთვის გავმართე? ეს ბუდე ხომ შენია, ბიჭო. გენერალი რომ გახდები და შენს დივიზიას გაჰყვები, ამ სახლის კარზე ხო ბალახი ამოვა! მაინც რამ გაფიქრებინა?

— რა ვიცი... მინდა კია და.

— არა, შვილოსა, მე დამშლელი არა ვარ. ურიგო საქმე რომ იყოს, წინ გადაგიდგებოდი, დაგიშლიდი კი არა, ფეხებსაც მოგამტვრევდი, მაგრამ რა მეთქმის! დაგიშალო, რად დაგიშალო, რა საბუთითა? არ დაგიშალო და... იქნებ შენ თვითონ შემოაბრუნო ეგ შენი ფიქრი? ყოჩაღი ბიჭები სოფელსაც სჭირდებიან, შვილოსა. მაგრამ ვის რა დავაბრალო, მე თვითონ მოგამზადე სამხედროსთვის, სროლა გასწავლე, ცხენი გიყიდე...

მამაჩემი ისეთი სიამაყით მიყურებდა, ვგრძნობდი, ფიქრით დროს უსწრებდა და თავის შვილს ჭაბუკ ლევანს კი არ ხედავდა, დავაჟკაცებულს უყურებდა და გული ხალისით ევსებოდა. ამ სიხარულს აშკარად ვხედავდი მის თვალებში.

•

პელო დიდედა თვეში ერთხელ თბილისში რომ არ წასულიყო რამის გასაყიდად, არ შეიძლებოდა. შეჩვეული იყო. უწინ შინაურები უშლიდნენ, ნუ დადიხარ, ისე არ გვიჭირს, რომ თბილისში მიათრევ კალათებსო. მაგრამ კაცია და გუნება. აითრევდა ორ კალათას და გაუდგებოდა გზას. ღამით მოკეთესთან რჩებოდა თბილისში, დილაადრიან თავისი კალათებით მიადგებოდა ბაზარს. დახლზე გაშლიდა ბაღისა თუ ბოსტნის ნაყოფს, იდგა მთელ დღეს ფეხზე და ერთობოდა საღამომდე, სანამ ბაზრის დარაჯები სასტვენის ჭყვიტინით არ გაყრიდნენ მოვაჭრეთ. დიახ, ერთობოდა პელო დიდედა, მისი ნაამბობით ვიცოდით ეს.

იმ დღესაც, მე და მამაჩემი თბილისში რომ ავიბარგეთ, აგერ, ჩვენს ბაქანზე არ დავინახეთ! კალათებთან იდგა. იქვე წრიალებდა კაკოც. არ ვიცოდი, თავის დიდედას აცილებდა

---

გაგრძელება. იხ. „პიონერი" № 9.

თუ თბილისში მიჰყვებოდა. მაგრამ, რა შვილი იყო გაჭყოლოდა. ვინ კაკო და ბაზარი! კაცს ისევ ფილარმონიის დიდ დარბაზზე ეჭირა თვალი. ბაზარში რა შეიყვანდა!

ბლომად ხალხი მაცილებდა. ჯარში წასულებს რომ აცილებენ ხოლმე, ისე. ჩემიანები, მეზობლები, თანაკლასელი ბიჭები და გოგოები. იდგა ერთი ხორხოცი და ჟრიამული.

თამრიკო არ ჩანდა. მის სახლთან რომ გამოვიარეთ, მაშინაც ვერ მოვკარი თვალი. გული დამწყდა. ის დღეები არსად ჩანდა და ვერც ვერავის ვკითხე, სად არის-მეთქი.

ყოჩაღ, დედაჩემო! ცრემლი არ დამინახავს მის თვალებში. მერეც, მატარებელი რომ გამოჩნდა და გულში ჩამიკრა, განგებ შევხედე თვალებში. ღელავდა რომელია! მაგრამ ცრემლი არ დამანახა. რა ვიცი, იქნებ შინ რომ მივიდა, მაშინ წამოსცვივდა, მაგრამ მე ისე გამისტუმრა, როგორც გმირების დედას შეშვენის.

ყოჩაღ, დედაჩემო!

ლილი სულ ხუმრობდა, მაგრამ მერე თავი ვეღარ შეიკავა და ცრემლის ორი მსხვილი წვეთი მკერდზე დამაპნია.

ბიჭები და გოგოები დამესივნენ, გადამკოცნეს. მატარებელი ბაქანთან თვლების ღრჭიალით ჩამოდგა და ვაგონის კარი ავტომატურად გაიღო. ბაქანთან ცოტა ხნით ჩერდება მატარებელი, ამიტომ აქ ყოველთვის ჩქარობენ ამსვლელ-ჩამსვლელები.

წამსვლელები მალე შევცვივდით ვაგონში. პელო დიდედაც შემოაგდეს თავისი კალათებით. ერთი ამბით, უამრავი ხალხის ხელების ქნევით თანდათან უკან წავიდა ბაქანი, მერე გაქანდა და მიიკარგა.

მე და მამაჩემმა პელო დიდედას კალათები დავუბინავეთ და დავსხედით. პელო დიდედამ თხელი თავშალი შეისწორა და ღრმად ამოისუნთქა.

— თქვენც ქალაქში მიდიხართ, ჰა? — მიმართა მამაჩემს პელო დიდედამ.

— ქალაქში, პელო, — მიუგო მამაჩემმა.

— სამხედროში მიგყავს, არა?

— სამხედრო სკოლაში, პელო დიდედა, — მივუგე მე.

— ჰო, კაკო ამბობდა, მიდისო. ცხენს ამითვინ დააჭენებდი?

— ჰო, ამისთვის, — გავუღიმე დიდედას.

— მერე, დედაშენ-მამაშენს ეგრე სტოვებ?

— პატარები ხომ არ არიან, რომ იტირონ?! — გავიცინე ჩემდა უნებურად.

— ჰი, ელაპარაკე ამასა! — გული მოუვიდა პელო დიდედას, — თქვენც ადექით და გაუშვით, ჰა?! — ახლა მამაჩემს მიუტრიალდა.

— გავუშვით, პელო, გავუშვით.

— გაიმეტეთ, ჰა!

— გავიმეტეთ... კარგი საქმისათვის.

— იი! — თავი გააქნია პელო დიდედამ.

მატარებელმა სვლას უმატა. პელო დიდედა ჩვენ აღარ გვიყურებდა. ვაგონში მყოფი ხალხი მოათვალიერა. ისეთი სახე მიიღო, თითქოს ძალიან ეწყინა, ოფიცერი რომ უნდა გამოვსულიყავი.

ჩვენს ბაქანს რაც უფრო ვშორდებოდით, გული უფრო და უფრო იწყდებოდა. სადღაც მიმიხაროდა, სადღაც შორეული, დიდი გზები მესახებოდა, მაგრამ უჩინარი ძაფები შინისკენ მეწეოდნენ, ასე ადვილად არ მიშვებდნენ, გულს მწყვეტდნენ. თითქოს ის უხილავი ძალა ცდილობდა ჩემი გული სოფელში დაეტოვებინა, მე კი უგულოდ გავეშვი. პელო დიდედა და მამაჩემი იქვე რომ არ მსხდარიყვნენ, უფრო მეტად დავღონდებოდი.

— ბაზარში მიდიხარ, პელო? — ჰკითხა კარგა ხნის დუმილის მერე მამაჩემმა.

— მივდივარ, მა! — მოცოცხლდა პელო დიდედა ბაზრის გახსენებაზე, თვალები ახალგაზრდული შუქით აუციმციმდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა მიგაქვს?

— ადრეული ვაშლი. კიდევ რაღაცებია, ცოტ-ცოტა.

— კაკო წამოგეყვანა, რას აკეთებს, მოგეშველებოდა!

— არავისი მოშველებაც არ მინდა, მარტოკა კარგადა ვარ ბაზარში.

— მიგიხარია ხოლმე, პელო?

— მიმიხარია, მა! ვერთობი. დაილოცნენ ქალაქელები. ისეთი სანახავები არიან, ისეთები, რომა! უკეთეს სანახაობას ვერსადა ნახავ, ბაზარი რო არი. რი ცირკი, რა ცირკი! რი თიატრი, რა თიატრი! ეგრე ვერთობი, ეგრე, რომა! ღმერთო, ააშენე და გაამრავლე ქალაქელები! დგეხარ დახლთანა და უყურებ სულ ნაირ-ნაირებსა, დიდსა და პატარასა, ლამაზსა და მახინჯსა. მიდიან და მოდიან, მიდიან და მოდიან... რა ღირს? ამდენი ღირს. არ დაუკლებო? არ დავუკლებ-მეთქი. რათ უნდა დავუკლო, ის რას მიკლებს, რო მე დავუკლო?! არ გინდა — გაიარე! სხვა მოვა და ის იყიდის. აგერ, თუ არა! დავუფასებ, არც კი შევაჭრება, ჩანთასა ხსნის და სულ ჭრაჭაჭრუჭი გაუდის იმის ფულსა. აბა, ხურდა რო არა მაქ, შვილო? ხურდაცა აქვს, და იმაზე მეტიცა... ავწონი, ჩანთაში ჩავულაგებ. აგაშენა ღმერთმაო! ისიც ააშენა ღმერთმა! მერე სხვა მოვა, ფიჰ, რა ვაშლიაო!.. განგება, განგება, განგების მადლი გაუწყრა იმას! განგება, რო დავუკლო, გაიგეთ, ხალხო. ზოგი რა ეშმაკის კერძია! მააშ, სულ მაგასა ვფიქრობ! მოგადგება კიდევ ვინმე და, დამიკელი და სულ ერთიანად წავიღებ მთელ კალათასაო. სულ მაგასა ვფიქრობდი, მააშ! გეყურებათ, ზოგი რას მეუბნება? უნდათ, რომ მალე წავიდე ბაზრიდანა... რათა ვითომაო, რა! აი, ასეთები, სულ ნაირ-ნაირები მოდიან... ღმერთო, შენ გაამრავლე ქალაქელები!

პელო დიდედამ მარტო ჩვენ კი არა, ვაგონში ბევრი გაართო.

ასე ჩავედით თბილისში.

პელო დიდედა კალათებით ტაქსში კარგად მოთავსდა და თავისი გზით გასწია, ჩვენ კი მოკეთეს მივაშურეთ, რომელიც გმირთა მოედანზე თერთმეტსართულიან სახლში ცხოვრობდა.

მეორე დღეს, დილით, გავედით ლენინის მოედანზე, სადაც ამირან ძიას უნდა შევხვედროდით. ჩვენზე ადრე მისულა. დგას და გველოდება საზაფხულო ფორმაში კოხტად გამოწყობილი. ცხრა საათზეო და, ცხრაზე მივედით. ჩვენი ხელის ჩამორთმევა და მოედნის საათმაც ცხრაჯერ დარეკა.

ტაქსში ჩავსხედით. შოფერს ამირან ძია მიუჯდა, მე და მამაჩემი უკან დავსხედით. ფართო, გრძელ ქუჩას გავყევით. ქუჩის თავში იდგა ოთხსართულიანი დიდი შენობა, რომლის ეზოსაც გარშემო დაბალი ღობე ქონდა შემოვლებული. ეზო ისეთი დიდი იყო, ჩვენი სოფლის ერთი დიდი უბანი სახლკარიან, ბაღ-ბოსტნიანად თავისუფლად მოთავსდებოდა.

დგას შენობა ყრუდ და თითქოს უპატრონოდ. კაციშვილი არა ჩანს. ტაქსი გავისტუმრეთ და, როგორც მასპინძელი, ამირან ძია წინ გაგვიძღვა. გავიარეთ მეორე სართულის გრძელი და ფართო დერეფანი და ბოლოში მივადექით კარს, სადაც სკოლის დირექტორის კაბინეტი იყო.

ამირან ძიამ კარი კი გაბედულად და შინაურულად შეაღო, მაგრამ ოთახში ერთი ნაბიჯი რომ შედგა, იკითხა, ნება მომეცითო.

— მობრძანდით, ამხანაგო მაიორო! — კაბინეტის სიღრმიდან უცებ მომესმა იპოდრომზე ნანახი კაცის ნაცნობი ხმა და გული ამიჩქროლდა.

— მარტო არა ვარ, ამხანაგო გენერალო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



— სთხოვე, მობრძანდით.

ამირან ძია ღია კართან მოგვიბრუნდა და კაბინეტში მიგვიპატიჟა. მამაჩემმა ჯერ მე შემიშვა, მერე მორიდებით შემომყვა.

საწერ მაგიდასთან, რომელსაც მეორე გრძელი, პრიალა მაგიდა ჰქონდა მიდგმული, იდგა ნაცრისფერკიტელიანი, გენერლის ბრჭყვიალა სამხრეებიანი ჭაღარა კაცი, რომელმაც დანახვისთანავე გამიღიმა, მაგიდას მოშორდა და ჩვენს შესაგებებლად წამოვიდა.

როცა მამაჩემს სასწავლებლის ჭიშკართან გამოვემშვიდობე, მაშინ ვიგრძენი, რომ იმ წუთიდან დაიწყო ის რაღაც ახალი, რაც ჯერ არ ვიცოდი, რაც ჯერ არ შემეგნო, რასაც უნდა შევგუებოდი.

მამაჩემი დაღმა დაეშვა, ქვემოთ, კახეთის გზატკეცილისაკენ დაქანებულ ქუჩაზე. მიდიოდა და ერთი აღარ მოუხედავს, თითქოს მოძულე შვილი დამტოვა სადღაც! მე კი მინდოდა, რომ მოეხედა. მიდის. ვდგევარ და ველოდები. აბა, თუ მოიხედოს! ქუჩაც ილევა, მერე მოსახვევია. იმ მოსახვევთან შედგა და მოიხედა. გამეხარდა, რომ იმედი არ გამიცრუა. მაგრამ ველარ შევნიშნე, ხელი დამიქნია თუ არა, ზურგს უკან ვიღაცამ მკაცრად დაიძახა:

— შენ, ეი!

უცებ მისკენ მივიხედე და მამაჩემი მხედველობიდან დავკარგე.

ჩემ წინ იდგა შუახანს გადაცილებული, ჯმუხი, ჭაღარა კაცი მაიორის სამხრეებით. ჭრელი, კატის თვალები ჰქონდა და შეტეხილი წარბები, რაც მეტისმეტად მკაცრ იერს აძლევდა.

გაოცებულმა შევხედე უცნობ მაიორს, ისეთი რა დავუშავე, ასე რომ მიტევს-მეთქი. მაგრამ გამოირკვა, რაშიც ყოფილა საქმე.

— ჯერ არ მოსულხარ და უკვე ქუჩისკენ გიჭირავს თვალი! — დამიცაცხანა მაიორმა, — შედი ახლავე! — მიბრძანა და ხელი სკოლის შენობისაკენ გამიქნია.

მე, პატივცემულო... — წამოვიწყე, უნდა მეთქვა, მამაჩემი გავაცილე-მეთქი, მაგრამ ვინ გაცალა რამის თქმა, უფრო მკაცრად დამიტია:

— ხმა, კრინტი! მარშ!

ისეთი კაცი ჩანდა, რომ არ დავმორჩილებოდი, ქეჩოში წამავლებდა ხელს და სასწავლებლის კარებში კატის კნუტივით შემაგდებდა.

ცივად შევიძურწე დერეფანში. მერე მაღლა ავედი მესამე სართულზე. ასე მითხრეს, მერვეკლასელები იქ არიანო.

ბიჭები მართლაც ერთ ოთახში იყვნენ შეკრებილი და არ ვიცი, რას ელოდნენ. ზოგი ერთმანეთს უბღვერდა, ჩუმად იყო და იცდიდა. ზოგს უკვე გაეჩაღებინა ნაცნობობა.

ოთახში შევედი და მივიხედ-მოვიხედე.

ფანჯარასთან წარბა ბიჭი იდგა და გამჭოლი მზერით მიყურებდა, თითქოს საგანგებოდ მე მელოდებოდა.

ერთი მსხვილი წარბი ჰქონდა, თვალებზე გადახიდული.

ჩემდა უნებურად პირდაპირ მისკენ წავედი. ისეთი მიმზიდველი და გამომწვევი სახე ჰქონდა, თვალს ვერ მოაშორებდი. გავიფიქრე, ახლო ჩავუვლი და მერე იქით, ბიჭებში შევერევი-მეთქი. მაგრამ, როგორც კი მივუახლოვდი, მაშინვე გამომელაპარაკა:

— სადაური ხარ?

— გურჯაანის რაიონიდან. — მივუგე და მისი უცნაური წარბი ერთხელ კიდევ შევათვალიერე.

— მე საგარეჯოდან ვარ. დაგა ხელი!

ხელი ხელში ჩავუკარი და ჩემი სახელი ვუთხარი. იმან თავისი მითხრა, ირაკლი ოტიაშვილი ვარო.

— ისე, სადამდე უმიზნებ მაინცა, ჰა? — მკითხა და წარბი დაბლა დაუშვა — ხიდქვეშიდან ორი ბრიალა თვალი მიყურებდა.

— ვერ მივხვდი, რას მეუბნები. — გამოვუტყდი წარბას.

— მე ეგრე ავალ რა, პოლკოვნიკობამდე. შინიდან ეგ-

რე დამაბარეს, ძალიან მაღლა და შორს ნუ გაუტევ, შინაც დროზე დაბრუნდებიო.

შევატყე, რომ ხუმრობდა და გამეცინა. მასაც ალალად გაეღიმა და მხარზე ხელი მომარტყა.

— დედ-მამა გყავს? — მკითხა მერე.

— როგორ არა. ერთი დაცა მყავს, ჩემზე უფროსი.

— ჩვენებს ბევრი ვყევართ. მამაჩემმა სულ დაგვანაწილა, ზოგი უმაღლესში, ზოგი საშუალოში, ზოგი პროფტექნიკურში, ზოგი ტრაქტორზე, ზოგი ფერმაში, ზოგი სადა და ზოგიც სადა... იცი, რამდენი ვართ! მე კი პოლკოვნიკობა დამილოცა. ეგრე მითხრა, მეტი არ გინდაო. რო მომაკერონ და მომაკერონ ჩინები, რა, უარი ვუთხრა?

— რას ამბობ, უარს როგორ ეტყვი! — მეც ავყევი გულალალ ბიჭს. მასთან საუბარმა წამით გულზე შემოწოლილი ჭმუნვა გადამიყარა და იმავ წუთს დამავიწყდა ის მაიორი, ჭიშკართან რომ დამიტია და შენობაში გამწყრალმა შემომაგდო.

— ისე, გული მაინც არა გწყდება სახლ-კარზე? სულ აქ მიტრიალებს რაღაცა, წისქვილის ქვასავით! — მკერდზე მოისვა ხელი და მის მხიარულსა და მოციმციმე თვალებში წამით სევდამ დაიბუდა. მაგრამ ეს იყო წამით, რადგან, ეტყობოდა, ეს ბიჭი სევდას სულ არ ემორჩილებოდა და მის ლაღ ბუნებას ჭმუნვა არ ეკარებოდა.

— გული დამწყდა, მაგრამ... სათქმელი ველარ დავამთავრე, ის მაიორი, ჭიშკართან რომ შემომეფეთა, ღია კარებში გამოჩნდა.

— ვინ გითხრათ, აქ შეიყარეთ თავიო? — იკითხა მან და მაშინვე გვიბრძანა, პირველ სართულზე ჩავსულიყავით. რას ვიზამდით! მაშინვე პირველი სართულისაკენ გავეწიეთ. საითაც გვიბრძანებდნენ, პირი იქით უნდა გვექნა.

ბიჭებში ზოგი არხეინი ჩანდა, ზოგს სახე ჩამოსტიროდა. ერთს სულ ცრემლი ადგებოდა თვალებში. კიბეზე რომ ჩავდიოდით, ირაკლიმ ველარ მოითმინა, შეაჩერა ის ბიჭი და უთხრა:

— არ გინდა, შვილოსა? ეგე კარები, გასწი და წადი!..

ლამაზმა ბიჭმა, გოგოსავით სუფთა სახე რომ ჰქონდა, ალმაცერად შემოგვხედა ორივეს. არ ვიცი, გაუკვირდა თუ შეცბა ირაკლის სიტყვების გამო, ენაჩავარდნილი მოგვაჩერდა.

— აბა, რა ოფიცერი გამოვა შენგან! — არ დაინდო ირაკლიმ, — აქა, შვილოსა, მექისეების კურსები არ არის... ოფიცერ, ზნაეშ, კტო ტაკოი ოფიცერ? ოფიცერ ეტო პერვოკლასნი მუშჩინა!

ამ სიტყვებზე კი გაეღიმა ბიჭს და ცრემლი უფრო მეტად გაუბრწყინდა თვალში. რა ვიცი, იქნებ ცრემლიც არ იყო და ასეთი ციმციმა თვალის კაკლები ჰქონდა.

— დაგა ხელი! რას გეძახიან?

ირაკლიმ ხელი გაუწოდა. ბიჭმა ჩამოართვა და თავისი სახელი უთხრა, ლადო მქვიაო.

— გვარიცა, ბარემ...

— გუნცაძე.

— მე ირაკლი ოტიაშვილი ვარ, ეს კიდევ ლევან ბერიშვილია. თუ რამ გაგიჭირდეს, აქა ვართ. გაიგე?

შენ გაიხარე, ირაკლი, ასეთი გულის ბიჭი რომ გამოდექ!

რამდენი იხუმრა, როცა შიშვლები საექიმო კომისიაზე შეგვიყვანეს, რამდენი იჭიხვინა აბანოში, გოჭებივით რომ შეგვყარეს ეს ამდენი ბიჭი ერთად.

ო, რა გემრიელად გავილღვრიჭეთ ცხელ აბანოში, ორთქლის ბურუსში ერთმანეთს რომ ვეხლებოდით!

მერე ახალთახალი ტანსაცმელი ჩაგვაცვეს. მე ვთქვი, ისეთივე სამხრეებს დაგვაკერებდნენ, ნამდვილ ჯარისკაცებს რომ აქვთ-მეთქი. მოლისფერ პერანგზე მოლისფერივე ნაჭრის უბრალო, მომჩვარული სამხრეები გვეკერა, მაგრამ ქუდი კი, ვარსკვლავზე შემოვლებული გვირგვინითა და ოქროსფერი თასმით, ოქროსფერივე ღილებით, ნამდვილი ოფიცრული იყო. დავიხურე და სარკეში ისე მოვიწონე [illegible], მორჩა, არც სწავლის გრძელი წლები მედო[illegible]ხედრო ნაწილში ხანგრძლივი სამსახური. ეს არის და ეს, ამ ქუდს დავიხურავ და მიზანიც მიღწეულია.

ძალიან მომეწონა ჩემი თავი, რაც მართალია, მართალია. ბიჭებს შევხედე და ისინიც ისე კეკლუცობდნენ სარკის წინ, თითქოს პარადზე გასასვლელად ემზადებიანო.

— პოლკოვნიკი ვარ და პოლკოვნიკი, ეგ არის და ეგა! — ჭიხვინებდა ირაკლი, — შემომხედე, ბიჭო, ლევან.

შავი პრიალა კოკარდის ქვეშ შავი წარბი ისე გასდევდა, თითქოს ქუდის ქვეშ შავი სქელი ხაზი გაუვლიათო. რაღაცნაირი, მიმზიდველი და ერთი შეხედვით საოცარი ჩანდა წარბა ბიჭი. ქუდის შავმა კოკარდამ მის წარბს თითქოს მეტი სიმძიმე მისცა.

თავს ერთი ქალი დაგვტრიალებდა, ისე გველოლიავებოდა, თითქოს ყველანი მისი შვილები ვიყავით, ყველას „გოლუბუშკას“ გვეძახდა და პირველად ირაკლის ისე შემოესმა, თითქოს იგი „გარბუშკას“ ამბობდა.

— ე რას გვეუბნება, ბიჭო! მე რა „გარბუშკა“ ვარ, შოთი პურივითა ვარ...

— გარბუშკა კი არა, გოლუბუშკაო, მტრედოო, გაიგე? — გაუსწორა ვიღაცამ. მიიხედა, ეტყობა, მისთვის ჯერ გაუცნობელი ბიჭი იყო, ხელი გაუწოდა.

— დაგა ხელი! რას გეძახიან?

— ბაგრატას.

— კურაპალატს? — ეშმაკურად შეხედა ირაკლიმ

— მინასაროვს.

— სომხებს ბევრი გენერალი და მარშალი ჰყავთ... შენც მიემატები. მე ირაკლი ოტიაშვილი ვარ, ეს კი ლევან ბერიშვილია.

მე არავისთან გამომტოვებდა. თითქმის მთელი ასეულის ბიჭები ასე გაიცნო და გამაცნო. რამდენიმე სომეხი, რუსი და აზერბაიჯანელი გვერია. ჩვენ კი, ქართველები, საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან ვიყავით. მეგრელები, გურულები, ქართლელები, კახელები, იმერლები... აჭარის შორეული მთიანი სოფლიდან სამნი იყვნენ, სამივე ერთი გვარისანი, მაგრამ ნათესავები არ იყვნენ. ჯამლეთ, ჯემალა და ფრიდონ ბოლქვაძეები. ერთმანეთს არ შორდებოდნენ, ხმას არ იღებდნენ და ჩვენი ასეულის ტალღას მიჰყვებოდნენ და მოჰყვებოდნენ. რასაკვირველია, ირაკლი ოტიაშვილი მათაც თავისებურად გაეცნო: „დაგა ხელი!“ მერე მეც წარმადგინა და ასე შეიკრა ჩვენი ნაცნობ-მეგობრობის რკალი.

ჩვენს დეიდა „გარბუშკა-გოლუბუშკას“ მარია ერქვა. ლამაზი, წარმოსადეგი ქალი იყო. ჯერჯერობით ის იყო ჩვენი ასმეთაურიც, ოცმეთაურიცა და ზემდეგიც.

მარიამ წაგვიყვანა სასადილოში, მარიამ მიგვიჩინა საწოლები. ერთმანეთის გვერდით მოვხვდით მე და ირაკლი. დიდი ოთახი იყო და ერთი კლასის ბიჭები, ასე ოცდაათამდე, ხალვათად მოვთავსდით. კოხტა საწოლი და ფუმფულა ლოგინი გვქონდა, მაგრამ სულ არ მეკარებოდა ძილი.

ჯერ დიდხანს, საერთოდ, არავის დაუძინია, არც არავინ გვიშლიდა ლაპარაკს. ირაკლის ვუამბე ამ ზაფხულს ჩვენს გენერალს როგორ შევხვდი იპოდრომზე.

— იი! — პირი დააღო და საწოლზე წამოჯდა, — მართალს ამბობ?

— მართალსა, მაშ.

— ჩვენ გენერალსა? შეხვდი მაშა? მერე, ძერე, ბიჭო?

— მერე ისა, რომ... გამოველ შეჯიბრში... — განვაგრძე და როცა ვთქვი, ჩემს შუბლვარსკვლავას ლამის ფეხი მოსტყდა-მეთქი, ირაკლი ისევ უცებ წამოჯდა და წარბი შეუთრთოლდა.

— დაგიკოჭლდა? — ლამის ცრემლი მიადგა თვალშა.

— არა, ირაკლი. გადარჩა, ეხლა გული მწყდება, რომ მივატოვე. აბა, რა ვქნათ, რა ვიცი. გული კი მეწვის, მაგრამ...

— ლამაზია?

— ძალიან ლამაზი. ისეთი ლამაზი, რომ!

— აი, დედასა! — ტაში შემოჰკრა. ვერ გავიგე, რა გაიფიქრა, ასე რად განიცადა. ისევ ბალიშზე მიდო თავი და ჭერს მიაჩერდა. მერე ისევ წამოჯდა და ბიჭებს გასძახა:

— ,,გარბუშკებო", დავიძინოთ! ჩააქრეთ სინათლე!

ბიჭებმა გაიცინეს. სინათლე იმას უნდა ჩაექრო, ვისაც კარებთან ედგა საწოლი და ელექტროჩამრთველს ადვილად მისწვდებოდა. კარებთან კი ბაგრატ მინასაროვი იწვა. მან მაშინვე შეასრულა ირაკლის სიტყვა.

ოთახში უცებ ჩამობნელდა. მალე თვალი შევაჩვიეთ. ფანჯრებში განათებული ქალაქის ათინათი აციმციმდა.

როდის-როდის ჩაცხრა ბიჭების ჩურჩულ-კურკური და სიჩუმე გამეფდა.

შინ დედაჩემი თეთრეულს რომ გამომიცვლიდა, ანდა რალაც მიზეზის გამო საწოლს შევიცვლიდი, იმ ღამეს ძალიან გვიან მეკარებოდა ძილი. აქ ხამად ვიყავი და ძილი გამიფრთხა. ეს არ იყო ჩემი ბალიში, ჩემი საბანი, ერთმანეთისათვის ჯერ უცხონი ვიყავით. ხვალ კი იქნებოდა ჩემი ბალიში, ჩემი საბანი და ალბათ ძილიც ტკბილი მექნებოდა. ალბათ ბევრი ბიჭი ჩემსავით განიცდიდა იმ პირველ ღამეს. ხმას არ იღებდა, ლოგინში კი ბორგავდა. ზოგმა ფშვინვა ამოუშვა.

როგორ გამეხარდა, როცა საიდანღაც მამლის ყივილი გავიგონე. ასე მეგონა, ქალაქში ერთი მამალიც არ იქნებოდა. ამ ზაფხულს მე და ამირან ძია სასტუმროში რომ ვიყავით, რამდენიმე ღამე ისე გავათენეთ, მამლის ერთი ყივილი არ გამიგონია. როგორ მენატრებოდა კი! იმიტომ, რომ სოფელში შეჩვეული ვიყავი. განა ერთი, განა ორი? მთელი უბნის მამლები რომ რიგ-რიგობით, მერე ერთად, მერე ისევ რიგრიგობით აყივლდებოდნენ, ზოგი ახლო, ზოგი შორს, განთიადის კონცერტი იმართებოდა.

ჰოდა, როგორ გამეხარდა, როცა აქ, სკოლა-ინტერნატში, იმ პირველსავე ღამეს რამდენიმე მამლის ყივილი გავიგონე. ქალაქის განაპირა უბანში, სადაც სოფლური ყაიდის კარმიდამოები, ბაღებში ჩაფლული სახლები ჰქონდათ, ალბათ ქათმებიც ჰყავდათ.

იყივლეს და სოფელი გამახსენეს, ჩვენი სოფლის რიჟრაჟი და განთიადი.

●

ბედი არ გინდა! გადამდგარი ოფიცრები სკოლაში ბლომად იყვნენ, ჩვენი კლასის ხელმძღვანელად, ესე იგი ოცეულის მეთაურად კი ის მაიორი დანიშნეს, ჭიშკართან რომ დამიტატანა.

მერვეკლასელები მოგვაწყო. რამდენჯერმე ჩუმად აგვიარა და ჩაგვიარა. სულ სათითაოდ შეგვათვალიერა. ირაკლი ოტიაშვილთან კარგა ხანს შეჩერდა და გაკვირვებული უყურებდა მის წარბს. ოტიაშვილი გაწვრთნილ ჯარისკაცივით გაჭიმულიყო და ჯიქურ უყურებდა მაიორს.

მაიორმა მწკრივს ჩაუარა. ახლა ჩემთან შეჩერდა. არაფერი მითხრა, ისევ გაიარა, მერე ასეულის წინ გაიჯგიმა. შეიძლება თავის დროზე კარგი მეთაურიც იყო, ჯეელობაში შვენოდა კიდეც სამხედრო ტანსაცმელი, მაგრამ ახლა, ხანშიშესულ კაცს სულ არ უხდებოდა. თუმცა იხტიბარს არ იტეხდა.

წარბებს უცნაურად ათამაშებდა. იქნებ თავის დროზე, ასე მკაცრ იერს რომ იღებდა, კიდეც აშინებდა ჯარისკაცებს. ახლა კი რაღაც სასაცილოდ ემანჭებოდა სახე.

ლამის ფხუკუნი წამსკდა. შემამჩნია, რომ გავიღიმე. თითქოს ამას ელოდა, ხრინწიანი ხმით ამოიხივლა:

— იცოდეთ, აქ მამიკოები და დედიკოები არ არიან! არც პაპიკოები და ბებიკოები! შეხედეთ თქვენს თავს და დაიხსომეთ: თქვენ ჯარისკაცები ხართ!

,,სამხედრო სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებო! [illegible] ვუსწორე გუნებაში. შეკამათებას როგორ შევბედავდი!

— იცოდეთ, რომ მე ვარ მაიორი კუნელაშვილი, ბორის ვასილის ძე, თქვენი ოცეულის მეთაური. არმიაში ათასეულს ვმეთაურობდი! — ჩაახველა, თავი დახარა, ბოლთა დასცა. და ისევ უცებ მოგვიბრუნდა, — ხვალიდან სწავლას ვიწყებთ. ვიწყებთ ზეიმით, მაგრამ იმათთვის, ვინც ცუდად ისწავლის, მწუხარებით დამთავრდება ყველაფერი — შინ გავაგდებთ! დიახ, გავაგდებთ! გასაგებია?

— გასაგებია, — შევეხმიანეთ არეულად, ხმაშეუწყობლად.

მაიორმა ყურებზე მიიფარა ხელები და თვალები დახუჭა.

— ეს რა ამბავია? ასე არ წავა საქმე! — თქვა ბოლოს მან, — ეს რა ბაზარი გამართეთ? უნდა იცოდეთ, რომ მწყობრი ეს არის ერთი შეკრული მასა, რომელსაც უნდა ჰქონდეს ერთი ხმა. უნდა გახსოვდეთ, როცა მწყობრში დგახართ, თქვენ აღარა ხართ ის, რაც იყავით მარტო, თქვენ ხართ მასის ნაწილი და არა ინდივიდი, რომელსაც შეუძლია, რაც უნდა, ის წამოიძახოს! არა, აქ დედიკოები და მამიკოები არ არიან, რომ შეუთამამდეთ. ჩემთან ეს არ გაგივათ.

ერიჰაა, ეს რა მეყურება-მეთქი, გავიფიქრე და როცა დავიშალეთ, მაშინვე მოვძებნე ამირან ძია და ყველაფერი დაწვრილებით ვუამბე.

— მაშ ასე გითხრათ, მასის ნაწილი და არა ინდივიდიო? სალდაფონი! ჩვენი არმია არის შეგნებული, განათლებული, კულტურული ადამიანების ერთობა, კოლექტივი, ძალა და არა ისეთი რამ, რომელშიც იკარგება პიროვნება.

— ნეტავი თქვენ ყოფილიყავით ჩვენი მეთაური!

— შენ მაგაზე ნუ დარდობ. ყველაფერი კარგად იქნება.

— მაიორმა გვითხრა, ხვალ სკოლას ზეიმით ვხსნით, მაგრამ ვინც ცუდად ისწავლის, მათთვის მწუხარებით დამთავრდება ყველაფერიო.

— ეგ კი სიმართლე უთქვამს. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას ვინც საშუალოზე ამთავრებს, აბა, რა განათლება მიჰყვება!.. საშუალო განათლება და ისიც საშუალოზე, ჰა და ჰა, არის და არც არის... სამოქალაქოში კიდევ შეიძლება კაცმა თავი გაიტანოს, აქ კი საშუალოზე სწავლა არ გამოდგება. არმიაში საშუალო და ცუდი მიღებული არ არის. მტერი საშუალოზე არ დაგითმობს და არ გაპატიებს. აქ ყველაფერი ზუსტი და მიზანში მოხვედრილი უნდა იყოს. ამიტომ დიდი ცოდნაა საჭირო. მაიორს სიმართლე უთქვამს. თუ ცოტა მკაცრად დაგიწყოთ, მერე რა ვუყოთ, სამხედრო საქმეს სიმკაცრე უყვარს.

— ოღონდ სამართლიანი სიმკაცრე.

— რასაკვირველია.

— კინკლაობა და განგებ წაკიდება არა.

— რასაკვირველია. რა იყო, კიდევ რამე ხომ არ მოხდა?

— იმ დღეს, მამაჩემი რომ გავაცილე, ჭიშკართან ვიდექი. მაიორ კუნელაშვილს ეგონა, სადმე მინდოდა გაპარვა. მაშ ეს განგებ წაკიდება არ არის? ისე დამიტია, რომ!

— გაუგებრობა ხდება.

— ეტყობა, ჯარისკაცებთან მკაცრი და დაუნდობელი იყო. მე დღესვე წავალ ამ სკოლიდან, რომ ვიცოდე, ასეთი ოფიცერი ვიქნები.

— ოფიცერი პირველ რიგში გულმართალი და გამჭრიახი გონების კაცი უნდა იყოს, რიგითი მებრძოლების უფროსი მეგობარი და აღმზრდელი. მისი სიმკაცრე ყვირილში და ადამიანების დასჯაში კი არ უნდა გამოჩნდეს, არამედ მომთხოვნელობაში, რომ ჯარისკაცმა თავისი საბრძოლო და პოლიტიკური ცოდნა გაიღრმავოს, შეგნებული ადამიანი იყოს, — მითხრა ამირან ძიამ.

აი, რა აზრისა იყო იგი. განა ბედნიერები არ არიან ის

ბიჭები, რომლებიც ძასთან მოხვდნენ! რა იქნებოდა, ჩვენი მეთაური ყოფილიყო! ბედი არ გინდა!

მერხებს მივუსხედით ერთნაირ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ბიჭები და თითქოს ყველას ერთად შეგვეკრა ხელ-ფეხი. დაძაბული წუთები იყო. კლასში ბუზის გაფრენას გაიგონებდა კაცი. სიმართლე გითხრათ, გაკვეთილებზე ბევრჯერ ავწრიალებულვარ, მასწავლებლის შენიშვნაც მიმიღია. ახლა კი ვზივარ და გასუსული მივჩერებივარ წაიორ კუნელაშვილს, რომელმაც პირველი გაკვეთილი ჩაგვიტარა.

გაკვეთილის ნახევარზე მეტი დისციპლინაზე საუბარს მოანდომა. და, თუ ვინმე გაიფაჩუნებდა, წარბებს შეათამაშებდა და ჭროღა თვალებს ავისმაუწყებლად გადმოგვიბრიალებდა.

კუნელაშვილმა დისციპლინაზე საუბარი რომ მოათავა, თავისი მოადგილე გამოძებნა ჩვენს შორის. მაღალი, ქერა,

— აი ახლა მე შემოვალ და მომახსენებ.

დერეფანში გავიდა და უმალ შემობრუნდა.

ბორისოვმა გვიბრძანა, ადექით, სმენაო. ერთბაშად ვერ წამოვდექით და მაიორს ეწყინა ჩვენი სიზანტე. მაგრამ აშკარად არაფერი უთქვამს, ისევ კარს მიაშურა. როგორც კი შემობრუნდა, ბორისოვმა ისევ გვიყვირა:

— ადექით, სმენა!

რამდენიმე რეპეტიციის შემდეგ მაორი კმაყოფილი დარჩა.

— ბორისოვ, დისციპლინას მიმიხედე. აქ დედიკოები და მამიკოები არ არიან და ნურავის შეუთამამდებით!

თითი რომ მუქარით გაიქნია მთელი ოცეულის, ესე იგი მთელი კლასის დასანახად, ზარმაც დაიწკრიალა.

— ბორისოვ, წამომყევი! — უბრძანა მაიორმა, როცა ჩვენ წამოვდექით.

ბორისოვი ისე წაიყვანა სამასწავლებლოში, ვერც კი მოვასწარით მიგველოცა დაწინაურება. ზარის დარეკვის წინ დაბრუნდა და მაშინვე შემოვეხვიეთ.



თბილისელი რუსი იყო. ქართული, მგონი, ბევრ ჩვენგანზე უკეთ იცოდა. ჩვენი მაიორის სეხნია იყო, გვარად ბორისოვი, მამამისსაც ბორისი ერქვა და ლექსის ერთი კარგი სტრიქონივით გამოდიოდა — ბორის ბორისოვიჩ ბორისოვ. ეს სიცოცხლით სავსე და ხალისიანი ბიჭი მაშინვე გამოარჩია კუნელაშვილმა.

— გამოდი, ბორისოვ! — უბრძანა მაიორმა, — დღეს პირველი მორიგეც შენ იქნები.

ბორისოვი მერხს მოშორდა და მაიორს მიუახლოვდა.

მაიორმა ერთხელ კიდევ შეათვალიერა თავისი თანაშემწე. ეტყობა, მოეწონა არჩევანი.

— მორიგეს ევალება მასწავლებლის შემოსვლისთანავე ოცეულს უბრძანოს ,,ადექით, სმენა!'' შემდგომ სამწყობრო ნაბიჯით წარუდგეს მასწავლებელს და მოახსენოს: ,,მეორე ასეულის მესამე ოცეული მზად არის გაკვეთილისათვის!'' გასაგებია?

— გასაგებია, ამხანაგო მაიორო.

— გავიმეოროთ! — ბრძანა მაიორმა და საკლასო ოთახის კარისკენ გაემართა. გააღო იგი და ბორისოვს მოუბრუნდა ღია კარიდან.

— პირველსავე დღეს ოცეულის მეთაურის თანაშემწეობა იმას ნიშნავს, რომ ამ სკოლიდან მარშლის ჩინით გავა ჩვენი ბორია, — იხუმრა ირაკლი ოტიაშვილმა.

ზარი დაირეკა.

კარი გაიღო თუ არა, მასწავლებელს ჯერ არც კი შემოედგა ფეხი, ბორისოვმა გვიბრძანა:

— ადექით, სმენა!

მერე სამწყობრო ნაბიჯით ეახლა დაბალსა და მელოტ კაცს, მათემატიკის მასწავლებელს, ალექსანდრე სანიკიძეს.

გვარ-სახელებით ყველა მასწავლებელს ვიცნობდით. დღიურებში გვეწერა, ვინ რას გვასწავლიდა. მაგრამ პირადად ახლა ვეცნობოდით.

ჩვენი ბორია სანიკიძის წინ გაიჭიმა და მოახსენა ის, რაც კუნელაშვილმა ასწავლა.

სანიკიძე მოგვესალმა.

ჩვენი მაიორი წელან ისე გაერთო პატაკის რეპეტიციებში, გადაავიწყდა თუ შემდეგი გაკვეთილისთვის მოიტოვა, არ შეგვახსენა, როგორ უნდა მივსალმებოდით მასწავლებელს. საშუალო სკოლაში როგორ ესალმებიან, ეს ყველამ კარგად ვიცოდით, მაგრამ აქ, სამხედრო სკოლაში როგორ უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვქცეულიყავით? ჯარისკაცები უფროსების წინაშე ხომ ,,ზდრავია ჟელაემო‘‘ — აგუგუნებენ. ეს რომ ერთხმად დაიძახო, ვარჯიში უნდა.

იმ დღეს კი ისეთი დომხალი გამოგვივიდა, კაცი ვერ გაიგებდა, ვინ ,,ზდრავია ჟელაემო‘‘, ვინ კიდევ ,,გაუმარჯოს, მასწ!‘‘ იძახდა...

სანიკიძემ ხელის დაქნევით გვანიშნა, დასხედითო და ჩვენც მოწყვეტით დავეშვით მერხებზე.

ჟურნალი რომ მაგიდაზე დადო, მასწავლებელი მოგვიბრუნდა, თვალი სათითაოდ შეგვავლო, ირაკლი ოტიაშვილის წარბს ლამის თითიც კი შეახო. უყურა, უყურა, ალბათ ირწმუნა, რომ ნამდვილი იყო, მდაო, თქვა და მერე ყველას მოგვმართა:

— ვინც თავისუფლად ლაპარაკობს რუსულად, ადექით! — ხმაში ეტყობოდა, ესეც ჯარგამოვლილი იყო. ოფიცერი თუ არა, სერჟანტი მაინც იქნებოდა.

ბიჭები წამოდგნენ.

თხუთმეტიოდე გადავთვალე.

— დასხედით! — ბრძანა მასწავლებელმა.

— წამოდექით, ვისაც საშუალოზე გაგეგებათ.

წამოვდექი, სხვებიც ადგნენ. რუსული როგორ არ ვიცოდი. სკოლაში კარგი მასწავლებელი მყავდა. წიგნებსაც ვკითხულობდი, მაგრამ თავს ენის მცოდნედ არ ვთვლიდი, რადგან სკოლა-ინტერნატში, სადაც სწავლა რუსულად გვექნებოდა, ჩემი რუსულით მაინც და მაინც ვერ მოვიწონებდი თავს. ენის საშუალო მცოდნეებში ირაკლი ოტიაშვილიც გვერია.

იყვნენ ისეთნიც, რომლებსაც არაფერი გაეგებოდათ რუსულისა. აგერ, ბოლქვაძეების სამეული მათ შორის.

— კონსტანტინე ლესელიძემაც არ იცოდა რუსული, როცა სოფლიდან წამოვიდა, — გვითხრა მასწავლებელმა, — მაგრამ შემდეგ არმიას ედგა სათავეში და უკეთესი რუსულით კაცი ვერ დაიკვეხნიდა. დიდებული კაცი იყო. მე მასთან ვმსახურობდი მეთვრამეტე არმიაში. ნოვოროსიისკი ერთად ავიღეთ. მათემატიკაც კარგად იცოდა, ჩინებულად. ოფიცერი და მათემატიკა ძმადნაფიცებივით ასე უნდა იყვნენ, აი!

მასწავლებელმა სალოკი თითები ერთმანეთს ისე მიადო, ეცადა ისე გაეთანასწორებინა, რომ არც ერთი დაეჩაგრა. მაგრამ რომელი იყო მათში ოფიცერი, რომელი მათემატიკა, ღმერთმა იცოდა!

შესვენებაზე სამასწავლებლოდან აქაქანებული ამოვარდა მაიორი.

— ბატები ხართ, ბატები! — დაგვისისინა და გვიბრძანა მერხებს მივსხდომოდით. კარი ჯახუნით მიხურა და შესვენების წუთებში სულ ,,ზდრავია ჟელაემ‘‘ გვაძახებინა. ასე რომ, ჩვენ ასე თუ ისე, გაწვრთნილნი ვხვდებოდით ისტორიის მასწავლებელს.

შემოვიდა კაფანდარა, გამხდარი, შუახნის ქალი და როგორც კი ბორისოვმა შესძახა, ადექით, სმენაო, მასწავლებელი შეკრთა, კედელს აეკრა და დამფრთხალი თვალებით მოგვაჩერდა წამომდგარ ბიჭებს.

წამს სამარისებური სიჩუმე გამეფდა. მაგრამ როცა ბორისოვმა სამწყობრო ნაბიჯით მიაშურა ისტორიის მასწავლებელს და საკმაოდ ხმამაღლა უპატაკა, ქალი შეცბა, მისალმება დაავიწყდა თუ საერთოდ საჭიროდ არ ჩათვალა, არეული ნაბიჯებით თავის მაგიდისაკენ წავიდა.

ჩვენ ფეხზე ვიდექით და ბრძანებას ველოდით, რომ დავმსხდარიყავით. მასწავლებელი გონს მოვიდა და გაკვირვებით შემოგვხედა:

— დასხედით! რად დგახართ?! — მერე უცებ მოაგონდა, რომ არ მოგვსალმებოდა, — გამარჯობათ, ბავშვებო. — თქვა შინაურულად, ხმის ოდნავი თრთოლვით. ჩვენ კი —




,,ზდრავია ჟელაემ‘‘ დავაგუგუნეთ, ისე მჭექარედ, ფანჯრებმა დაიზანზარეს.

მასწავლებელი სკამზე დაეშვა და როცა ჩვენ ერთად, შეწყობილად დავსხედით, მან გაიღიმა და გვითხრა.

— რა საჭიროა ეს ყველაფერი?.. მე ხომ სერჟანტი არა ვარ!

მეოთხე გაკვეთილი რუსული გვქონდა.

ზარი რომ დაირეკა, შემოვიდა ზორბა აღნაგობის ახალგაზრდა ქალი. ბორისოვის ბრძანებისთანავე წამოვდექით და გავიჭიმეთ. ქალი კარის მახლობლად გაჩერდა, ხელები ჩამოუშვა და როგორც მეთაურმა, ისე მოუსმინა ბორისოვს. მასწავლებლის ,,ზრდავსტვუიტეს‘‘ ,,ზდრავია ჟელაემ‘‘ მივაყოლეთ. ქალმა ესეც ამაყად მოისმინა, სამხედრო ყაიდაზე გვიბრძანა, დასხედითო. მერე სია ამოიკითხა. მანამდე კი გაგვაფრთხილა, მხოლოდ ,,ია‘‘ დაგვეძახა და სხვა არაფერი ზედმეტი. ჟურნალი რომ დახურა, მერხებს შორის ჩაიარა.

— რუსული ყველას ესმის? — იკითხა მან ჯერ რუსულად, მაშინვე გადათარგმნა ქართულად.

— აჭრელებულად, პატივცემულო მასწავლებელო! — წამოიძახა ირაკლი ოტიაშვილმა, რადგან მასწავლებელი კონკრეტულად არავის ეკითხებოდა. იკითხა საერთოდ და ამ საერთოში ყველას ოტიაშვილმა დაასწრო.

— ეს როგორ გავიგოთ, ყმაწვილო?

ირაკლი წამოდგა.

— თხუთმეტი თავისუფლად ლაპარაკობს, — მოახსენა ოტიაშვილმა სხაპასხუპით და სერიოზულად, — ათი — ისე, რა... ხუთი ბაიბურში არ არის.

აქა-იქ ბიჭებს ფხუკუნი წასკდათ. მაგრამ მასწავლებლის გაქვავებულ სახეს ღიმილის ნატამალი რომ არ მიეკარა, ფხუკუნი მალე შეწყდა.

— შენ, შენ თუ ხარ ბაიბურში? — ჰკითხა მასწავლებელმა ცივად და სახუმროდ განწყობილ ირაკლი ოტიაშვილს უცებ შეუკვეცა ფრთები.

შესვენებისას ირაკლიმ ცალკე გამიხმო და მითხრა:

— სანაძლეოს დაგიდებ, ჩვენი რუსულის მასწავლებელი მაიორ კუნელაშვილის მამიდაშვილი თუ არ იყოს!

პირველი წერილებით აივსო ჩვენი სკოლის საფოსტო ყუთი. ბლომად წერდნენ მშობლებს, და-ძმებსა და სახლ-კარს დანატრებული ბიჭები. ზოგს ისე ენატრებოდა, ლამის ბალღივით ატირებულიყო. სამივე ბოლქვაძეს გული ისე აუჩვილდა, წუწუნი დაიწყეს, ნენაი გვინდაო.

მაიორი კუნელაშვილი ისე გვექცეოდა, როგორც ნამდვილ ჯარისკაცებს.

მეტად ძნელი გამოდგა პირველი მისი გაკვეთილი ლოგინის გასწორებაში. ჯვარს გვაცვა. გავასწორებდით, საწოლებს ჩამოუვლიდა, შეათვალიერებდა და მერე პირველი საწოლიდან ბოლომდე ყველას ისე აშლიდა, ჰაერში ფრიალ-ფრიალით მიდიოდა ჩვენი საბნები. თან რაღაცას გაუგებარს ბურტყუნებდა. მერე, ასე რომ აურ-დაურევდა ყველაფერს, დადგებოდა კართან, საათს დაინიშნავდა და გვიბრძანებდა:

— გაასწორეთ საწოლები!

არ ვიცი, შეიძლება სასიკეთო იყო ასეთი ვარჯიში. მსმენია სუვოროვის ნათქვამი: „Трудно в учебе, легко на войне“, მაგრამ რა მოგახსენოთ, ომში რა მნიშვნელობა ექნებოდა, ჩემს საბანს თავში თუ ბოლოში ერთი ნაოჭი მაინც თუ ექნებოდა, არაო, ასე არ ივარგებსო, და ისევ მიფრიალებდნენ ეს ჩვენი ჭრელ-ჭრელი თხელი საბნები.

ბორის ბორისოვს რამდენჯერაც არ უნდა უბრძანონ, იმდენჯერ ხელახლა გაასწორებს საწოლს. მის გასწორებულს არა უშავს რა, მაგრამ ვინაიდან წვრთნაა, მონაწილეობა მაინც უნდა მიიღოს. ალბათ ასე გაგრძელდება მანამდე, ვიდრე ოცეულში ყველა თანაბრად, კოხტად არ გაასწორებს ლოგინს.

ირაკლი ოტიაშვილი კი ერთობოდა. მაიორი რომ საწოლებს დაერეოდა და საბნებს ააფრიალებდა, ირაკლი სიხარულით ხტოდა და ჩუმად გაიძახოდა:

— მიდი, ვანა!

არც მე მიმქონდა გულთან მაიორის ჩაჟინებული საქციელი. მაგრამ ვატყობდი, ბოლქვაძეებს ისე გაუჭირდათ, ლამის ატირდნენ. სხვა ბიჭებსაც დაეჭიმათ ძარღვები. ლადო გუნცაძეს ცრემლი უკვე ლოყაზე მოუგორავდა.

— თავი არ მოგვჭრა! — წაუსისინა ირაკლი ოტიაშვილმა და ისეთი მუჯლუგუნი წაჰკრა, ამან უფრო გაამწარა. ლადომ ჩუმად მოიწმინდა ცრემლი და ლოგინის გასწორებას შეუდგა... ვინ იცის, მერამდენედ!

მაიორისთვის ეს ამბავი პირველი არ იყო. იქნებ სწორედ ასეთი ვარჯიშია საჭირო ნებისყოფის გასაკაჟებლად, სწორედ იმისთვის, რომ ბოლქვაძესნაირთათვის უცხო არ იყოს სიძნელე და გაჭირვება. დადგება დრო და მაიორი ალბათ უფრო მეტ სიძნელეში გაგვატარებს. ლოგინის, შენი საკუთარი თბილი ლოგინის სწორება ზედიზედ, ალბათ, თაფლი და შაქარი იქნება, ყინვასა და თოვლში სანგარს რომ გაგათხრევინებს, ანდა ხოხვით გატარებს ცივ მიწაზე.

როგორა ვართ განებივრებულნი, საკუთარი თბილი ლოგინის გასწორებაც კი ჯოჯოხეთად მოგვეჩვენა!

როგორც იქნა, მოგვეშვა მაიორი.

დღეისათვის კმარაო, თქვა. ერთი კი გად[illegible] საწოლებს, შემოგვხედა ჩვენც, საწოლებთან ჩამწკრივებულ ბიჭებს, თავი გააქნია და ოთახიდან გავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეუჩვეველნი რომ ვიყავით, გვეხამუშა, თორემ მაიორის საქციელი რა ავადსახსენებელი იყო! ჩვენთან, მართლაც, იყვნენ ბიჭები, თავის დღეში ლოგინი რომ არ გაესწორებინათ. ეხამუშათ, გაუძნელდათ. მერე ასე ზედიზედ, ჩაციებითა და სწრაფად რომ ასწორებდნენ. სწრაფად და კოხტად, რაც მთავარია. ამიტომ დაჰყურებდა საათს მაიორი, ამიტომ იყო გულგაფიცხებული. და იმ უჩვეულო გაკვეთილის შემდეგ მე დავინახე სუსტი და მაგარი ბიჭები. ისე გამოირჩნენ ერთმანეთისაგან, როგორც ცა და დედამიწა. ზოგი ისე უსუსური გამოდგა, დონდლო სხეული უმალ დაეღალა და გამწარდა. ერთმა სლუკუნით თქვა, ისე შემაჯავრა ლოგინი, ამაღამ ალბათ იატაკზე დავიძინებო.

ნასადილევს გენერალმა გამომიძახა. პირველად შევკრთი, ჩემგან რა უნდა გენერალს-მეთქი. სიმხნევე მოვიკრიბე, ჩემდა უნებურად სარკეშიც ჩავიხედე. სოფლის სკოლაშიც ხომ გავდიოდით სამხედრო საქმეს. ასე თუ ისე, ვიცოდი ხელქვეითი როგორ უნდა გამოეცხადოს უფროსს.

„ამხანაგო გენერალო! მეორე ასეულის მესამე ოცეულის...“

მაგრამ ვინა ვარ მე? მოწაფე? მოწაფე ბავშვური და შეუფერებელია. ჩვენ არც ჯარისკაცები ვართ და არც კურსანტები. ვართ სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელები. „მეორე ასეულის მესამე ოცეულის აღსაზრდელი“, მაგრამ ამ სიტყვაშიც ვიგრძენი რაღაც დამამცირებელი. უკვე ვაჟკაცად მომქონდა თავი და უცებ ამ სიტყვის გამო ისევ ბავშვობისაკენ ვიხევ.

„მეორე ასეულის მესამე ოცეულის აღსაზრდელი ლევან ბერიშვილი“.

რას ვიზამთ, ალბათ ასეა საჭირო.

კიბე ჩავირბინე და გულმა ბაგაბუგს უხშირა.

სულ რამდენჯერმე შევხვდი გენერალს და არასოდეს ასე არ ავღელვებულვარ. მას არასოდეს გამოვუძახივარ და იმიტომ.

მაინც, რატომ მიბარებს? რა საქმე უნდა ჰქონდეს ჩემთან? დავაშავე რამე? გონების თვალით უცებ გადავხედე სკოლა-ინტერნატში გატარებულ ათიოდე დღეს და ვერაფერი გავიხსენე ისეთი, რაშიაც ბრალს დამდებდნენ.

გაგრძელება შემდეგ ნომერში





ᲘᲕᲐᲜᲔ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ **100** ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ

# ᲓᲘᲓᲘ ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

წლეულს ქართველი ახალგაზრდობა, მთელ ქართველ ხალხთან ერთად, აღნიშნავს თავისი დიდი მეგობრის, გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ივანე ჯავახიშვილის დაბადების ასი წლისთავს.

ივანე ჯავახიშვილი 1876 წლის 11(23). აპრილს დაიბადა. მისი მამა, ალექსანდრე ჯავახიშვილი, ერთხანს მასწავლებლად მუშაობდა თელავში, გორში, სიღნაღსა და სხვა ქალქებში. ხოლო შემდეგ თბილისში ავლაბრის სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორის მოვალეობას ასრულებდა; გადმოცემით, მეტად მშვიდობიანი, ამასთან მტკიცე ნებისყოფის მქონე და გამტანი კაცი იყო.

ივ. ჯავახიშვილის დედა სოფიო ვახვახიშვილი, ლამაზ გარეგნობასა და სიდარბაისლესთან ერთად, სათნო და ჭკვიანი ადამიანი ყოფილა.

ჯავახიშვილებს ტრადიციული ქართული ოჯახი ჰქონდათ და შვილებსაც სამშობლოსა და დედაენისადმი უსაზღვრო სიყვარულის სულისკვეთებით ზრდიდნენ.

მშობლებმა და ოჯახმა ივ. ჯავახიშვილზე უდიდესი კეთილისმყოფელი გავლენა იქონიეს — შეაყვარეს მშობელი ხალხი და სამშობლო. 9 წლის ბავშვი 1885 წელს თბილისის პროგიმნაზიაში შეიყვანეს, რომლის დამთავრების შემდეგ, 1888 წელს, გიმნაზიის მეორე კლასში მიიღეს.

სწავლის დაწყების უმალ გამომჟღავნდა ივანეს უდიდესი მიდრეკილება ისტორიის შესწავლისადმი. იგი ამ პერიოდშივე იწყებს პატარ-პატარა, საინტერესო რეფერატების წერას. მის ნაშრომებს ანდრია მოციქულის საქართველოში მოგზაურობის შესახებ და ინგლისელი ისტორიკოსის ბოკლის შესახებ ადრევე მიუქცევია ყურადღება. ივ. ჯავახიშვილს იმთავითვე გადაუწყვეტია ისტორიკოსი გამოსულიყო.

XIX საუკუნის 80-90-იან წლებში მოწინავე საზოგადოების ერთი ნაწილი ქართველი ხალხის ეროვნული შეგნების გამოღვიძებას ცდილობს კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ფართოდ გაშლით. პროგრესულად მოაზროვნე მასწავლებლები ბავშვებს რევოლუციური შინაარსის მოთხრობებსა და ლექსებს უკითხავდნენ. უკითხავდნენ ისტორიულ ამბებს, აყვარებდნენ საქართველოს ისტორიას, სამშობლოს, დედაენას, ქართულ მწერლობას. სოფლებში იმართებოდა საღამო-წარმოდგენები, რომლებიც ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ ხალხს.

ივ. ჯავახიშვილი აქტიურად ჩაება ამ საერთო საქმიანობაში და დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ეწეოდა. იგი სოფელ-სოფელ დადიოდა და იკრებდა ახალგაზრდობას, რომელთაც ჩაუდგებოდა შუაში და გატაცებით უამბობდა საქართველოს წარსულზე, აწმყოსა და მომავალ პერსპექტივებზე.

1895 წელს ივ. ჯავახიშვილმა გიმნაზია დაამთავრა და პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის ქართულ-სომხურ-ირანულ განყოფილებაზე შევიდა. მან თავისი დიდი, ენერგიული შრომით, სიბეჯითითა და ნიჭიერებით მალე მიიქცია პროფესორთა ყურადღება. მოწიწებით ეკიდება მას ქართველთა სათვისტომოც. ივ. ჯავახიშვილი შესასწავლი საგნებისადმი განსაკუთრებულ სიყვარულს ამჟღავნებს და დიდი ენერგიით შრომობს მათ დასაუფლებლად. ცოდნის გაღრმავების მიზნით, იურიდიულ ფაკულტეტზეც ისმენს ლექციებს; აქტიურად მონაწილეობს ქართველთა სათვისტომოს მუშაობაში. ქართულ სათვისტომოსთან რამდენიმე წრე არსებობდა მეცნიერების სხვადასხვა დარგის შესასწავლად. ივ. ჯავახიშვილი საქართველოს ისტორიის, მისი სულიერი, მატერიალური კულტურის შემსწავლელ წრეს ედგა სათავეში.

ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით ურთიერთობა დამყარდა სომხეთისა და აზერბაიჯანის სათვისტომოებთან და დაარსდა „ამიერკავკასიის სათვისტომო“. სწორედ ივ. ჯავახიშვილის ინიციატივა იყო პეტერბურგში „ქართული საღამოების“ გამართვა, რომელთა პროგრამა ქართული სიმღერებისა თუ ცეკვებისაგან შედგებოდა. საღამოებს თურმე მრავალრიცხოვანი მაყურებელი ესწ-

რებოდა. ფულადი შემოსავალი ღარიბი სტუდენტების სასარგებლოდ გამოიყენებოდა.

ივ. ჯავახიშვილი ყოველივე კარგს, პროგრესულს მოთავეობდა. იგი სიჭაბუკის წლებიდანვე სავსებით ჩამოყალიბებული საზოგადო მოღვაწე იყო.

1899 წელს ივ. ჯავახიშვილი ამთავრებს უნივერსიტეტს და აღმოსავლური ენების ფაკულტეტის დადგენილებით ტოვებენ უნივერსიტეტში საპროფესოროდ მოსამზადებლად... მისი მოღვაწეობა ფრთებსა შლის და მასშტაბებსა ზრდის.

მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ჰყავდა თავისი სულიერი მეუფე — პიროვნება, რომელმაც ახალი ერა დაიწყო ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში, შემოიჭრა ახალი ძალით, ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძების იდეით, რომელმაც ხმამაღლა გამოაცხადა „...ჩვენ უნდა ვსდიოთ ახალა სხვა ვარსკვლავს, ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი. ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს“... ეს იყო ილია ჭავჭავაძე, ჭეშმარიტი მამულიშვილი, ერის მედროშე. მეოცე საუკუნის დამდეგს ილიას მძიმე ტვირთმა ივანე ჯავახიშვილის მხრებზე გადაინაცვლა. ამ უკანასკნელს წილად ხვდა უაღრესად საპატიო და ამასთან მეტად რთული ხვედრი — ილია ჭავჭავაძეობა გაეწია ერისათვის.

ივ. ჯავახიშვილის დიდი ბრძოლისა და მცდელობის შედეგი იყო 1918 წელს ქართული უნივერსიტეტის დაარსება. იგი თავდაუზოგავად მოღვაწეობდა ახლადდაარსებულ უნივერსიტეტში. დიდი ამაგი დასდო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასა და საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საქმიანობას.

ივ. ჯავახიშვილის ღრმა მეცნიერული ცოდნა, დიდი ნიჭიერება და ფაქიზი გემოვნება თვალნათლივ გამოჩნდა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო გამოფენის მოწყობისას, რომელსაც იგი უშუალოდ ხელმძღვანელობდა. მეცნიერმა სამუზეუმო მუშაობის ყველა დარგის გარდაქმნა-გაუმჯობესების საქმეში თავისი დიდი წვლილი შეიტანა. იგი თავის ცოდნასა და ენერგიას არ ზოგავდა მუზეუმის ავტორიტეტის გაზრდა-ამაღლებისათვის.

ივანე ჯავახიშვილის მეტად ფართო საზოგადოებრივი მოღვაწეობა ჭეშმარიტად თვალნათელი მაგალითია სამშობლოს, ხალხის ღრმა სიყვარულით შთაგონებული მეცნიერის უანგარო საქმიანობისა, რომელსაც ღვთიური ნიჭით მომადლებული ერისკაცი თავისი ქვეყნის აღმავლობის საქმეს ახმარდა. იმ დროს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს ივ. ჯავახიშვილის მადლიანი, მაღალმოქალაქეობრივი ღვაწლის ნათელი ბეჭედი აზის.

ივ. ჯავახიშვილის მაღალი მეცნიერული პრინციპებიდან გამომდინარე ღრმა ინტერესები ფარვანასავით დასტრიალებდა ქართველი ერის ისტორიის შესწავლის საქმეს. და ამ ზოგადსა და ფრიად დიდ საქმეში მეცნიერი განსაკუთრებულად გამოჰყოფს ერის მნიშვნელოვანი ფენომენის — კულტურის საკითხებს. იგი კარგად იცნობდა ჩვენი ქვეყნისა თუ ევროპის ხელოვნებაში არსებულ შემოქმედებით მიმდინარეობებს და ამდენად მას ჰქონდა თავისი დამოკიდებულება, როგორც ყველა მოვლენისა და მეცნიერული თეორიისადმი ზოგადად, ისე კონკრეტულად ხელოვნების საკითხებისადმი. შემთხვევითი არ ყოფილა, რომ ივ. ჯავახიშვილმა დაგმო კონსტრუქტივიზმი არქიტექტურაში ჯერ კიდევ მაშინ, როცა ეს მიმდინარეობა თავის არსებობას იწყებდა; დაგმო მხატვრობაში შიშველი სიუჟეტურობა და მხარი დაუჭირა სინამდვილის ნათელ და მართებულ ფერებში ასახვას. სრულიადაც არ ყოფილა შემთხვევითი, რომ „ქართული ხელოვნების საკითხებიც, ქართული ხელოვნების წარსულის შესწავლაც, ხელშეწყობა დღევანდელი აღმავლობისათვის და მისი მომავალი ბედი ივანე ჯავახიშვილისათვის ისევე ძვირფასნი და ახლონი იყვნენ, როგორც ქართული კულტურის სხვა საკითხებიც“ (გ. ჩუბინაშვილი, „აკად. ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების პირველი წლისთავისათვის“).

ივ. ჯავახიშვილი, ქართული უნივერსიტეტის დაარსების უმალ, შეუდგა ქართული ხელოვნების ისტორიის კათედრის შექმნისათვის ზრუნვას. ეს ნაკარნახევი იყო იმ გარემოებით, რომ აღნიშნული დისციპლინის სათანადო დონეზე სწავლება მთელი რიგი ღონისძიებების გატარებას მოითხოვდა. უპირველესად საჭირო იყო კადრების მომზადებაზე ზრუნვა, თვალსაჩინო მოწყობილობათა დამზადება და სახელმძღვანელოების შექმნა-მონახვა. მატერიალური კულტურის ძეგლების შესწავლის მიზნით აუცილებელი იყო ადგილებზე კვლევაძიებითი სამუშაოების წარმოება.

ივ. ჯავახიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ძველი საქართველოსათვის მეტად მნიშვნელოვან მხატვრულ შემოქმედებას (არქიტექტურას, სკულპტურას, ოქრომჭედლობას და სხვ.) და მას ქართველი ხალხის მაღალი კულტურის; დამოუკიდებლობისა და ძლიერების მაჩვენებლად აღიარებდა. საგულისხმოა, რომ მეცნიერს ჯერ კიდევ 1913 წელს შეუმუშავებია ქართული ხელოვნების ისტორიის შედგენის სათანადო გეგმა, ხოლო 1914 წელს, როგორც ჩანს, „ქართული ხელოვნების ისტორია“ ივ. ჯავახიშვილს უკვე მზად ჰქონია.

ივ. ჯავახიშვილი მონუმენტურ მხატვრობასთან ერთად, უდიდეს ყურადღებას აქცევდა ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებს და მათი მეცნიერული შესწავლა პირველი რიგის ამოცანად მიაჩნდა. მეცნიერი თვითონ პირადად იღებდა გარკვეულ, მეტად ქმედით ზომებს ხუროთმოძღვრების ძეგლების დაცვა-შენახვის უზრუნველსაყოფად.

ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევდა, რომ კულტურის ისტორიის შესწავლა ორი მიმართულებით უნდა წარმართულიყო: წერილობითი წყაროების მიხედვით და ნივთიერი ნაშთების გათვალისწინებით. წერილობითი წყაროები, ბუნებრივია, საშუალებას იძლევიან შეივსოს ის ხარვეზები, რაც საერო ხუროთმოძღვრების ძველი ძეგლების დაღუპვით არის გამოწვეული. მეცნიერმა თავი მოუყარა ყველა მასალას, რომელიც იმ დროისათვის

არსებობდა და განიხილა ხელოვნების ძეგლების შესაბებ ქართულ მწერლობაში არსებული ცნობების შუქზე. ივ. ჯავახიშვილის მიერ გაწეულ ამგვარ შრომას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან საკითხი პრაქტიკულად შეუსწავლელი იყო და მეცნიერულ ყამირს წარმოადგენდა.

ივ. ჯავახიშვილმა განიხილა საერო და საკულტო ნაგებობათა სახეობანი და ფართო ისტორიული მასალის შეჯერების საფუძველზე დაასკვნა, რომ საქართველოში გავრცელებული იყო სხვადასხვა მასალისაგან აშენებული ნაგებობანი, არსებობდა კლდეებში გამოკვეთილი საცხოვრებელი სახლები და მთელი ქალაქებიც კი. უძველეს ხანაში ქვაში ნაკვეთი ნაგებობანი ჩანს, შემდეგ ჯერ უქვითკირო, ხოლო უფრო გვიან — ქვითკირით აგებული.

მეცნიერმა საგანგებოდ გამოიკვლია საცხოვრებელ ნაგებობებთან დაკავშირებული შენობები (აბანო, საჯინიბო, ბოსელი, ფარეხი). მისი კვლევის სფეროში მოექცა ნივთიერი კულტურის ისეთი ძეგლები, როგორიც არის: ტანისამოსი, ქსოვილები, საომარი საჭურველი, აგრეთვე ხელსაქმე და სამხედრო საქმე. საფუძვლიანი გამოკვლევის შემდეგ მეცნიერმა გაარკვია აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემები.

ივანე ჯავახიშვილის სახელთან განუყრელად არის დაკავშირებული ქართული მუსიკის ისტორიის, როგორც მეცნიერების, განვითარება. მუსიკის სიყვარული მას ბავშვობიდანვე ჰქონდა შესისხლხორცებული. მაღალგანვითარებული ქართული კულტურის ტრადიციებზე აღზრდილს, მშვენიერი მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებულ მეცნიერს განსაკუთრებულად, გატაცებით უყვარდა მუსიკა. თანაც ეს გატაცება მოყვარულის მიერ მუსიკისადმი დამოკიდებულების უბრალო გამოხატვა კი არ იყო, არამედ ხელოვნების ამ დარგში სრულიად კომპეტენტური პირის შემოქმედებითი წვა. ივანე ჯავახიშვილმა თავისი რჩევა-დარიგებებით ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედებას. მეცნიერის აზრს კომპოზიტორისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ყველა ახალ ნაწარმოებს ზაქარია ფალიაშვილი პირველად ივანე ჯავახიშვილს ასმენინებდა. ივანე აქტიურად ეხმარებოდა კომპოზიტორს ხალხური სიმღერების შეკრებაში. მისი ინიციატივით მოწყობილი ერთი ასეთი მოგზაურობის დროს ქართლის სოფლებში ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერის" ლეკური ჩაუწერია და შემდგომში მას შინაურობაში ხუმრობით „ივანეს ლეკურს" უწოდებდა. ასე რომ, ივანე ჯავახიშვილი ფრიად დიდი მოყვარული იყო მუსიკისა და ქართული მუსიკის ისტორიის შესწავლა მას გადაუდებელ საქმედ ესახებოდა. ივ. ჯავახიშვილმა მუსიკის ისტორიით თავის გატაცებას მოწიფულობის ასაკში დაადგა შემოქმედებითი გვირგვინი. მრავალგვარი სახის წყაროების შესწავლის საფუძველზე გამოიკვლია და ჩამოაყალიბა ქართული მუსიკის განვითარების მთავარი საფუძვლები, ქართული მუსიკის მრავალხმიანობის წარმოშობა, ქართული მუსიკალური ტერმინები, მუსიკალური საკრავები და სხვ.

ქართული მუსიკის ისტორიისათვის ძალზე მნიშვნელოვანი და ძირითადად მანამდე გამოუყენებელი ძვირფასი მასალის თავმოყრით, ივ. ჯავახიშვილისათვის საერთოდ დამახასიათებელი მეცნიერული მიდგომით, მთელი სიღრმით იქნა შესწავლილი ქართული მუსიკის ისტორია და ქართველმა ხალხმა მიიღო უაღრესად საჭირო გამოკვლევა „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები". ამ ნაშრომში ივ. ჯავახიშვილმა განიხილა და დაადგინა ხმიერი და საკრავიერი მუსიკის ზოგადი ტერმინოლოგია. მოგვცა ძველ საქართველოში გავრცელებული საკრავების დაჯგუფება-კლასიფიკაცია, ჩამოაყალიბა ქართული მუსიკის განვითარების მთავარი საფეხურები; ხაზი გაუსვა ქართული სიმღერის სიძველესა და მრავალხმიანობას, გამოამჟღავნა ქართული მუსიკის თვითმყოფი ხასიათი — მისი მრავალხმიანობა და ახსნა ამ მრავალხმიანობის წარმოშობა და სადაურობა.

საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში არ ყოფილა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც საქმიანად არ გამოხმაურებოდეს ივ. ჯავახიშვილი.

ივ. ჯავახიშვილს საკმაოდ ფართო მიმოწერა ჰქონდა იმ დროის ცნობილ მოღვაწეებთან: კიტა აბაშიძესთან, მოსე ჯანაშვილთან, შიო არაგვისპირელთან, ივანე ბერიტაშვილთან, ვუკოლ ბერიძესთან, გიგო გაბაშვილთან, კონსტანტინე გამსახურდიასთან, კორნელი კეკელიძესთან, აკაკი შანიძესთან, სიმონ ყაუხჩიშვილთან და მრავალ სხვასთან. ფრიად ნიშანდობლივია, რომ ივ. ჯავახიშვილის საზოგადო თუ კულტურის მოღვაწეებთან ურთიერთობას საფუძვლად ედო მაღალი პრინციპები, ხალხისა და მეცნიერების სამსახური. დიდ მეცნიერს მიაჩნდა: „სამეცნიერო მუშაობა ბედნიერებაა. ეს ისეთი ბედნიერებაა, რომ ყველას ხვედრს არ წარმოადგენს და, ვინც ისეთი ბედნიერია, რომ ბუნებისაგან დაჯილდოებულია ნიჭით... აქვს ნებისყოფა... აქვს აგრეთვე გატაცება, ის უნდა გრძნობდეს, რომ... ვალდებულია გადაუხადოს იმ ერს, რომლისაგანაც ის წარმოშობილია".

თვითონ ივ. ჯავახიშვილი ერისა და მეცნიერების სამსახურის განუმეორებელ მაგალითს იძლეოდა. მას, ილია ჭავჭავაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, ყოველთვის წინ მიუძღოდა ჭეშმარიტება, უკან კი რჩებოდა „კვალი განათლებული"



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჰიმნი შრომისადმი

ი ო ს ე ბ  გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი

მმობილო! კაცს თუ ნიჭი აქვს,
ყველაფერს დაუუფლება,
მაგრამ ცუდია, რომ ამ ნიჭს
არ ახლავს „შრომის სუფევა“.

შენზე არ ვამბობ... ზოგიერთს
ნიჭი აქვს, შრომა არა სურს.
და რა დარჩება იმისგან,
ჩვენში რომ ითქვას, დასასრულს?

მხოლოდ ნალეწი აზრები
ანაზდეული, წყვეტილი,
ნიჭი კი ვიწრო ნაჭუჭში
ყარიბად გამოკეტილი.

შრომა ცხოვრების სკოლაა,
დიადი მასწავლებელი,
შრომა პიტალო ბურჯია,
ნიჭი—იმისი მსლებელი.

შრომით აიღეს მტრის ციხე,
გაანადგურეს, დალეწეს.
ნიჭი წახდება უშრომლად,
შრომით იცოცხლებს ათას წელს!

ქართველი ნიჭით და შრომით
ყოველთვის ასე ქებულა:
— დიდება შრომას, ვაშა ნიჭს,
ორივეს შეერთებულად!

დაიბეჭდა „პიონერში“ 1951 წელს.

ივ. ჯავახიშვილთან ურთიერთობით დიდად არიან დავალებული მისი დროის საზოგადო თუ კულტურის მოღვაწეები, რომელთაც დიდი მეცნიერი მტკიცე ბურჯად ედგა მხარში და სამშობლოს კეთილდღეობისათვის ზრუნვის ჭეშმარიტ მაგალითს უჩვენებდა.

●

მრავალმხრივი შეუსვენებელი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი საქმიანობა თავის დაღს ასვამდა ივ. ჯავახიშვილის ჯანმრთელობას. მისი შრომა ფუტკრის მძიმე და თავაუღებელი ფუსფუსის მსგავსი იყო. საკუთარი თავისადმი დიდად მომთხოვნი, ცხოვრებაში სრულიად უპრეტენზიო იყო. „არამცთუ აკადემიკოსობა, პროფესორობის მაძიებელიც კი არ ვყოფილვარ არასდროს, — წერს ერთ პირად წერილში ივ. ჯავახიშვილი. — ნ. მარს რამდენჯერ უთქვამს ჩემთვის: გადმოთარგმნეთ ერთ-ერთი თქვენი ქართული გამოკვლევა და სადოქტორო დისერტაციად წარმოადგინეთ, რომ ეს ფორმალობა თავითგან მოიშოროთ. მაგრამ რაკი ეს ჩემთვის დროის ზედმეტ დაკარგვას უდრიდა, სამაგისტრო დისერტაციის შემდგომ სადოქტორო დისერტაცია არ წარმიდგენია და არასდროს პირადად მე არამცთუ პროფესორის, არამედ პრივატ-დოცენტის წოდებულებითაც არ მისარგებლია“.

სამოც წელს გადაბიჯებული, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი (1938 წლიდან), სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1939 წლიდან) ივ. ჯავახიშვილი მთელ თავის ძალღონეს ახმარს მეცნიერულ და საზოგადოებრივ საქმიანობას: კითხულობს ლექციებს, იკვლევს სხვადასხვა პრობლემას, ასრულებს სადეპუტატო მოვალეობას. მისი დიდი ავტორიტეტი ქართულ მეცნიერებას მაღალ პრესტიჟს უქმნის. თვითონაც პარტიისა და მთავრობისაგან დაფასებული და პატივდებულია. ეს თავის მხრივ ფრთებს ასხამდა მას და ახალი ძალით შრომისაკენ უბიძგებდა. იგი თავის აუცილებელ მოვალეობად თვლიდა, ებრძოლა სოციალისტური სამშობლოს აღორძინება-აყვავებისათვის.

დიახ, დიდი გეგმები ჰქონდა ივ. ჯავახიშვილს. საბჭოთა წყობილების წარმატებით გახარებული მეცნიერი თვით იძლეოდა გმირული შრომის მაგალითს. მაგრამ გატეხილმა ჯანმრთელობამ თავისი გაიტანა.

... 1940 წლის 18 ნოემბერი... რამდენიმე დღით ადრე საგანგებო მოსაწვევი ბარათი აუწყებდა საზოგადოებას, რომ ივ. ჯავახიშვილი წაიკითხავდა მოხსენებას თემაზე: „ფილოლოგიური მეცნიერების მიზნები და ქართული ლიტერატურული ძეგლები“. პრობლემა არსებითი მნიშვნელობის მქონე იყო ისტორიის საკითხების კვლევის საქმეში. მრავალრიცხოვანმა მსმენელმა მოიყარა თავი. დანიშნულ დროს ივ. ჯავახიშვილმა მოხსენება დაიწყო... და სწორედ აუდიტორიაში, კათედრასთან მოხსენების კითხვისას შეწყდა დიდი მეცნიერის მაჯისცემა... გარდაიცვალა ივ. ჯავახიშვილი; გარდაიცვალა მოქალაქეობრივი და მეცნიერული მოვალეობისა შესრულების დროს.

ქართველმა ხალხმა ცხარედ დაიტირა დიდი მეცნიერი და მამულიშვილი. მისი ღვაწლისადმი ღრმა პატივისცემის ნიშნად ივ. ჯავახიშვილი მის მიერვე დაარსებული უნივერსიტეტის ეზოში დაკრძალეს.

დიდ მეცნიერზე, მამულიშვილსა და საზოგადო მოღვაწეზე ივანე ჯავახიშვილზე შთამომავლობას ხმამაღლა, სიამაყით შეუძლია გაიმეოროს დიდი ილიას სიტყვები: „აღასრულა მან თვისი ვალი“.

როინ მეტრეველი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.




ეროვნული ბიბლიოთეკა

## გიხმობთ „კოცონი"!
## ყურადღება!
## რგოლის ხელმძღვანელებს, რაზმისა და რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარეებს!

# პიონერული აქტივის კლუბი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობაზე დელეგატთა გამოსვლებში ხშირად ისმოდა სიტყვები: სიოსნობა, შემოქმედებითი ძიება, შეგეძლოს დღეს უკეთ მუშაობა, ვიდრე გუშინ, დიდი მომთხოვნელობა საკუთარი თავისადმი და შენი სამუშაოსადმი, პასუხისმგებლობა დაკისრებული მოვალეობისადმი...

ყოველივე ეს შენ, შენს რგოლს, რაზმს, რაზმეულსაც ეხება. და რომ შეძლო ამ ყრილობის მიერ შენს წინაშე დასახული ამოცანების განხორციელება, უპირველეს ყოვლისა, სწავლაში ყოჩაღი, კარგი აქტივისტი, საზოგადოებრივი დავალების უზადო შემსრულებელი უნდა იყო. პიონერს ამ ჩვევების დაუფლებაში რაზმეულთან, პიონერთა სახლთან თუ სასახლესთან შექმნილი პიონერული აქტივის სკოლები ეხმარება.

**ყურადღება!**

სწორედ ამ მიზნით ამიერიდან ჟურნალ „პიონერის" ფურცლებზე მუშაობას იწყებს პიონერული აქტივის კლუბი „კოცონი", რომლის დევიზია: „მიჰყევ პიონერული დაფდაფის ხმას!"

კლუბის მუშაობას გაუძღვება გამოცდილი პიონერული და კომკავშირული მუშაკი, საქართველოს პიონერთა რესპუბლიკური საბჭოს წევრი, ჟურნალისტი **ნათელა ფაილოძე.**

კლუბის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულია ყველა საშუალო, რვაწლიანი, დაწყებითი სკოლის, სკოლა-ინტერნატისა და საბავშვო სახლის რაზმეულისა და რაზმის საბჭოს თავმჯდომარეები, რგოლის ხელმძღვანელები.

კლუბის ყოველი შეკრება დაუსწრებლად შედგება.

იმუშავებს სამი სექცია: „აქტივისტი", „შენ, მე და საზოგადოება" და „გამოცდილება". პირველ სექციას უხელმძღვანელებს პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის მეთოდური მუშაობის განყოფილების გამგე **ნათელა ჩხეიძე,** მეორე სექციას—სოციალისტური შრომის გმირი, თბილისის ზ. რუხაძის სახელობის 36-ე საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორი **ეთერ სოლომონია,** მესამე სექციას კი — რუსთავის მე-10 საშუალო სკოლის მარჯვენაფლანგელი რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე **მაია ქუფარაშვილი.**

უკვე ერთი თვეა, რაც ახალი სასწავლო წელი დაიწყო. შენს რგოლს, რაზმს, რაზმეულს ახალი საქმეები, ახალი გეგმები და ოცნებები გაქვთ. მთელ თქვენს მუშაობას პიონერთა VII საკავშირო შეკრების მიმართვის, პიონერებისადმი საკავშირო კომკავშირის XVII ყრილობის განაწესის მიხედვით წარმართავთ.

ახალარჩეული აქტივისათვის ცოტაა მხოლოდ მუშაობის სურვილი, საჭიროა საქმის ცოდნა, საზოგადოებრივი მუშაკის ჩვევების დაუფლება, რომელიც რგოლის ხელმძღვანელმა, რაზმისა და რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარეებმა პიონერული აქტივის სკოლაში უნდა მიიღონ.

რაზმეულში პიონერული აქტივის სკოლის მუშაობის ორგანიზატორი რაზმეულის საბჭოა. თუ ასეთი სკოლა თქვენთან მუშაობას ჯერ კიდევ არ შესდგომია, ვიდრე გვიან არ არის, შეგახსენებთ:

## რით დავიწყოთ?

პირველყოვლისა, რაზმეულის საბჭოს შეკრებაზე უნდა გადაწყდეს ვინ ისწავლის აქტივის სკოლაში, ვინ ასწავლის მათ და რას ისწავლიან, აქტივისტის რა ჩვევებს დაეუფლებიან მთელი წლის მანძილზე.

**ვის ვასწავლით?** — რგოლის ხელმძღვანელებს, რაზმის საბჭოს თავმჯდომარეებს.

## როგორი იქნება აქტივის სწავლების ორგანიზაცია?

— ყველაზე კარგია სკოლის მთელი აქტივის მეცადინეობა თვეში ერთხელ, განსაზღვრულ საათზე ერთდროულად ჩატარდეს.

სემინარის თემებისა და პრაქტიკული მეცადინეობის შესახებ განცხადება ადრე უნდა გამოიკრას. გირჩევთ, აქტივის სკოლის შეკრება აუცილებლად პიონერული ხაზით დაიწყოთ. შემდეგ რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე თანატოლებს მეცადინეობის დღის წესრიგს გააცნობს.

ახლა კი ჩვენი კლუბის წევრთა პირველ მეცადინეობაზე პირველ სიტყვას ვაძლევთ სექციებს „აქტივისტსა" და „შენ, მე და საზოგადოებას". შევეხებით ორ საკითხს: სწავლა პიონერის მთავარი შრომაა და პიონერული შეკრება.

პირველ საკითხზე გესაუბრებათ

## ეთერ სოლომონია:

...ვინც დღეს სკოლის მერხს უზის, მის მთავარ შრომად სწავლას ვთვლი.

როცა გადაწყდა, რომ ჩვენი კლუბის პირველსავე შეკრებაზე სწავლის შესახებ მესაუბრა, ცოტა არ იყოს, გავვოცდი, ვიფიქრე, ხომ არ აჯობებდა ამის შესახებ პიონერულ აქტივთან მასწავლებელს ან მეცნიერს ესაუბრა. შემდეგ ვიფიქრე, არა უშავს, მასწავლებელს ყოველდღე ხვდებიან კლასში, ისმენენ მის საუბარს, ესმით მისი ყოველდღიური შეგონება. მომისმენია მეცნიერ-

თან პიონერების საუბარიც, როცა იგი ბავშვებს ცხოვრების დიდ მოთხოვნებზე ესაუბრება, უხსნის საღღეისო ამოცანებს, აანალიზებს სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს და თვლის, რომ დღეს აუცილებელია ცოდნის მაღალი დონე. მაგრამ მოწონებასთან ერთად ჩემს ყურთასმენას ერთხელ ერთი ნათქვამიც მისწვდა: „აუცილებელი არ არის მაინცდამაინც მეცნიერი იყო, ვიღაცა მუშაც ხომ უნდა იყოს?"

ალბათ თქვენს შორისაც არიან ისეთები, რომლებიც ფიქრობენ: ხუთებზე მათ ისწავლონ, ვინც უმაღლეს სასწავლებელში შესვლას ფიქრობს, მე კი ქარხანაში წავალ, ან სოფელში დავრჩები, სამიანებითაც კარგად ვიცხოვრებო.

არ მომწონს, როცა ასე ამბობენ. ჩემთვის, ყოფილი მუშისათვის, გასაგებია ყოველივე ეს და მოთმინებიდან როდი გამოვყავარ ზოგიერთის ასეთ განცხადებას. ოღონდ ბავშვებისაგან მწყინს, რადგან აი, მივლენ ისინი სკოლის დამთავრების შემდეგ ქარხანაში თუ ფაბრიკაში, კოლმეურნეობაში თუ საბჭოთა მეურნეობაში და, როცა პირისპირ წარსდგებიან გასაკეთებელი საქმის წინაშე, პირველ დღიდანვე მიხვდებიან თავიანთ შეცდომას — კარგად სწავლის უგულვებელყოფას, მაგრამ უკვე გვიანღა იქნება.

ბავშვები ხშირად მეკითხებიან ჩემს შრომით ბიოგრაფიაზე. გულახდილად გეტყვით: ჩემი მიზანი ყოველთვის სწავლა-შრომა იყო. ყველა ასაკში ვსწავლობ... პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი დავამთავრე.

ფაბრიკაში მისვლის პირველ დღესვე მუხლი არ ჩამიხრია, მაინც 17 კოჭაზე მეტი ვერ დავახვიე. საღამოს, როცა ჩემს მასწავლებელთან მივირბინე და ვახარე, კარგად ვიმუშავე-მეთქი, ლუბა მასწავლებელმა წყნარად მითხრა — უკეთ იმუშავეო. თანაც ტამარიგა, რასაც შენ მთელი დღე მოუნდი, მისი გაკეთება ერთ საათში შეიძლებოდაო. ეს სიტყვები მთელი ჩემი ცხოვრების გზაზე მომყვება.

...შემდეგ ამას ერთი დაზგიდან ორ დაზგაზე გადასვლა მოჰყვა. 1959 წელს უკვე 1965 წლისათვის დაგეგმილ დაზგა-საათის ნაყოფიერებას მივაღწიე. ყოველ წვრილმანზე შემკეთებელ ბრიგადას როდი ვაწუხებდი. მე თვითონ თავისუფლად შემეძლო მიკი სახელდახელო პროფილაქტიკა. ჩემს გამოცდილებას ახლა ჩემი სასწავლებლის გოგონებს, მომავალ ფეიქრებს, ვასწავლი.

დიდია პიონერული ორგანიზაციის როლი ცოდნის სიყვარულისა და სწავლისადმი პასუხისმგებლობით დამოკიდებულების აღზრდაში. პიონერული აქტივისტი უნდა მიისწრაფოდეს იმისაკენ, რომ ყველა მისი ამხანაგი სისტემატურად ასრულებდეს მასწავლებლის დავალებას: უნდა შეიქმნას საზოგადოებრივი აზრი იმათ მიმართ, ვინც დაუდევრად ეკიდება სწავლის საქმეს, ეს კი რგოლში, რაზმში, რაზმეულში შეიძლება.

რაზმეულში უნდა ჩატარდეს საუბრები აკურატულობაზე, სიზუსტეზე, დროის მოფრთხილებაზე, დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანის უნარზე და სხვა თვისებებზე, რომლებიც თითოეულ თქვენგანს კარგ სწავლაში მოგეხმარებათ. ამის დამაჯერებელი მაგალითები უამრავი გაქვთ ვ. ი. ლენინის, კომუნისტური პარტიის გამოჩენილი მოღვაწეების, მწერლების, შრომის გმირების ცხოვრებიდან.

საკავშირო ალკკ XVII ყრილობაზე ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავდა: მთელმა ჩვენმა ხალხმა, გამოცდილმა თავის საქმეში, ასევე ახალგაზრდობამ უნდა იზრუნოს პროდუქციის ხარისხზე, რომელსაც ისინი უშვებენო. მიაღწიეთ ოსტატობასო. ეს სიტყვები თქვენც გეხებათ, ბავშვებო! პირდაპირ გეტყვით, სხვანაირად ფიქრი წარმოუდგენელია, ეს დროის მოთხოვნაა.

მინდა შეკითხვებიც მოგცეთ, რომლებზეც აუცილებლად მიპასუხეთ და წერილობით „პიონერის" რედაქციაში ჩვენი კლუბის სახელზე გამოგზავნეთ. აი, ეს შეკითხვებიც:

რა არის მიზეზი შენი ორიანის, ან თუნდაც, სამიანის მიღებისა? როგორ გამოვასწოროთ შექმნილი მდგომარეობა? კარგად დაფიქრდი და ისე მიპასუხე.

როცა სკოლაში მიდიხარ, გიხარია? როდის არ გინდა ხოლმე სკოლაში წასვლა?

რომელი გაკვეთილი გიზიდავს, რომელზე გეუფლება მოწყენილობა და რატომ?

ბევრ პიონერულ რაზმსა და რაზმეულში სწავლაში ჩამორჩენილ პიონერს გამოიძახებენ ხოლმე შეკრებაზე, რაზმისა თუ რაზმეულის საბჭოზე და მის საკითხს იხილავენ. უსაყვედურებენ, აიძულებენ გამოასწოროს ცუდი ნიშნები. ზოგჯერ „ელვასაც" უშვებენ, წერენ კედლის გაზეთში ან კიდევ სკოლის რადიოთი გადასცემენ. ვეკითხები პიონერულ აქტივს: სწავლაში ჩამორჩენილებთან მუშაობის ასეთ საშუალებით აღწევთ კი მიზანს? როგორ დავეხმაროთ ჩამორჩენილებს?

კიდევ ერთი შეკითხვა, რომლის პასუხი ჯერ რგოლის შეკრებაზე, რაზმეულისა და რაზმის საბჭოებში განიხილეთ და ისე მიპასუხეთ; მოქმედებს თუ არა შენს რგოლში, რაზმში, რაზმეულში კანონი: „ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის"? დარწმუნებული ხარ, რომ შენი რგოლის, რაზმის წევრები თავის დროზე მოვლენ მოსამზადებლად? რითი შეიძლება დაგეხმარონ თქვენ ამ საკითხში მშობლები, სკოლის შეფები, უფროსი ამხანაგები—კომკავშირელები და პიონერხელმძღვანელები?

## პიონერული შეკრება

ჯერ გავარკვიოთ, რა არის პიონერული შეკრება. ეს არის პიონერული ხაზი, პატაკების ჩაბარება, სიმღერა, საკითხების განხილვა, რომლებიც დაკავშირებულია რგოლის, რაზმის, რაზმეულის ცხოვრებასთან, შეხვედრები საინტერესო ადამიანებთან, კამათი, დისპუტი...

მერედა, ყველგან ასეა? არა, ხშირად იგი მხოლოდ გაკვეთილების შემდეგ, მხოლოდ საკლასო ოთახში ტარდება. ასეთ შეკრებებზე ხშირად იხილავენ ოროსნების საკითხს, მოუფიქრებლად იწონებენ გეგმებს, რომლებიც შედგენილია ბავშვების მონაწილეობის გარეშე, ლაპარაკობენ გაზეპირებულ, წინასწარ დასწავლილ სიტყვებს; სხვისი სიტყვებით მოუთხრობენ დიდ პოეტებზე და კომპოზიტორებზე, მაშინ, როცა ეს არაფრით არ არის დაკავშირებული თავისი რგოლის, რაზმის, რაზმეულის ცხოვრებასთან.

ბოლოს და ბოლოს, რა არის პიონერული შეკრება? ვინ არის მისი განმკარგულებელი? რა საკითხებს იხილავს იგი? როგორ მზადდება და როდის ტარდება? ამ საკითხებზე უნდა იმსჯელოს, იკამათოს აქტივმა.

პიონერული შეკრება რგოლის, რაზმისა და რაზმეულის უმაღლესი ორგანოა, რომელსაც ყველა პიონერი ესწრება. რგოლი იკრიბება ყოველთვის, როცა ეს საჭიროა, რაზმი კი — თვეში ერთხელ, რაზმეული — სასწავლო მეოთხედში ერთხელ.

მხოლოდ რაზმის შეკრებაზე შეიძლება მივიღოთ პიონერთა რიგებში ოქტომბრელები, გადაწყდეს პიონერთა ორგანიზაციის რიგებიდან

პიონერის გარიცხვის საკითხი, არჩეულ იქნან რგოლის ხელმძღვანელები, რაზმისა და რაზმეულის საბჭოები, განაწილდეს დავალებები პიონერებზე.

აქ იხილება რგოლის, რაზმის, რაზმეულის მთავარი საქმე, ჯამდება მუშაობის შედეგები და ხდება რაზმისა და რგოლის მუშაობის შეფასება, იხილება პიონერთა წინადადებები.

შეკრებაზე პიონერები გამოხატავენ თავიანთ დამოკიდებულებას ჩვენი ქვეყნისა თუ საზღვარგარეთ მომხდარი მიმდინარე მოვლენებისადმი, განსაზღვრავენ თავიანთ მონაწილეობას სკოლის, რაზმეულის რაიონის, ქალაქის ცხოვრებაში.

რა საკითხიც არ უნდა იხილებოდეს პიონერთა შეკრებაზე, ის ყოველთვის დაკავშირებული უნდა იყოს შენი პიონერული კოლექტივის ცხოვრებასთან.

რაზმისა და რაზმეულის შეკრება ყოველთვის იწყება და მთავრდება პიონერული ხაზით. იგი საქმიანი უნდა იყოს, მაგრამ არ უნდა დაემსგავსოს მშრალ სხდომას, უფროსების კრებას. აქ უნდა გაისმოდეს საყვარელი სიმღერები, შესრულდეს თამაშობები, გაჩნდეს საინტერესო წამოწყებები, დაიდგას სატირული სცენები რაზმის ცხოვრებიდან, მომზადდეს სიურპრიზები...

მთავარია პიონერთა აქტიური დამოკიდებულება იმ მოვლენისადმი, რომელსაც შეკრება ეძღვნება, და რომლის შემდეგაც შეიძლება ავილოთ ახალი ვალდებულებანი.

●

მეგობრებო! ველით თქვენს წინადადებებს, სურვილებს. გვაინტერესებს, როგორ წარმოგიდგენიათ პიონერული აქტივისტი, საზოგადოებრივი დავალების უბადლო შემსრულებელი. ჩვენი კლუბის წევრთა ერთ-ერთ შეკრებაზე ვიმსჯელებთ ამ საკითხზე.

ჩვენი კლუბის „კოცონის" მისამართია: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ჟურნალ „პიონერის" რედაქცია, პიონერული აქტივის კლუბი „კოცონი".

**ნათელა ფაილოძე.**




ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი №10

## ი ა

ბუჩქნარებში ჩამალულა
პაწაწინა ია,
ლალისფერი სამოსელი
ჩუმად ჩაუცვია;
ნაზად უკრავს თავს მეზობლებს,
ძალზე მორცხვი ია,
მე კი ერთმა გამაოცა,
ლამის დამაბნია:
ნეტავ ასე ფაქიზად და
ასე კოხტად ის,
გულისპირზე ოქროს მძივი
ვიღამ დააბნია?!

ცირა ბაჯიაშვილი.
თბილისის მე-15 საშუალო სკოლა, X კლასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თავთუხის ყანა

მივალ, მივარღვევ თავთუხის
ყანას,
მუხლზე მეხება თავთავი პურის;
ვიხსენებ ძველი დღეების ამბავს
და მიღვივდება ტკივილი გულის.

მაშინ ამ ველზე ელავდა ხმალი,
ცა უმზადებდა ქვეყანას ავდარს,
და საქართველო — მრავალტანჯული—
მზედაბნელებულ ოცნებას ჰგავდა.

„ტკბილი ყოფილა სამშობლოს
კვამლიც"...
რისხვა ელოდა მამულის მბილწავს.
სჭექდა ქართველი და ხელში
ხმალით
იცავდა თავის მშობლიურ მიწას.

მარტყოფის ველზე მივარღვევ
ყანას,
მუხლზე მეხება თავთავი პურის,
ვიხსენებ შორი დღეების ამბავს
და მიყუჩდება ტკივილი გულის.

არჩილ აზმაიფარაშვილი,
თბილისის მე-14 საშუალო სკოლა, X კლასი.

# ჩემი უფროსი მეგობარი

ძალზე გულთბილი და მეგობრული დედა მყავს. ერთმანეთს ყველაფერს ვუზიარებთ და მართლაც ვმეგობრობთ, მაგრამ არ მეგონა, რომ უმცროსს და ისიც მოსწავლეს, მეგობრად ეყოლებოდა მასწავლებელი.

თითქოს მერიდება კიდეც მეგობარი ვუწოდო ჩემს მასწავლებელს, პატივცემულ ნატო ჯანდიერს.

მე ჯერ მხოლოდ ოთხი კლასი დავამთავრე და მეხუთეში გადავედი. რა მაქვს საიდუმლო ან ვინმესთან დასამალი? მაგრამ ხომ არის საკითხები, რომლებზეც საუბარი ყველასთან არ შეგიძლია. დახმარება გჭირდება და ყველას ვერ გაუბედავ, ვერ გაუმჟღავნებ, გერიდება.

ჩემი მეგობარი ნამდვილი გულთმისანია. სწორედ მაშინ გაგიხმობს განზე და შეგეკითხება, რით დაგეხმაროს, ან რა არის საჭირო იმ საკითხის მოსაგვარებლად.

როგორი არის ჩემი უფროსი მეგობარი?

საშუალოზე მაღალი, შავგვრემანი, გამხდარი, შავ თმაში შუბლს ზევით თეთრი თმის ზოლი გასდევს. ხმა სასიამოვნო, დამაჯერებელი აქვს.

ქალბატონი ნატო შავ ტანსაცმელშია ყოველთვის, მაგრამ შემოვა თუ არა სკოლის დერეფანში, გეზს იღებს ჩვენი საკლასო ოთახისაკენ, და თან მოაქვს ხალისი, სითბო, სიხარული, ზრუნვა, დარიგება. შემოდის კლასში, გვინდა სალამი დავასწროთ, მაგრამ ყოველთვის თვითონ გვასწრებს, ყველაფერს და ყველას გულმოდგინედ დაგვათვალიერებს და გვეალერსება.

ჩემი მეგობარი წერს ძალიან ლამაზად ქართულადაც და რუსულადაც. კლასში ყოველთვის გაღიმებული შემოდის, მაგიდასთან ზის ძალიან კოხტად, წესიერად, მოსაწონად და შენც სწორდები, მაშინვე უსიტყვოდ ჰბაძავ.

ჩვენი მეგობრობა იმაში გამოიხატება, რომ ის ყოველთვის გრძნობ

ჩემს დალხინებასაც, გაჭირვებასაც. მე ვმეგობრობ იმით, რომ რასაც გვავალებს, პირნათლად ვასრულებ. მესიამოვნება მისი დავალების შესრულება, სულ თვალებში ვუყურებ. ხშირად ერთად ვსაუბრობთ. თავის შესახებაც მიზიარებს დარდსაც, სიხარულსაც, მაგრამ მე ჯერ ვერაფრით ვეხმარები, თუმცა ჩემი მეგობრობით ვგრძნობ კმაყოფილია.

ჩვენმა მეგობრობამ კარგი ნაყოფი გამოიღო. შემაყვარა წიგნი, წაკითხულის აღრიცხვა, საქმის ერთგულება, საქმეში სილამაზე და ამხანაგისადმი ზრუნვა, უფროსისადმი თავაზიანობა.

მისი ხასიათიდან აი რა მომწონს: ცუდი სიტყვებით, უხეში გამოთქმებით არ მოგვმართავს, არ გვწყევლის. რაც უნდა უკმაყოფილო იყოს, მხოლოდ ასე იტყვის: „ამას არ მოველოდი, პიონერი მოწინავე და სანიმუშო უნდა იყოს. ალბათ რაღაც იყო მიზეზი, თორემ ასე არ მოიქცეოდით.“

მომწონს მისი სასიამოვნო საუბარი, რა საკითხზეც გნებავთ. ჩემს თვალწინ ჩვენი რაიონის რუკა შეადგინა, ძალზე ლამაზად, სუფთად, სასიამოვნო ფერებში — თუმცა ჩემი მეგობარი გეოგრაფიის მასწავლებელი არ არის.

მომწონს მისი ლამაზი ხელწერა, მის მიერ გაფორმებული კედლის გაზეთი. მინდა მეც ასე ვწერდე, როგორც ჩემი უფროსი მეგობარი.

მომწონს, რომ არავის ეტყვის უარს დახმარების გაწევაზე.

სასწავლო წელი დამთავრდა, მასთან ერთად რამდენსამე დღეს მეურნეობის მინდორში ვიმუშავეთ. ბევრიც ვისაუბრეთ. ისიც თავაუღებლივ მუშაობდა. დავემშვიდობეთ ერთმანეთს და ცრემლი გადმოგცვივდა თვალებიდან. თუმცა მითხრა, როდესაც გსურდეს, შემოირბინე, ვისაუბროთ შენთვის საინტერესო საკითხებზეო.

არ იფიქროთ, ის მარტო ჩემი მეგობარი იყოს, ან მარტო მე მჯერა მისი, ჩემს კლასში ან საერთოდ სკოლაში აღმოჩნდება ვინმე რომ არ უყვარდეს ჩემი უფროსი მეგობარი, მასწავლებელი ნატო ჯანდიერი?!

ნანი ამირხანაშვილი.
მცხეთის რაიონის გალავნის
საშუალო სკოლა, V კლასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## საღამოს სურათი

მზე ჩაესვენა გორის იქით, მაღალ მთებს იქით,
და ცად აზიდულ მთათა წვერთაგან სხივნი აკრიფა და დაიხვია,
ის, რაც იხილა ცაზე ყოფნის დროს, გულში ჩაიდო და ჩაიხვია
და ზღვამ მდუმარემ, თავის საკინძეს ტალღა გამოჰკრა და გაირღვია,
მზე ჩაასვენა შიგ, როგორც პირმშო, გულში ჩაიკრა და ჩაიხვია.

მზია მაღრაძე,
ასპინძის რაიონის ოშორის საშუალო
სკოლა, VII კლასი.



პაატა ბაზაძე,
აბაშის № 1 საშუალო სკოლა,
III კლასი.

## ქოლგა და წვიმა

შხაპუნა წვიმის წვეთები
ცეკვით ეცემა სახურავს,
წვიმს, მაგრამ არ დავსველდები, —
დედიკოს ქოლგა მახურავს.

ნინო გრძელიშვილი,
თელავის რაიონის კისისხევის
საშუალო სკოლა, X კლასი.

# ✻ მოთხრობები ცირკის ცხოვრებიდან ✻

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სანდრო ერისთავი

## ზღარბი იაშკა

საბჭოთა ცირკი გასტროლებზე იყო ახალ ზელანდიაში. ერთხელ ქალაქში სეირნობისას მსახიობები პატარა ზღარბს წააწყდნენ; ქაცვია გორგალი ცნობისმოყვარეობით, საცილოდ ახამხამებდა წვრილ თვალებს.

...ზღარბმა ცირკამდე ქალალდის



პარკში მჯდომარემ იმგზავრა. მართალია, პარკში ცოტა ვიწროდ გახლდათ, მაგრამ სამაგიეროდ, ეს უჩვეულო გასეირნება, ეტყობა, ჭკუაში დაუჯდა. ცირკში ქალალდის პარკიდან რბილ საგებზე გადაინაცვლა, რომელიც დიდი მზრუნველობით გაუწყო ახალმა ნაცნობმა — ცირკის მსახიობმა ინამ. ქალიშვილი დიდი გულმოდგინებით დაფუსფუსებდა პატარა სტუმრის გარშემო, უმასპინძლდებოდა რძით, ფორთოხლით.

— მიირთვი, იაშენკა, იყავი როგორც საკუთარ სახლში, — ეფერებოდა ინა.

შემდეგ ზღარბს განუწყვეტლივ ესმოდა ინას ალერსიანი „იაშკა“, „იაშენკა“ და ასე შეეჩვია თავის სახელს.

მალე „იაშკა“ ცირკიდან სასტუმროს ნომერში გადააბრძანეს თავის დიასახლისთან, რადგან დიდი მოუსვენარი ვინმე იყო და არაფერი იქნებოდა გასაკვირი, თუ ერთ მშვენიერ დღეს ვეფხვის გალიაში ამოჰყოფდა თავს.

ინასა და „იაშკას“ მეგობრობა თანდათან მტკიცდებოდა. ინა სამუშაოდან დაღლილი რომ დაბრუნდებოდა, „იაშკა“ იწყებდა მის გართობას ათასგვარი ოინებით.

ერთხელ ინამ წარმოდგენაზე წასვლის წინ ჩვეულებრივ აჭამა „იაშკას“ და ოთახში ჩაკეტა. ცირკში სარბიელზე გამოსვლისთვის რომ ემზადებოდა, უცებ რაღაცამ უჩხვლიტა ფეხში. შეიხედა მაგიდის ქვეშ და ოი, საოცრებავ — „იაშკა“!

— აქ საიდან გაჩნდი? — გაოცდა ინა. ზღარბი უცოდველად შესციცინებდა თავისი წვრილი თვალებით.

— ოჰ, შე ეშმაკის ფეხო! — გაიღიმა ქალიშვილმა.

მეორე დღეს, ცირკში წასვლამდე, ინამ საგულდაგულოდ დაათვალიერა თავისი ნომერი, სადმე ხვრელი ხომ არ არისო, მაგრამ ვერაფერი ნახა ისეთი, საიდანაც შეეძლო „იაშკას“ გამომძვრალიყო. ყოველი შემთხვევისათვის მან ზღარბი მუყაოს დიდ კოლოფში ჩასვა, თავი დაახურა და ზემოდან სიმძიმე დაადო.

— „იაშკა“, როგორ მოეწყე? ახლა ხომ ველარ გაიქცევი? — ინას, ცხადია, არ დაუნახავს, როგორ ჩაიღიმა „იაშკამ“ და ეშმაკურად მოჭუტა თავისი პატარა, მძივივით წვრილი თვალები.

ცირკის თაღი ჯერ კიდევ ზანზარებდა აღტაცებული მაყურებლების ტაშისა და შეძახილებისაგან, როცა ინა თავის საგრიმიოროში შევიდა, მორთმეული ყვავილები მაგიდაზე დააწყო, ლარნაკში წყალი ჩაასხა, მაგიდასთან მობრუნდა და... გაშეშდა. ყვავილებზე „იაშკა“ დასკუპებულიყო.

— ისევ მოხვედი?!

იმ დღიდან მოყოლებული, ინას ყველგან თან ახლდა „იაშკა“. დამთავრდა გასტროლები ახალ ზელანდიაში. მსახიობები ბარგს აწყობდნენ ავსტრალიაში გასაფრენად. სასტუმროს წინ მდგარ ავტობუსში უკვე იტვირთებოდა მათი ჩემოდნები, როცა ინასთან ვეტერინარი და თარჯიმანი ქალი მივიდნენ.

— ავსტრალიის ტერიტორიაზე აკრძალულია ცხოველების შეყვანა სპეციალური აცრებისა და კარანტინის გარეშე, — უთხრეს მათ ინას.

— აბა რა უნდა ვიღონო? — დაიბნა ინა.

— თუ გნებავთ, შეგვიძლია „იაშკა“ ჩვენთან, საელჩოში დავიტოვოთ, — შესთავაზა თარჯიმანმა.

სხვა რა გზა ჰქონდა. ინა დასთანხმდა.

თვითმფრინავი მიწას მოსწყდა და გეზი სამხრეთისაკენ აიღო. სადღაც დაბლა დარჩა საყვარელი პატარა ქაცვია გორგალი. ინა ცრემლს ძლივს იმაგრებდა.

ერთი კვირის შემდეგ კოლეგები ინას დაბადების დღეს ულოცავდნენ. სასტუმროში კი სიურპრიზი ელოდა — დეპეშა „იაშკასგან“: „გილოცავ დაბადების დღეს. მალე შეხვედრამდე. — ზღარბი „იაშკა“, — იუწყებოდა დეპეშა.

დამთავრდა გასტროლები ავსტრალიაში. ოთხი თვე არ ყოფილა ინა მოსკოვში. ლიფტის კაბინა მეცხრე სართულზე გაჩერდა. ინამ გადაწყვიტა არ დაერეკა და შინაურებისათვის მოულოდნელად გამოცხადებულიყო.

გაიჩხაკუნა საკეტმა, კარი გაიღო და ინამ პარმაღს გადააბიჯა. ზედ კარებთან... „იაშკა“ ელოდა!

ინამ არ იცოდა, რომ საბჭოთა საელჩოს მუშაკებმა „იაშკა“ ახალი ზელანდიიდან მოსკოვში ჩამოიყვანეს. ასე გახდა ზღარბი „იაშკა“ მოსკოვის მკვიდრი.

## მამაჩემი ვირთხა

საიდან გაჩნდა ეს პატარა კნუტი ცირკში, არავინ იცის. იგი ერთიმეორეზე დაწყობილი რეკვიზიტების ყუთების ქვეშ შემძვრალიყო და



შესაბრალისად კნაოდა. ეტყობა, გზა დაჰბნეოდა და ვერაფრით ვეღარ მოეხერხებინა გამოსვლა. დიდხანს ეძახდნენ, მისატყუარად ძეხვის ნაჭერიც კი უჩვენეს, მაგრამ ვერაფრით გამოიტყუეს, კიდევ უფრო ღრმად შეძვრა, იჯდა გასუსული და მხოლოდ შიგადაშიგ თუ წამოიკნავლებდა გულისწამღებად.

ბოლოს, როგორც იქნა, გამოძვრა. ძვალტყავა, აბურძგნული, დაფეთებული. ვიღაცის მზრუნველმა ხელმა იგი საცეცხლფარეშოში გადაიყვანა. იქ თბილოდა და მყუდროებაც იყო.

შემდეგ ცირკის ერთ-ერთმა თანამშრომელმა გადაწყვიტა ფისუნიას ცოცხალი თაგვით გამასპინძლებოდა... ფისო ჯერ ცნობისმოყვარედ დააცქერდა, მერე კი თათი შეახო თაგვს, რომელმაც საწყალობლად დაიწრიპინა: წრიპ, წრიპ...

ფისოს მოეწონა პატარა წრიპინა და თამაში დაუწყო. წრუწუნაც გათამამდა, უკვე აღარ ცდილობდა გაქცევას. ასე დაიწყო მათი მეგობრობა.

ცირკის თანამშრომლები გულიანად იცინოდნენ, როცა დაინახავდნენ ცირკის შენობაში დიდი ხნის მეგობრებივით მოსეირნე კნუტსა და წრუწუნას.

ერთხელ მეგობრები ცირკის ეზოში სეირნობდნენ.

ფისომ და წრიპ-წრიპმა ვერ შენიშნეს, როგორ გამოვიდა ბუფეტის კარიდან გამძღარი დიდი კატა. კატამ დაინახა თაგვი და თვალებს არ დაუჯერა. უმალ გადაწყვიტა წანადირება, შეუმჩნევლად მიეპარა წრიპ-წრიპს, ნახტომისთვის გაემზადა და...

თვალის დახამხამებაში ფისომ წრიპ-წრიპისკენ ისკუპა და მეგობარს ზედ გადაეფარა. კატის ბასრი ბრჭყალები ფისოს მწარედ ჩაერჭო ზურგში. მაგრამ მან სწრაფად დაიძვრინა თავი და კატას გამძაფრებული ეცა. კატამ დიდხანს ვერ გაუძლო ამ თავგამეტებულ შეტევას და სამარცხვინოდ დაიხია უკან. ფისომ კი ენით მოილოკა ნაჭრილობევი ზურგი და თვალების ბრიალით, ამაყად წელგამართულმა წრიპ-წრიპთან ერთად განაგრძო სეირნობა ცირკის ეზოში. დამფრთხალმა წრიპ-წრიპმა კი ტანი შეიბერტყა და გაბედულად მისდია მამაც მეგობარს.

# მეჯინიბე

შესახვევიდან ქალაქის შუა ქუჩაზე გამოხტა შავი, კრიალა „ლიმუზინი“. გამოხტა, მაგრამ როგორი სისწრაფით, რა თავზეხელაღებული შეიჭრა ავტოების ქარავანში, რის გზის წესები, რა წესები:

— ჰეი, თქვენ ავტოლაჩრებო, გზა მომეცით, გზა მომეცით, ეს გზა უნდა დავიჩემო!

შუშის თვალებს აბრიალებდა, სიგნალ-საყვირს აღრიალებდა:

— დუუ-დუ-დუუ, ნურავინ მხვდებით გზაზე, ნუ მაბრაზებთ!

მიჰქროდა შავი, კრიალა „ლიმუზინი“, აფრთხობდა ავტოებს, აფრთხობდა მგზავრებს, ვის გზის წუმპეს აშხეფებდა, ვის კივილით აფერხებდა.

— არ გვინახავს ასეთიო ჯერეც, ავტო თავხედიო! — ლანძღავდნენ მძღოლები, ლანძღავდნენ მგზავრები.

მაგრამ, „ლიმუზინს“ ისათვის აღარ ეცალა, შორს [illegible] დალანდა, იგი სად[illegible], ცირკი სხვა ქალაქში მიდიოდა.

„ლიმუზინი“ ცხენს დაეწია, როგორ თუ წინ მიბედავ რბენასო.

— დუუ!—დაუდუდუნა. ცხენმა არც კი მიიხედა.

— გზა მომეცი, — შესძახა „ლიმუზინმა“ და ფეხზე დააჭირა საბურავი. ცხენმა მაინც არ მიიხედა, მხოლოდ სირბილს აუჩქარა და გაჭენდა.

— ასე არ უნდაო, — უმატა სიჩქარეს „ლიმუზინმა“. ეს რბოლა გზაჯვარედინამდე გაგრძელდა. იქ კი ცხენი უცებ შედგა, იფიქრა, ამ აბეზარას ასე ადვილად ვერ გავეცლებიო.

„ლიმუზინიც“ შედგა მუხრუჭების ღრჭიალით.

გაგულისებით შეხედა თეთრმა ცხენმა შავ-კრიალა „ლიმუზინს.“ რას ამკიდებიხარ, რა გინდა ჩემგანო და წიხლი შიგ კრიალა ცხვირში ჰკრა.

„ლიმუზინის“ შუშა-თვალები ნამსხვრევებად გაიფანტა ასფალტზე, გატეხილი კრიალა ცხვირიდან კი წყალი წასკდა. ხმაჩახლეჩილი სიგნალ-საყვირი საცოდავად ბუხუნობდა.

— ესეც შენო, — იცინოდნენ გამვლელები.

გზაჯვარედინზე გატეხილი კრიალა ცხვირით იდგა დარცხვენილი შავი „ლიმუზინი“ ოხვრითა და წუწუნით. თეთრი ცხენი კი აუჩქარებლად ვაგზლისაკენ მიიწევდა. ცირკი სამუშაოდ სხვა ქალაქში გადადიოდა.

მხატვარი ედ. ამბოკაძე.



# დათუნია და ვაშლი



ვა ცხადაძე

ტები ავტორისა.

დათუნია ბაჯბაჯას რაღაც უხაროდა, ოღონდ თვითონაც არ იცოდა — რა. სიმღერის ხასიათზედაც მოვიდა, მაგრამ დაღლილი იყო და პირის დაღება დაეზარა. ის იყო დასვენება დააპირა, ბექობზე ჩამოვჯდებიო, რომ გაახსენდა, ნაკადულზე გადებული ხიდი ჯერ არ გაევლო! მერედა როგორ უყვარდა დათუნიას ხიდზე დგომა და ანკარა წყალში ყურება!

ხიდის გახსენებაზე ბაჯბაჯა გამხიარულდა, ცოტა ნაბიჯსაც უმატა. ამასობაში ნაკადულსაც მიადგა. შუა ხიდზე შეჩერდა თუ არა, ბუჩქებიდან გამოსულმა მელია ცლანგამ გზაზე მიმავალი ზღარბი დაინახა. მიეპარა ფეხაკრეფით და კანაფმობმული წითელი ვაშლი ეკლიან ზურგზე სწრაფად ჩამოაცვა.

ზღარბმა გაიფიქრა: ეს რა დამეცაო? მიიხედა, ნახა: ვაშლი იყო. გაუხარდა, ცოლ-შვილთან ხელცარიელი აღარ მომიხდება მისვლაო, და გასწია შინისაკენ. დათუნია კი ბუნების სილამაზეს შეჰყურებდა.

ამ ტყეში ეს ადგილსამყოფელი ულამაზესად ითვლებოდა. ბულბულების ოჯახი უხსოვარი დროიდან აქ ცხოვრობდა. ირგვლივ მინდორი გულჭრელ ყვავილებს მოექარგა. ჰაერი საამო სურნელებით იყო გაჟღენთილი. იდგა დათუნია ბაჯბაჯა შუა ხიდზე და მოჩუხჩუხე ნაკადულში იყურებოდა. კამკამა წყალში ყველაფერი მოჩანდა: ხავსი, კენჭები, თევზები, რომლებიც ათასნაირად კიაფობდნენ მზის სხივებზე. დიდი ბედნიერება იგრძნო ბაჯბაჯამ, როცა თავისი ბანჯგვლიანი თავიც დაინახა სარკესავით ანკარა წყალში. ძალზე ღალღნებული მოჩანდა. მაშინვე მხიარული სახე მიიღო, რაც შეეძლო გაიბღინძა, მოეწონა თავისი თავი და გაიფიქრა:

„ნეტავ იმოდენა ჭურჭელი მომცა, — ჩემი გამოსახულება წყლიანად წამაღებინა და სახლში კედელზე სურათად დამაკიდებინაო“. თან სურათისათვის პოზებს არჩევდა: ხან დოინჯშემორტყმული დადგა, ხან ფეხები გაჩაჩხა და ზურგზე თათები შემოიწყო, ბოლოს ყველაზე მრისხანე მეომარი დათვის პოზა მიიღო. „ეს კი ნამდვილად მამაჩემს მოეწონებაო“. — გაიფიქრა დათუნია ბაჯბაჯამ და სიამოვნებისაგან გაიღიმა.

სწორედ იმ ადგილას, სადაც დაღებული პირი მოჩანდა წყალში, უცებ ბაყაყი ამოხტა. ვაიმე დედაო! — ერთი შესძახა ბაჯბაჯამ და პირზე თათები აიფარა. როდესაც მიხვდა, რომ ეს ყველაფერი წყალში მოხდა, გონს მოვიდა, მოტრიალდა და რას ხედავს: ვაშლი! ოღონდ ჩამოკიდებული კი არ არის ტოტზე, არამედ მიდის. თვალებს აღარ უჯერებდა, ალბათ ესეც წყალში ხდებაო. მაგრამ არა. ეს ნამდვილი ბილიკი იყო და ვაშლიც ნამდვილად მიდიოდა. ზღარბი ბალახებში არ მოჩანდა. აგერ იმ ქვას გასცდა, აღმართიც აიარა, თუმცა ძალზე ნელა მიდის, მაგრამ ხომ მიდის? პირდაპირ უცნაურია. აბა, ვაშლი როდის დადიოდა!

— ეეხ!.. — ამოიოხრა დათუნიამ, — რაში მენაღვლება ყველაფერი, მთავარია, ეს გემრიელი ვაშლი ჩავიგდო ხელში და ჩავკბიჩოო! ძუნძულით გამოუდგა გზაზე მიმავალ ვაშლს, თან ემუქრებოდა — სად წამიხვალო!

და დაახტა დათუნია ბაჯბაჯა უეცრად წითელ ვაშლს. მოსწია მელია ცლანგამ თავისკენ კანაფი: ვაშლი ბალახებში გადაგორდა, ხოლო ბაჯბაჯა ზღარბის ეკლიან ზურგს დაენარცხა დრუნჩა პირით.

საზარელი ბღავილით წამოვარდა დრუნჩ-პირდასისხლიანებული დათუნია. ვაშლი სადღაც გამქრალიყო, ბუძგა ზღარბი შიშისაგან უფრო აბურძგნულიყო და გზიდან გადარბოდა, მელია ცლანგა კი ბუჩქებში სიცილით იგუდებოდა.

# ბაჯბაჯა და ქვეყანა

როგორც ყოველთვის, დედა ბურდღუნიამ ამ დილითაც თავის ბაჯბაჯას ზურგჩანთაში წიგნებთან ერთად გემრიელი საუზმე ჩაუდო და სკოლისკენ გაისტუმრა.

მიდის დათუნია უდარდელად. მელიების ორმო-სახლამდე მისულიც არ იყო, რომ რაღაც ჭირად გაახსენდა აი, უფროსები რომ იტყვიან ხოლმე: „ქვეყანა დიდიაო,“ ანდა „კაცო, რას ჩხუბობო, ამოდენა ქვეყანაზე შენც დაეტევი და მეცაო“. ჰოდა, დათუნია ბაჯბაჯასაც მოუნდა ენახა ეს ქვეყანა თავისი სიგრძე-სიგანით, ხოლო როგორ — ეს აღარ იცოდა.

ამ ფიქრებში წასულს უკან მელია ცლანგა ასდევნებოდა, საჭმლის სუნი სცემდა და აღარ იცოდა რა ექნა. გონება სულ მთლად დაჰკარგოდა, ვერ მოეფიქრებინა, რა ოინით ჩაეგდო ხელში ბაჯბაჯას ზურგჩანთა გემრი-

იმეორებთ დაბეჭდილს

დაიბეჭდა პიონერში 1961 წელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ელი საუზმით. უცებ ცლანგამ ფეხი ხმელ ტოტს წამოჰკრა და კინაღამ დაეცა. ხმაურზე დათუნია ფიქრებიდან გამოერკვა და უკან მოიხედა, მელია ცლანგა რომ შერჩა ხელში, უსიამოვნოდ დაიღმიჭა.

— დილა მშვიდობისა, დათუნია ბატონო! — მიესალმა ცლანგა.

— მშვიდობა მოგცეს, მელია ცლანგა! — უპასუხა უგემურად ბაჯბაჯამ,

— დათუნია ბატონო, როგორ ჩაფიქრებული გაქვთ ეგ ჭკვიანური სახე. ალბათ დიდ საქმეზე ფიქრობდით, არა?

დათუნია კმაყოფილი დარჩა მელიას თავაზიანობით და უპასუხა:

— სწორედ რომ დიდ საქმეზე ვფიქრობ, თუმცა შენ ვერც გაიგებ. არა, მაინც გეტყვი. გაგიგონია „ქვეყანა დიდიაო"? — ვფიქრობ როგორ ვნახო ეს ქვეყანა!

„ერთი ამ გამოყეყეჩებულს უყურე, ეს რა მოუნდომებიაო", — გაიფიქრა გუნებაში ცლანგამ, ბაჯბაჯას კი უპასუხა:

— აი, ეს მესმის! მე უბედურმა ვიკითხო, ხეზე გასვლა რომ არ მეხერხება, თორემ თქვენ რა გიჭირთ, ახვალთ ტბასთან დიდ მუხაზე, კენწეროზე მოექცევით და ხელისგულივით დაინახავთ მთელ ქვეყანას.

„ბიჭოს! ეს რა კარგად მითხრა"! — გაიფიქრა დათუნიამ, გამოემშვიდობა და საჩქაროდ ტყიდან ფერდობზე დაეშვა. გადიძუნძულა მინდორი და ვეებერთელა მუხის ძირას მიბაჯბაჯდა. ზურგჩანთა გვერდზე მიაგდო, მოებღაუჭა ხეს და აბობღებას შეუდგა... რის ვაივაგლახით ტოტებამდე მიაღწია, იქიდან კი სწრაფად იწყო ასვლა.

ნახევრამდე არც კი იყო ასული, რომ, მუხის ძირში მელია ცლანგა მიცუნცულდა. დაითრია ზურგჩანთა, ჩაჯდა იქვე და თვალების ბრეცით ბაჯბაჯას საუზმეს გემრიელად შეექცა.

სად იყო და სად არა, თაგუნია წრუწუნა ამოძვრა სოროდან. შიმშილისაგან საცოდავად აცმაცუნებდა ტუჩებს. ცლანგამ ეშმაკურად გაიქნია თავისი ფიშფიშა კუდი, ხალათის უბიდან საჭმლის ნამცეცები მოაგროვა და მშიერ თაგუნას დაუწყო მიწოდება. ჯერ შორს, შემდეგ სულ ახლოს და ახლოს



უყრიდა. თაგუნიაც შიმშილისაგან გაბრუებული მიჰყვებოდა ლუკმებს. მელია ცლანგამ ახლოს რომ მიიტყუა წრუწუნა, სწრაფად დასტაცა თათი და დათუნიას ზურგჩანთაში ჩაკეტა.

ამასობაში ბაჯბაჯაც მოექცა მუხას კენწეროში. მართლაცდა, მშვენიერი სანახაობა გადაეშალა დათუნიას თვალწინ. ირგვლივ მთები, მდინარეები, და გორაკები მოჩანდა. ამ სულელს ეგონა, ეს არის მთელს ქვეყანას გადავყურებო და სიხარულისაგან აღარ იცოდა რა ექნა.

— ვაშაა! — შესძახა ბაჯბაჯამ, — ესეც ასე, ეს ქვეყანაც ხომ ვნახე, მაშ არადა, ზოგიერთივით მარტო მიწაზე სიარული ხომ არ უნდა იცოდე კაცმა!

საუცხოო მწვანე ტყეში მზის სხივებზე ლურჯად კიაფობდა ტბა. ბიჭოს! იხვები! მთელი ოჯახი ტბაში ჭყუმპალაობდა, მშვენიერ ხასიათზე იყვნენ ყვითელი ჭუკები, მათი მხიარული ჭიტჭიტი დათუნიას ყურამდეც აღწევდა. ბაჯბაჯაც კარგ გუნებაზე გახლდათ.

— წავიდე ერთი, მეც ვიბანაო! — თქვა და დაეშვა ქვემოთ.

დადგა თუ არა ფეხი მიწაზე, მაშინათვე დასტაცა თათი ზურგჩანთას და ძუნძულით გასწია ტბისაკენ.

ტბასთან გრილი ნიავი უბერავდა. დათუნია ისეთ ჭამის მადაზე მოვიდა, რომ ბანაობა სულ გადაავიწყდა და ჩაჯდა იქვე მწვანედ მოხასხასე ბალახებში. ჩანთა ფეხებშუა მოიქცია. ის იყო ახადა თავი და საუზმის ამოღება დააპირა, რომ დამფრთხალი თაგუნია აწრიალდა. შეშინებულმა დათუნიამ თათი სწრაფად ამოიღო ჩანთიდან და გაკვირვებისაგან პირდაღებულმა შიგ ჩაიხედა. ამ დროს გულგახეთქილი წრუწუნა შურდულივით ამოვარდა და პირდაპირ ბაჯბაჯას კუპრივით შავი პირის ღრუში ამოჰყო თავი. დათუნიამ ერთი საზარლად დაიბღავლა და გულშემოყრილი გაიშხლართა ბალახებში, თაგვმა კი თავს უშველა.

— უი, ამას რას ვხედავ! — წამოიძახა კურდღელმა, რომელიც რაღაც საქმეზე მიეშურებოდა, მაგრამ მის დანახვაზე ყველაფერი დაივიწყა და ბაჯბაჯას თავზე ჩაცუცქდა.

— ვაიმე, მიშველეთ. გული წასვლია! იხვებო, წყალი, წყალი საჩქაროდ! ასხურეთ ამ უბედურს, თორემ მოკვდება ეს დათვის შვილი, ესა! — ემუდარებოდა კურდღელი იხვებს.

იხვებმა დიდი ვახვახი შექმნეს ტბაზე. მთელი ოჯახი ფრთების ტყლაშუნით მოაწყდა ნაპირს, შემდეგ ყველა ერთად მოკვატკვატდა დათუნიასთან და გაშვერილი ფრთებიდან რიგრიგობით ასხეს წყალი ბაჯბაჯას.

როგორც იქნა, გამოცოცხლდა დათუნია. წამოჯდა, ძლივს სუნთქავდა, ჰაერი აღარ ყოფნიდა. მიიხედ-მოიხედა: უამრავი ფრინველისა და ცხოველის ფართოდ დაჭყეტილი თვალები მისჩერებოდა საცოდავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ლავრენტი ჭიჭინაძე

ცნობილ საბავშვო მწერალს ლავრენტი ჭიჭინაძეს დაბადების 70 წელი შეუსრულდა.

თითქმის ნახევარი საუკუნეა, ლ. ჭიჭინაძის საყმაწვილო ნაწარმოებები ახარებენ ქართველი მოზარდების სულსა და გულს, ნორჩ მკითხველს უნერგავენ მამულის, სწავლისა და შრომის სიყვარულს, სიკეთისათვის ბრძოლის კეთილშობილურ გრძნობას.

ლ. ჭიჭინაძემ სათანადო ამაგი დასდო ჩვენს ჟურნალს, რომლის ფურცლებზეც გამოქვეყნდა მისი საუკეთესო მოთხრობები, ზღაპრები, მოგონებანი... იგი წლების მანძილზე „პიონერის" რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი იყო და დაუღალავად იღვწოდა ამ ჟურნალის ყოველმხრივი სრულყოფისათვის.

„პიონერის" რედაქცია და სარედაქციო კოლეგია გულითადად ულოცავენ ღვაწლმოსილ მწერალს დაბადების 70 წლისთავს, უსურვებენ ხანგრძლივ სიცოცხლეს და ახალ შემოქმედებით მიღწევებს.

# შემოდგომა — ფერი მოცვენებისა

ოქტომბერში ჩვენებური შემოდგომა სრულ სიმწიფეში შედის. საგრძნობლად იმატა ღამემ. სამაგიეროდ, სუფთა და საოცრად გამჭვირვალეა შემოდგომის მზიანი დღეები.

ფერადი სამოსით შეიმკო ბუნება. სადღესასწაულო იერი დაედო მთას. შეფერადდა მუხა. ნარინჯისფერმა ფოთოლებმა კიდევ უფრო მომხიბლავი გახადა მთრთოლავი ვერხვი, გიგანტური წიფლები, მეწამულ ფოთლებში ჩაძირულა ჭანჭყატისა და ცირცელის ნაყოფები. აქა-იქ ცეცხლის ენებად ანთებულან ნეკერჩხლები. ოქტომბრის ტყე — ეს ფერების ჭეშმარიტი ფესტივალია. არც წვიმას, არც დილის ნამსა და ღამის თრთვილს არ ძალუძს გაანელოს შემოდგომის ტყის ფერთა ჩაუქრობელი ხანძარი.

ბუნების უხილავი ძალით გამოწვეული ფერისცვალება არ ეხება მხოლოდ წიწვოვან მცენარეებს. ბოლომდე ინარჩუნებენ მწვანე სიმშვიდეს ფიჭვები, მელაქიტისფერი ნაძვები და სოჭები; მარადიულ მწვანე სამოსელში გახვეულა აგრეთვე კავკასიური როდოდენდრონი — დეკა.

შემოდგომით გამოწვეული წლის სეზონური ცვლილება არ ეტყობა ასევე ჩვენს შავი ზღვისპირეთს. აქ თბილი შემოდგომა იანვრამდე გრძელდება ხოლმე. მზე დღე-ღამეში საშუალოდ ათი საათით ათბობს სუბტროპიკებს, ბულვარები, სკვერები, პარკები ზაფხულივით სავსეა მწვანედ მოხასხასე მცენარეულობით — ადგილობრივითა და ეგზოტიკურით. აქაურ შემოდგომას ტყუილად როდი შეარქვეს ხავერდისა.

საოცრად მშვენიერია ალპური კროკუსი — ერთდროულად გაზაფხულისა და ზამთრის პირველი მახარობელი. სად არ შემხვედრია შემოდგომით ძოხდენილი ფორმის გვირგვინოვანი ფურცლებით შემკული ეს ნაზი მცენარე: მოიისფრო-ლურჯი ჯავახეთსა (ჭობარეთი) და აფხაზეთში (ავადხარა), იისფერი — სამეგრელოში (ლებარდე), სოსნისფერი — ნახჭევანში, კაპუჯიხის მთის კალთებზე, ბაცი ცისფერი, აზერბაიჯანში, შემახის გადასასვლელზე, ლებარდეში. ვერტიკალური სარტყლების მიხედვით, იგი სამფერია: მაღალმთის ტყის ზონაში მოიისფრო-ლურჯი, ტყისა და სუბალპური სარტყლების საზღვარზე — ნარინჯისფერი, ალპურ სარტყელში — სპილოსძვლისფერი. რომელი უფრო ლამაზია? ვისაც ოქტომბერში სამეგრელოში, კერძოდ, ოხაჩკუეში ყოფილა, პირველობას უდავოდ ნარინჯისფერ კროკუს მისცემს. ოხაჩკუეს კირქვიანების რუხ და ალპური ნაირბალახოვნების მწვანე ხავერდის ფონზე მოფენილი კროკუსები სიმრავლით ვარსკვლავებს ეცილებიან, სიმშვენიერით კი... კონკურსს გარეშე დგანან.



ხელუხვია შემოდგომის ტყე.

დიდ კავკასიონზე უკვე მოთოვა. ბუნებამ ჯერ კიდევ ვერ მოასწრო შემოდგომის მორთულობიდან ზამთრისაზე გადასვლა, რომ ახალი თოვლის სპეტაკი სითეთრის ტყვეობაში აღმოჩნდნენ არაბიკისა და ავადხარას, უშგულისა და შხარას მიდამოები. მაღალმთიანეთში თოვლის წინამორბედებმა, კროკუსებმა შეჰკნობაც ვერ მოასწრეს, რომ მუხლებამდე თოვლით დაიფარა სალი კლდეები და ზვიადი ხეობები.

შემოდგომის იშვიათი ყვავილები სრულ ჰარმონიაშია ფოთოლცვენასთან. ველ-მინდვრებში კვლავინდებურად მომხიბლავი არიან ნარი და ბაბუაწვერა, ძიძო და გვირილა. ფუტკრები ჯერ კიდევ ეტანებიან ბუნების უკანასკნელ ძღვენს.

ტყის ზოგიერთი ხილის დამწიფებული ნაყოფი — ფენოლოგიური შემოდგომის უტყუარი ნიშანია. ოქტომბერში კრეფენ: მაყვალოს, პანტას, ტყემალს, ზღმარტლს, კუნელს, ასკილს ოქტომბერივე გახლავთ სამკურნალო ფლორის შეგროვების დრო: ღვიის, ქაცვის, მოცვისა და სხვათა ნაყოფები, სხვა მცენარეთა ქერქი და ფესვები მრავალი ავადმყოფობის განსაკურნებლად გამოიყენება.

მგალობელ ფრინველებს აღარა აქვთ აპრილის აზარტი: აღარ აფრთხიალებენ ფრთებს, გალობაში ახლა სევდის — მშობლიურ მხარესთან გამომშვიდობების მოტივე-



ალპური ზაფრანა სიცოცხლეს ანიჭებს მდელოებს



ნარინჯისფერი ფოთლებით შეიმოსა ტყე.

ბი ჭარბობენ; ამ დროს ზოგიერთები ხშირად ბაძავენ ზაფხულში მოსმენილ თანამოძმეთა ხმებს. თითქოსდა ჰყვებიან, თუ სად ყოფილან და რა უნახავთ.

დიდ გუნდებად დაფრენენ ქედნები, გვრიტები, ჰილყვავები. გულს სინანულით ავსებს წეროების ყივილი. ყარყატები გულმოდგინედ წვრთნიან ახალგაზრდებს თბილ ქვეყნებში შორეული და რთული მგზავრობის წინ. უმაღლესი პილოტაჟის კურსს სხვა ფრთოსნებიც მუყაითად ეუფლებიან. იმისათვის, რომ მტაცებელიც მოატყუონ, მონადირეც და მისი ძაღლიც, ათასგვარ ოინს მიმართავენ როჭოები და კაკბები.

დადგა ნადირობის სეზონი. სამხრეთისაკენ კარგა ხანია აიღეს სტარტი ფრინველებმა.



შემოდგომის ტყემ უხვი ძღვენი იცის.

მგლებსა და მელიებს უმთავრდებათ ქურქის გამოცვლის პერიოდი. წამოიზარდნენ ახალგაზრდა მაჩვები, ზღარბები, ზამთრისათვის თავგამოდებით იგროვებს ცხიმს დათვი. ახლა იგი ყველაფერს ჭამს — თხილსაც, ფესვებსაც, თაფლსაც, ხორცსაც. ხშირად ესტუმრება ადამიანის ადგილსამყოფელსაც.

ტყეში შეიძლება მოვისმინოთ უცნაური, ძალლის ჩახლეჩილი ყეფის მსგავსი ბგერები. მას გამოსცემენ მამრი შვლები. ამ ჩლიქოსნებს უკვე დაუდგათ შეწყვილების დრო. და აი, ბღავიან მდედრის ძებნაში გართული მამრები. ამ დროს თუ მეტოქეები ერთმანეთს შეხვდნენ, ჩვეულებრივ ეს მშვიდობიანი ცხოველები სასტიკად იბრძვიან. დამარცხებული უპროტესტოდ სტოვებს ბრძოლის ველს.

შემოდგომა — ეს გაზაფხულია ირმების, ცხენირმების, დომბებისა და ჯიხვებისათვის. თითქოსდა შემოდგომის ტყის სილამაზით გაგიჟებულები მინდვრებსა და ტყისპირებში გაბმული ხმით ბღავიან ჩლიქოსნები.

ოქტომბერს ხალხში ტყუილად როდი უწოდებენ ირმის ყვირილობის ჟამს.

ცხოველთა ზოგიერთ წარმომადგენელს უკვე ეწყება ძილისკენ მიდრეკილება: ბაყაყები მოხერხებულ ადგილას მოკალათდებიან და ეყვინთებათ. ქვეწარმავლებმაც მონახეს მყუდრო ბინები და მალე ზამთრის ძილს მიეცემიან.

საოცრად შეიცვალა ტყე, თითო-ოროლა საგვიანო ლამაზმანი ყვავილი ფონს ველარ ქმნის. დამთავრდა ტყის მასობრივი ყვავილობის დრო.

სულ უფრო სწრაფად ყვითლდებიან მცენარეები. ბილიკებზე შრიალებენ ჩამოცვენილი ფოთლები. გაიცრიცა ზაფხულის მხიარული ფერები. სულ უფრო ძლიერად ილვენთება მეწამული, ნარინჯისფერი, ყვითელი ფერები. ძალაში შევიდა ოქროსფერი შემოდგომა ჟამი მოსვენებისა.

არნ. ბეგეჭკორი,
ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.
ფოტო ავტორისა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

გუნთერ გორლიხი

მოთხრობა

მხატვარი ი. სამსონაძე.

## „ამხანაგმა" იხვია წამართვა

ცივი ქარი დათარეშობს და ლეგა ღრუბლებს ნანგრევების -ავზე ერეკება. მე სარდაფის შესასვლელში ვყურყუტობ, იხვიას უცდი, ის პაულის მოსაყვანად წავიდა.

ბნელდება. წვიმს.

სარდაფში ვირთაგვები წრიპინებენ. მე კი მეშინია. ჩათქვირე-ული ვირთაგვები შესანიშნავ გუნებაზე არიან. დანგრეული სა-ლების სარდაფებში ხომ ჯერ კიდევ ბევრი გვამი ყრია.

ჩემს ახლოს ზევიდან ქვები ცვივა: თურმე იხვია ჩამოდის რთხილად, კიბეზე ხელის ფათურით.

ზოზინით იბერტყავს ტანსაცმლიდან წვიმის წვეთებს, ხელები ა ტუჩები სიცივისაგან გალურჯებია. უგუნებოდ მიყურებს და ვალებს ჭუტავს.

— პაული არ მოვა, — მეუბნება.

— ავად არის?

იხვია უარის ნიშნად თავს აქნევს.

— ჩვენ აღარ გამოგვყვება.

იხვია ჩემს გვერდით ჯდება და, მოყოლას იწყებს:

—როგორც კი კარზე დავაკაკუნე, ვიღაც კაცმა გამიღო. — ალ-ათ, პაულის წაყვანა გინდა? — მკითხა და ცხვირწინ ამეტუზა. აბა, მოსწყდი აქედან! თქვენი ქურთბაცაცობა გათავდა, — და-მუქრა. რა თქმა უნდა, გამოვიძურწე. დერეფანში ლურჯი პი-კი ეკიდა. მოხუცმა, ეტყობა, პოლიციაში დაიწყო მუშაობა.

კბილებს ვაკრაჭუნებ.

პაულის მამა მხოლოდ ორიოდე დღის წინათ დაბრუნდა შინ. მმაკმა იცის, საიდან. დღემდე ყველაფერი კარგად მიდიოდა. ის მოვიდა თუ არა, პოლიციელი გახდა, აჰ, ახლა აღარ გჭირდე-ათ!? პოლიციელები ხომ დამატებით ნორმას იღებენ!

მაშასადამე პაული აღარ მოვა. ეტყობა დაიყოლიეს! იხვიას ვერ ეტყვი, რასაც ვფიქრობ. ახლა მხოლოდ ორნი დავრჩით და ამასაც ომ მოელანდოს რამე...

იხვია ზურგით კედელს მიჰყრდნობია და ყვინთავს. ზოგჯერ ეიშმუშნება, რადგან სიცივისაგან იყინება.

იხვიას ჩემი ქურთუკი მოვახურე, თბილია და პალტოსავით ოთქმის წვივებამდე მწვდება. სახელოები ბებიამ გადააკეთა. ქურ-უკი მთელ ცენტნერ საუკეთესო ხარისხის ნახშირად დამიჯდა.

იხვია ისევ გამოცოცხლდა. შარვლის ჯიბიდან სიგარეტის ნამწვი ოაძვრინა. მისი აზრით, თუ ეწევი და თანაც მხოლოდ ნამწვს, ე ძალიან აღარ გშია. ეს მე არ მჯერა, თვითონ მოსწიოს, რა! ითი წლით არის ჩემზე უფროსი, უკვე ცამეტი შეუსრულდა.

ეგებ მერე მეც მოვწიო.

იხვია მცირედით კმაყოფილდება და ყველაფერში დამყოლია, ლონდ საკუთარი ტვინის ჭყლეტა არ დასჭირდეს. მუდამ მე უნდა მტვრიო თავი საქმის მოსაგვარებლად.

— ნახშირის ბუნკერთან ახლოსაც ველარ მივალთ, იქ პოლი-იელები დაძვრებიან, ძაღლებიც ჰყავთ, — ვეუბნები.

იხვიამ გაურკვევლად ჩაიდუდუნა.

— სხვაგვარად უნდა მოვაწყოთ, — ვამბობ ჩემთვის.

იხვია ნამწვს წუწნის და პასუხს არ მაძლევს.

ვბრაზდები.

— აბა, მოვუსვათ!

უკვე ყველაფერი მოვიფიქრე. ლიანდაგის ჯებირზე მთავარი აგნალია. ნახშირით დატვირთული მატარებლები ამ ადგილას ნელა დიან და სიგნალის წინ თითქმის ყოველთვის ჩერდებიან. ერთ აგონზე ავცოცდები და ნახშირს გადმოვყრი, იხვია კი შეაგროვებს, ვრბივართ. ამასობაში ისე დაბნელდა, რომ თვალთან თითს ვერ იტან. წვიმაც ცრის.

ქურთუკი ისევ მე მაცვია. იხვიამ ნახშირის ტომარა წამოიხუ-ა. ბეწვის ქუდის ყურები ჩამოიწია. ბაჯბაჯა სიარული იცის და ოტომ ვეძახით იხვიას. სინამდვილეში კი რუდი ჰქვია.

ნანგრევები რკინიგზის სადგურამდე აღწევს. ეს ჩვენთვის ხელსაყრელია.

ცოტა არ იყოს, მშურს, რომ იხვიას თბილი, ლამაზი ბეწვის ქუდი აქვს. მიამბო, ვიღაც მკვდარს ავართვიო. ალბათ, წაიტრაბახა.

მალე შობა დადგება. ეგებ მეც ვიყიდო შავ ბაზარზე ასეთი. ბებიასაც უნდა ექნეს. მაშინ მართლა დაემსგავსება ბებია რუსს.

ახლოს ყრუ გრუხუნი გაისმა.

— ფუჰ, დასწყევლოს ეშმაკმა! — ბუზღუნებს იხვია და მაგრად მეკვრის.

ნეტა რა მოხდა? თურმე, დანახშირებული სახლები ინგრევა ქარის მობერვაზე გზას ვაგრძელებთ.

შუქნიშანი წითლად და მწვანედ ანათებს. მე და იხვია რკინიგზის ვაკისზე ვწევართ და ვიცდით. ლიანდაგები ისე გადმოვიარეთ, ერთ პოლიციელსაც არ შევხვედრივართ. ისინი უფრო ნახშირის ბუნკერთან არიან. ანდა ასეთ ამინდში თბილ საგუშაგო ჯიხურებში მოკალათდებიან ხოლმე.

ვიცდით, თან ვითოშებით. ჯიბეში გამხმარი პურის ნატეხი მიდევს. მაგარი და ხრაშუნაკანიანია, გული კი — რბილი, წებოვანი აქვს. ბებიამ მომცა შინიდან რომ გამოვდიოდი. ვღლუკმები. ჩემს გვერდით იხვიამ ამოიოხრა. პური მოვუტეხე და ნახევარი გავუწოდე.

ოთხი ტომარა წამოვიღეთ, დღეს ხომ დიდი გეგმები გვაქვს. ზოგჯერ ერთ პურში ნახევარ ცენტნერ ნახშირს ვიხდით. ასეთი ფასებია ბაზარზე; მთავარია, თავი არავის მოატყუებინო!

იხვიას აზრით, ეალე მოთოვს.

შორს ორთქლმავალი უსტვენს, ორი მბჟუტავი შუქი ნელა ახლოვდება.

ჩემი ვარაუდი მართლდება. მატარებელი ლიანდაგზე მოღჭრიალებს. გული ბაგაბუგით მიცემს... ნამდვილად ნახშირიანი მატარებელია. ჩერდება კიდეც!

გამცილებელი პოლიციელები ყოველთვის უკანა ვაგონზე სხედან. სწრაფად მივცოცავ სველ, ცივ რკინის კიბეზე, ნახშირს ვაგონიდან გაფაციცებით ვყრი, ოფლი ზურგზე წურწურით ჩამომდის. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რამდენად ჩქარა ვიმუშავებთ იხვია და მე. უეცარი ბიძგი უკან მეწევა. მატარებელი იძვრის. ჯახამრიდები ხმაურით ეხეთქება ერთმანეთს და უცებ გარკვევით მესმის ყვირილი, ხან შორიდან, ხან კი თითქოს ახლოდან.

პირველად, რამაც თავში გამიელვა, ეს იყო იხვია.

ვაგონიდან ვხტები. წვეტიანი ქვები ხელებსა და მუხლებს მიტყავებს. მიწას ვეკვრი, არ ვინძრევი, თან სმენას ვიმახვილებ. თვლები მიგორავს, ვაგონები მიხრიგინობს და ისევ ყვირილი ჩამესმის.

იქ, სადაც იხვია უნდა იყოს, ჯიბის ფანრების მორიალე შუქი ჩანს. მამაკაცის ხრინწიანი და აღელვებული ხმა აღწევს ჩემამდე:

— აბა, ცოცხლად, თორემ სისხლისაგან იცლება...

სწრაფად ვდგები, გავრბივარ, ლიანდაგზე ფეხი მიცდება, ვეცემი, ისევ მივიჩქარი. ყელში რაღაც მიჭერს და სულს მიხუთავს. ბებიას ვერაფერს ვიტყვი, არ ვიცი რა ვქნა...

ჩემი მეგობარი იხვია ნახშირიანი მატარებლის ქვეშ მოჰყვა.

ზამთარი იწურება. თოვლი დნება და ისე ძალიან აღარა ცივა, ბებიამ თქვა: ღმერთმა შეგვიწყალაო.

რაღა შეწყალებაა, ამ ზამთარში არაადამიანური სიცივეები იყო და ხალხიც საკმაოდ გაიყინა.

სკოლა დახურეს; ამის გამო არც გაცდენები მქონდა...

იხვიას ნახვა მინდა საავადმყოფოში და ფეხები უკან მრჩება. მისთვის პაკეტი მაქვს. შიგ პური და მთელი გირვანქა შაქარი დევს.

ნეტა როგორ გამოიყურება ახლა იხვია? მარცხენა ფეხი კოჭს ზემოთ უნდა გადაეჭრათ. ალბათ როგორ ეტკინებოდა! მაშინ, როცა გავიგე იხვიას გადარჩენა, ძალიან გამიხარდა, მისთვის მოსაყოლის მეტი რა მაქვს? აქამდეც ბევრჯერ მინდოდა საავადმყოფოში წასვლა და ყოველთვის გადავდებდი ხოლმე, ვერ ვბედავდი.

ერთხელ მასწავლებელი ლაპარაკობდა ამ უბედურების შესახებ. მერჩივნა, მიწა გამხეთქოდა, მაგრამ მე არ ვუხსენებივარ. როგორც ჩანს, იხვიას არ გავუცივარ.

საავადმყოფო დიდ, ნათელ შენობაშია მოთავსებული. მასაც დაეცა ბომბები. მიკვირს, რომ ყველა ფანჯარაში მინები ბრწყინავს.

ნანგრევებში ქალები დაძვრებიან.

ისინი ცუდად გამოიყურებიან და კაცი იფიქრებს, ეს-ეს არის ქარი წაიღებსო.

ფართო კიბეს მივყვები. უცნაური სუნი დგას, ალბათ ავადმყოფებისა. კისრის ძარღვები მებერება და სიმწრის ოფლი მასხამს.

ერთ ექთანს ვთხოვე იხვიას პალატასთან მიმიყვანოს.

ნათელ ოთახში თეთრი საწოლები დგას. ერთზე იხვია წევს. საწოლის წინ ვდგავარ და ხმას ვერ ვიღებ. იხვია რაღაც სხვანაირია, დიდი თვალები აქვს, ფერმკრთალია და ძალიან სუფთა.

— გამარჯობა, რუდი, — ვეუბნები, — რა სითბოა აქ. (გაჭირვებით ამოვღერღე ეს სიტყვები)!

— პეტერს გაუმარჯოს! რა კარგია, რომ მოხვედი, — იხვია იღიმება და წითლდება. ვჯდები, შეხედვა მინდა და ვერ ვბედავ. პაკეტს ვაძლევ, ფრთხილად მართმევს თავისი თეთრი, სუფთა ხელებით. აღარ ვიცი, ჩემი თითები სად დავმალო.

— დედაჩემმა მითხრა, ყოველ კვირას ჩემთვის საჭმელი და სათბობი მოაქვსო, — იწყებს იხვია.

— ჰო, — ვეუბნები, — დედაშენს უჭირს პატარების მოვლა, შენ კი დახმარება აღარ შეგიძლია.

— პეტერ, — მეწევა იხვია, იძულებული ვარ თვალებში ჩავხედო, — მეტად აღარ გააკეთო ეს. ნუ წახვალ ნახშირის მოსაპარად...

ახლა პირდაპირ თვალებში ვუყურებ.

— უკვე აღარ ვიპარავ ნახშირს. მართლა, მას შემდეგ... შემიძლია დავიფიცო.

იხვია ბალიშზე ეშვება, კმაყოფილი ჩანს.

შემდეგ მიყვება: პოლიციელებმა და რკინიგზელებმა რკინიგზის ტერიტორიიდან გამიყვანეს; ვერსად იშოვეს მანქანა და კინაღამ დავიცალე სისხლისაგან; საბედნიეროდ, რუსების მანქანამ ჩამოიარა, პირდაპირ სულზე მომისწრეს.

აქ ყველა კარგად მექცევა. რუსები ძალიან ზრუნავენ საავადმყოფოზე, ფანჯრების მინები მოაქვთ, სათბობიც. რუსმა რომელმაც მანქანით საავადმყოფოში მომიყვანა და სიკვდილს გადამარჩინა, ერთხელ კიდევ მინახულა. მან თქვა, ყველა ვინც ბეჯითად და პატიოსნად იმუშავებს, კარგადაც იცხოვრებსო.

იხვია შეუჩერებლივ ლაპარაკობს. ავად არის და ფეხიც სტკივა, თორემ ვეტყოდი, შენ ძალიან კარგად ლაპარაკობ, მაგრამ სინამდვილეში სხვაგვარად არის-მეთქი.

განა მე თვითონ არ ვნახე, ზამთარში რამდენი კაცი მოკვდა შიმშილისაგან და გაიყინა? ბრუნომაც თქვა... გერმანიიდან უველას ყველაფერი გააქვთო. ძალიან მაინტერესებს, რატომ გამოიცვალა იხვია და ამიტომ ვეკითხები, ვისგან იცის ყველაფერი. მეორე საწოლზე მითითებს. თეთრ ბალიშზე გამხდარ ყვითელ სახეს ვამჩნევ.

— „ამხანაგს" ეძახიან, — ჩურჩულით მეუბნება იხვია, — ძალიან მოხერხებულია. ყოველთვის სდევნიდნენ და ამიტომ დაავადმყოფდა. იცი, რა მაგრად ჭყვება! არც ელვა სათქმელი.

იქით მხარეს ცალი თვალით ვიხედები.

ვისაც დრო აქვს, ბევრის მოყოლაც შეუძლია და იხვიასათვის ეს ძალიან კარგიც არის — ისე აღარ იდარდებს.

სიჩუმე ჩამოვარდა. უცებ იხვია სახელოზე მეწევა:

— მითხარი, პეტერ, — და პაკეტზე მიჩვენებს, — ეს ყველაფერი სად იშოვე?

ვწითლდები. რა უნდა ვუპასუხო? მოვუყვე ბრუნოსა და შავ ბაზარზე?

იხვია მთლად გამოცვლილა. ის ახლა გამოკითხვას დამიწყებს და ვეღარ გამიგებს.

— რუდი, ხომ იცი, ნანგრევებში რას არ იპოვის კაცი, — ვეუბნები სხვათა შორის.

— ფრთხილად იყავი, იმათგან, ნანგრევებში რომ დაძვრებოდნენ, ბევრნი მოიყვანეს აქ; — მითხრა.

ვზივარ საწოლის კიდეზე და აზრიან სათქმელს ვეღარ ვპოულობ. სამაგიეროდ, იხვია ლაპარაკობს. ის უცნაურად მიყურებს და მეუბნება, ცუდია სკოლის გაცდენა, რადგან ეს საკუთარი თავის მტრობას ნიშნავს.

მე კი ვიცი, იხვია შობამდე ახალ მთვარესავით თუ გამოჩნდებოდა ხოლმე სკოლაში და სიცილს ვეღარ ვიკავებ. ის აგრძელებს, ყველამ ბეჯითად უნდა ისწავლოსო, მე უკვე დავიწყე სწავლა, „ამხანაგი" მეხმარებაო.

ახლა კი ვხვდები, სად არის ძაღლის თავი დამარხული.

იხვია ლაპარაკობს, მე ვდუმვარ. ადრე კი პირიქით იყო. წასვლის დროც არის, მაგრამ მაინტერესებს, რანაირია გადაჭრილი ფეხი... არადა, ეგებ იხვიას ეწყინოს, ეს რომ ვკითხო.

თუმცა თვითონ იწყებს. ის საბანს იხდის და ვხედავ გვერდიგვერდ დაწყობილ მის გამხდარ ფეხებს. ერთს ტერფი აღარა აქვს. იხვია მეუბნება, ერთ წელიწადში ისევ შემეძლება სიარულიო.

მე კი არ მჯერა და, მგონი, შემნიშნა კიდეც.

— ტყავისა და ხისაგან გამიკეთებენ ფეხს...

იხვია ჩემკენ იხრება — თურმე რუსეთში ცხოვრობს მფრინავი, რომელსაც ორივე ფეხი მოჰკვეთეს. ის ჯანმრთელი კაცივით დადის და თვითმფრინავსაც მართავს. გასაოცარი ამბავია. „ამხანაგმა" მიამბო, თვითონ წიგნში წაუკითხავს.

იხვიას ბევრი ლაპარაკისაგან ლოყები შეუფაკლდა. გამეხარდა, როცა ოთახში ექთანმა შემოჰყო თავი და დაიძახა:

— ნახვის საათები გათავდა!

იხვია ხელს მართმევს, თვალები ხალისიანად უბრწყინავს. კიდევ ერთხელ ვიხედები ქურდულად „ამხანაგისაკენ". სძინავს. მე კი მოწყენილი ვარ.

მან იხვია წამართვა.

## ბრუნოს ხელში დანა უელავს

პატარა მუკმა ჯადოსნური ქოშები დაკარგა. ეს ჯერ კიდევ 82-ე გვერდზე წერია. შემდეგი ფურცელი კი უკვე 150-ეა. აქ აღარაფერია პატარა მუკზე. ასეა, როცა წიგნს ნახევარი აკლია; არადა, როგორ მომწონს პატარა მუკის ამბავი!

ბებია ზის წითელი ხავერდის სავარძელში, რომელიც მასზე ხნიერია. ქსოვს, ძველი წინდები დაარღვია და ახლა თბილი შარფი უნდა მომიქსოვოს. ფანჯრის წინ თეთრი ფიფქები ირევა. ამ წუთში მზე ანათებდა და ცაზეც მხიარული ბამბის ქულა ღრუბლები მიიზლაზნებოდნენ. მართალი უთქვამთ: — აპრილი პატარძალივით ჭირვეულია, დღეში ათჯერ იცვლის გუნებასო.

ქუჩიდან სტვენა ისმის. შევკრთი. ნამდვილად ბრუნოა! ფრთხილად ვიჭვრიტები ფანჯარაში. ქვევით, ქუჩის მეორე მხარეს დგას, თავისი დალაქავებული ქურთუკი აცვია, კაპიუშონიც თავზე წამოუხურავს.

მას შემდეგ, რაც საავადმყოფოდან წამოვედი, აღარ შევხვედრივარ. სულ იხვია მაგონდებოდა. შეცვლილი იხვია. ყვითელსახიან კაცზეც ვფიქრობდი. როგორც ჩანს, იხვიას ბევრი რამ უსწავლია მისგან. რამდენჯერ ვინატრე კიდეც, საავადმყოფოში ვწოლილიყავი, თბილ, თეთრ ლოგინში მოჰყვება ვინმე რამეს, იწექი შენთვის, უსმინე და გამოჰკითხე იმ მთისა, ამ ბარისა.

იხვიამ და მე შევფიცეთ, არასოდეს დავშორებულიყავით და მუდამ მხარში ამოვდგომოდით ერთმანეთს. უკვე ერთხელ გავტეხე ფიცი, რადგან შემეშინდა, მაგრამ შემდეგ ხომ გამოვასწორე?

ბრუნოსთან აღარ წავედი. ორი კვირაა არც სკოლა გამიცდენია.

ბებიას კამოდში რამდენიმე წიგნი უდევს. ამოვიღე და ჯერ ბიბლია წავიკითხე, არც ისე მოსაწყენი ყოფილა, როგორც მეგონა, ოღონდ მოქმედი პირები ხშირად მიდიან ომებში, იბრძვიან.

ბებია მორწმუნეა. მას ერთი ძალიან სქელი წიგნი აქვს. რუსული „ბუხანკა" პურივით სქელი. შიგ წმინდანებზე ათასნაირი ამბები წერია. მალე გადავდე გვერდზე, რადგან ღამე მესიზმრებოდა. ზოგს თითქოს ცეცხლში ყრიან, თუმცა არ იწვება, მხოლოდ კვდება. ზოგი კედლებში გადის, ფარფატებს მოედნის თავზე და ხალხს ელაპარაკება. ამ ამბებმა მთლად ამიბნია გონება.

ბებიას ვუთხარი, ყველა წმინდანის ამბავი წავიკითხე-მეთქი, ვიცი, გაეხარდებოდა.

მას პაპისაგან სამახსოვრო წიგნიცა აქვს. სასოებით ინახავს. ჯერ არ წაუკითხავს, რადგან ხეირიანად არც იცის კითხვა. წიგნს „ბებელი" ჰქვია. რა მსგავსია, არა? — ბებელი ბიბლია! ერთხელ ჩუმად ამოვიღე წიგნი კამოდიდან, მაგრამ იმას ვერავინ წაიკითხავდა. ასოები ისე იყო დაცრეცილი. ნაწერს ვერ მიუდგებოდი. ძველი საექიმო წიგნი თუა. ბებია ყოველთვის მიყვებოდა, პაპა ექიმივით ჭკვიანი იყო და უნდოდა, ყველა ღარიბ ადამიანს დახმარებოდაო.

ბებიას წიგნებში ყველას მაინც ზღაპრები სჯობია. უკვე სამჯერ წავიკითხე, მაგრამ პატარა მუკის ამბის გასაგებად რას გამო-



და. მე ხელი შუბლზე ვიტკიცე და ვუთხარი: „რას ამბობთ, ჩვენს დროში ეს ასი მარკაც ღირს!“. ქალმა კინაღამ ერთი მაგრა ჩამოფა-რა, მაგრამ თავი შეიკავა. 80 მარკად გავასაღე სასწორი. ის ის იყო ათესვა მინდოდა, ვიღაც დამეჯახა. ჩემს წინ ნაცრისფერ- [illegible] როქუდიანი მაღალი ტიპი იდგა. ჯიბეში ფულს [illegible] ხელი.
„ნუ გეშინია, — მითხრა მაღალმა, — შენი ფული არ მინდა“.
ალბათ, მითვალთვალებდა, როგორ გავყიდე სასწორი.
„ძმაკაცო, — ისევ მომიბრუნდა, — იცი, სიცილით კინაღამ გავიფხრიწე, როცა ჟანგიანი თუნუქის ფასი 80 მარკამდე ასწიე“.
ჩემთან საქმის გარჩევა უნდოდა.
„ვაჭრობაში შენი მარიფათი მაკლია, გასაყიდი კი თავზესაყრელად მაქვს. რა თქმა უნდა, შენი ჟანგიანი სასწორისთანა ხარახურა არ არის“, — მითხრა.
მას შემდეგ ვყიდდი შავ ბაზარზე ბრუნოს ნაირ-ნაირ საქონელს. გასამრჯელოდ ცოტას მაძლევდნენ. მაგრამ არც ისეთი ბავშვი ვიყავი, რომ ვინმეს მოვეტყუებინე. ბრუნოს რაში სჭირდებოდა ზუსტად იმის ცოდნა, რამდენს ვიღებდი ნივთებში.

მადგებოდა?! დღემდე არ ვიცი, რა დაემართა. ზოგჯერ ბრუნოც მახსენდებოდა. ახლა მან ჩემს ბინასაც მოაგნო. ისევ უხტვენს — გაბმულად და გამაყრუებლად. ქვევით უნდა ჩავიდე.
ბრუნო ბრაზით მიყურებს და ხელს მართმევს. მთელი თავით ჩემზე მაღალია და ორი წლით უფროსიც.
— რატომ აღარ მოდიხარ? — მეკითხება.
— აღარ მინდა!
ბრუნოს თვალები უფართოვდება.
— იცოდე, დაგბეგვავთ!
მო, ამას იზამენ, კარგად ვიცი. მაგრამ სიტყვასაც არ ვეუბნები.
— ნუ სულელობ, — რბილად აგრძელებს ბრუნო და ერთი ხელის აქნევით იძრობს თავიდან კაპიუშონს, — ახლა ერთ საქმეს ვატრიალებთ, სულ ეს არის. — ქურთუკის ჯიბიდან რამდენიმე დაჭმუჭნული ქაღალდის ფულს იღებს.
— ჰა, იყიდე რამე!

●

მატარებელი რწევითა და რყევით მიიკლაკნება, რადგან ლიანდაგი გაცვეთილია. ისეთი კუპე მოვძებნე, სადაც ფანჯარაში მინებია. აქედან გახედვაც შეიძლება.
რა მოხდება ამ საღამოს? ბრუნოს დიდ საქმეზე ჯერ არ წავუყვანივარ. ნეტა რას გულისხმობენ საერთოდ „დიდ საქმეში“?
ბრუნო შავ ბაზარზე გავიცანი. ეს სწორედ იხვიას უბედურების შემდეგ მოხდა. ნანგრევებიდან ძველი საოჯახო სასწორი გამოვათრიე, მისი გაყიდვა მინდოდა. სულ დაჭყლეტილი იყო და შევაკეთე. ბებიამ გააპრიალა. ერთ ქალს უნდოდა 10 მარკად ეყი-

●

რუმელსბურგში ბაქანი ცარიელია. ღამდება. ბრუნოს აქ უნდა შევხვდე. უკვე ვხედავ კიდეც. ქვევით, სადგურის წინ დგას. მასთან ორი სხვაც არის. მათ ვიცნობდი, რადგან ხშირად მოჰქონდათ ჩემთან გასაყიდი საქონელი.
სამივეს ჯიბეებში ჩაუწყვია ხელები და გათოშილი სახეებით მტრულად მომშტერებიან.
— როგორც იქნა გვაღირსე მოსვლა, — ბუზღუნებს ბრუნო.
გავწიეთ. ბრუნო ჩვენს ბანდას მიუძღვის. ეტყობა, კარგად ერკვევა ამ მხარეში. ჩემთვის ეს ადგილები უცხოა. მხოლოდ ვიცი, საითაც მივდივართ, იმ მიმართულებით ბევრი აგარაკია. ერთხელ ბებიამ მიამბო, ადრე რუმელსბურგსა და ოსტკროიცს შორის ჩვენც გვქონდა აგარაკიო.
მთელი ნაშუადღევი იმაზე ფიქრს მოვანდომე, ასეთი რა „დიდი საქმე“ უნდა ჰქონდეთ. ბრუნო რომ ამბობდა-მეთქი. ეგებ რომელიმე ნანგრევში ძვირფასი განძი აღმოაჩინეს? ომის ბოლოს ბევრი მალავდა სიმდიდრეს. ასეთი რამ ხშირად გამიგონია, მაგრამ ამ მიდამოში მხოლოდ უბადრუკი აგარაკები და ღარიბი ხალხი ჩანს, ვინ ჩაფლავდა აქ განძს?
ბოლო სახლიც უკან მოვიტოვეთ. ჩვენ კი ისევ ბრუნოს მივდევთ. გზაზე ქვიშა ყრია. წყლით ავსებული ორმოები გვხვდება. უკვე რამდენჯერმე ჩავვარდი ტლაპოში, ფეხები დამისველდა და გამიცივდა. აუცილებლად უნდა ვიშოვო მაგარი, გამძლე ფეხსაცმელი.
ბრუნოს მაღალყელიანი სქელი, ტყავისლანჩიანი ფეხსაცმელი აცვია, ამერიკელ ჯარისკაცებს რომ აქვთ, ისეთი.
უსიტყვოდ მივდივართ. ვბრაზობ, რადგან სიცივისაგან ვიყინები. თუმცა უკვე იგრძნობა, რომ გაზაფხული ახლოვდება. ნესტი-

ანი მიწისა და დამპალი ნეშოს სუნი დგას. მიყვარს გაზაფხული!

ბრუნო ფეხს ანელებს. რამდენიმე ფიცრულში სინათლე ბჟუტავს.

ჩვენ ბაღებს შორის ვიწრო გზაზე ვუხვევთ. ბრუნო ერთ დაბალ ღობესთან ჩერდება. ჩვენც მასთან ვგროვდებით და სმენას ვიმახვილებთ. სადღაც ძაღლები ყეფენ.

მგონია, გული ისე ხმამაღლა მიცემს, რომ მისი ხმა ყველას ესმის-მეთქი.

ჩაბნელებულ ბაღში სახლი დგას. ბრუნო ბაღის კარის სახელურს ქვევით სწევს. კარის ანჯამები აჭრიალდა. სახლს მივაშურეთ. მუხლით მყარ საგანს ვასკდები. რაღაც მიწაზე ყრუ ხმაურით ეცემა.

ბრუნო ჩერდება და ჩუმად იგინება.

— ეი, შეიკავე ცოტა თავი!

მუხლი მტკივა... ბრუნო სატეხით ამტვრევს კარს, რომელიც ტოლით არის შეჭედილი. ახლა ჩემთვის ცხადია, რა გვინდა აქ. ფიცრულში თბილა და ვაშლისა და ბალახ-ბულახის სუნი დგას. ისეთი უკუნი სიბნელეა, რომ ვერაფერს ვარჩევ. ჯიბის ფანარი ინთება. მის შუქზე მოჩანს პატარა, ვიწრო ოთახი. შემდეგ კარადა და ფეხებმორყეული მაგიდა, რუსული ღუმელი და ბოლოს კედელთან მდგარი საწოლი. ზედ კაცი წევს. უკვე მუხლები მიკანკალებს.

კაცი იშმუშნება, თავს სწევს და ფანრის შუქს აშტერდება. მოხუცია, გაბურძგნული თეთრი წვერი აქვს.

— რა გინდათ? — კითხულობს ჩუმად, ენის ბორძიკით, ხმაზე ეტყობა, როგორი შეშინებულია.

სიწყნარე ჩამოვარდა, თითოეული, ალბათ, ცდილობს სუნთქვა შეიკავოს.

— რა გინდათ? — უფრო ხმამაღლა ამბობს კაცი და იდაყვებზე იწევა. ბრუნო გაუბედავად დგამს მისკენ ნაბიჯს და სისინებს:

— წყნარად, რაღაცას ვეძებთ!

მოხუცი ხვნეშითა და ოხვრით დგება და თმა[illegible]დება ბრუნოს წინ.

— თქვენ ქურდები ხართ, ჰო, ქურდები... — მტირალა ხმა ამოსდის ყელიდან. კედელს ვეკვრები, გაქცევა მინდა აქედან, მხოლოდ გაქცევა. ბრუნომ კაცს მკერდზე ჰკრა ხელი და მოხუცი უკანვე დაეცა ლოგინზე. ბრუნოს ხელში დანა აქვს, მჭრელი პირი ცივად ელავს.

მოხუცი დანას თვალებგაფართოებული აშტერდება.

— რაღაცას ვეძებთ, — ჩურჩულებს ბრუნო.

ერთმა მუჭლუგუნი გამკრა:

— აბა, მოჰკიდე ხელი!

არაფერი მესმის, არ ვიცი, რა ვქნა.

უთოს ხელს ვკიდებ; კიდევ რაღაცას ვიღებ. ფეხები ისევ მიკანკალებს.

ბნელ გზებზე ბაღებს შორის მივჩაქჩაქებთ. ოღონდ ახლა არა რუმელსბურგისაკენ, არამედ ოსტკროიცის მხარეს. არავინ იღებს ხმას. უამარვი რამ გვაქვს სათრევი.

— უნდა ავთესილიყავით, — ამბობს უცებ ერთი.

— ალბათ შენ ხარ მაგისთანა. სჯობდა, საერთოდ დარჩენილიყავი სახლში! — გაბრაზებით ეპასუხება ბრუნო.

ისევ სიწყნარეა, მხოლოდ სილა ხრაშუნობს ფეხსაცმლის ქვეშ და ტომრებში ლითონის რაჩხუნი ისმის. ბაღების გაყოლებით მივიჩქარით.

ერთი წყვილი გამძლე მაღალყელიანი ფეხსაცმელი გავიხვიე. ხვალ გავპოხავ, შემდეგ კი ფეხები აღარასოდეს დამისველდება.

## მოზარდების დამხმარე სხვაგან მგზავნის

ფანჯარა პატარაა, მასში ჯვარედინი რკინის გისოსებია ჩასმული. დარაჯმა საკანში სინათლე გამომირთო და მითხრა:

— დაიძინე ახლა და რაიმე სისულელე არ ჩაიდინო!

ჩავვარდი. სხვებმა კი მოახერხეს თავის დაძვრენა.

ფანჯრიდან აქა-იქ მოციმციმე ვარსკვლავები მოჩანს.

არ ცივა, რადგან მაისი კარგა ხანია დადგა, მაგრამ მე მაინც მაკანკალებს.

ბებია შინ მელის. არ დაეძინება და სულ ჩემზე იფიქრებს.

ნეტავ რას მიზამენ ხვალ? ციმბირში გამგზავნიან? ისინი ხომ ყველას ციმბირში გზავნიან (ასე გვითხრა ბრუნოს მამამ). მაგრამ ჯერ ჯერ პატარა ვარ. რა უნდა გავაკეთო ციმბირში? გავიყინები. ერთი პოლიციელი ძალიან მეგობრულად მომექცა. მიყურა, მიყურა და კარგა ხანს აქნია თავი.

„ხვალ ყველაფერს მოგიყვები და შემდეგ ვნახოთო", მითხრა.

მათ კარგად შეუძლიათ თავის მოკატუნება, მაგრამ არაფერს ვიტყვი, ასეა საჭირო, თორემ ყველაფერი გამოირკვევა — ფიცრულის ამბავიც და სხვაც.

ამხანაგები არ უნდა გავცე! მათ მაიძულეს საშინელი ფიცი დამედო. ფიცის გამტეხი კი დიდი არამზადაა.

ეს იყო პირველ მაისს. ბრუნომ კიდევ ერთხელ წამიყვანა საქმეზე. საფუნთუშე მაღაზიაში შევედით. ოთხი პური მერგო.

პირველი მაისი ხომ დღესასწაულია და სკოლიდან თავისუფალი ვიყავით. ბრუნო, ორი ბიჭი და მე ერკნერში გავემგზავრეთ.

ბრუნოს ლაქებიანი ზურგჩანთა ეკიდა. მას ტყეში ერთ მყუდრო ადგილას მივყავდით. ახალი გათენებული იყო. მზეს მოესწრო ხის კენწეროებზე შესკუპება.

ბრუნომ დიდი ხის ქვეშ წრიულად დაგვსხა და საიდუმლოდ გვითხრა, რომ უნდა დაგვეარსებინა კავშირი, რათა უფრო შევმჭიდროებულიყავით და ერთმანეთზე დანდობა შეგვძლებოდა. თუ გვსურდა საიდუმლო კავშირში მონაწილეობა, ფიციც უნდა მიგვეღო.

ბრუნომ ქურთუკიდან დიდი დანა ამოიღო, შავი ლითონის ქარქაშში ჩადებული (ჰიტლერის დროს ატარებდნენ ბიჭები ასეთ დანას).

ზურგჩანთიდან თუნუქის ტოლჩა და ყავიანი ლუდის ბოთლი ამოაცოცა. თითოეულს ხელი ტოლჩის პირდაპირ უნდა დაეჭირა. ბრუნო დანით კაწრავდა კანს, რომ სისხლი გამოსულიყო. სისხლი ტოლჩაში ეწვეთებოდა და ბრუნო დანით ურევდა. თითოეულმა ერთი ყლუპი მოსვა. მე ძარღვიც არ შემტოკებია.

. შემდეგ თითები დანის ბასრ პირს დავადევით და შევფიცეთ. ფიცი ასეთი იყო: თითოეულმა უნდა გააკეთოს ყველაფერი, რასაც საიდუმლო კავშირი გვიბრძანებს. არ უნდა გავთქვათ ერთმანეთი, თორემ სასტიკად დავისჯებით, რადგან ჩვენ ძმადნაფიცები ვართ.

როცა ფიცი დავდეთ, ტყეში მდელოზე წავიქეიფეთ. ბრუნოს თან წამოეღო პური და მარგარინი. სიგარეტი მოვწიე და სხვებთან ერთად ცოტა არაყიც დავაყოლე. ცუდად გავხდი, სხვებსაც არ ადგათ კარგი დღე. ბრუნო დაგვცინოდა, თუმცა ვერც ის გრძნობდა თავს კარგად.

ქალაქში გვიან დავბრუნდი. იქ ვიღაც კაცები მოაბიჯებდნენ წითელი დროშების ფრიალით, რადგან დღესასწაული იყო.

ბრუნომ თქვა:

— ესენი ბოლშევიკები არიან. გაუთავებელ პროპაგანდას ეწევიან. მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელდება...

ქუჩის ერთ კუთხეში რამდენიმე კაცი მუშაობდა ნანგრევებში, რომელზეც წითელი დროშა აღემართათ.

ბრუნოს გაეცინა:

— კარგი დღესასწაული კი აქვთ!

ვერ მივხვდი, ამით რისი თქმა უნდოდა. მე ცუდად ვგრძნობდი თავს.

ამის შემდეგ კიდევ რამდენიმე საქმე დავატრიალეთ. მე მაშინ ჩავვარდი, როცა სასურსათო მაღაზიაში ვაპირებდით შეპარვას. ბრუნოს შეეტყო, რომ მაღაზიაში ბევრი ღორი და ხორცი იყო. ღორი შავ ბაზარზე ძვირად იყიდებოდა.

მაღაზიასთან დარაჯი იდგა. უცებ დავეცი და მან ქეჩოში მტაცა ხელი.

ახლა კი საკანში ვზივარ. ხვალ უნდა დამკითხონ.

ეს რომ იხვიამ იცოდეს!..

ამიერიდან ვერც მას და ვერც ბებიას ვერასოდეს ვნახავ. ვინ დაეხმარება ბებიას?

— აბა, ყმაწვილო, ადექი!

სწორედ იხვია მესიზმრებოდა. ის თითქოს ასკინკილათი მიახლოვდებოდა. გოლიათივით იდგა ჩემს წინ და ხმამაღლა იცინოდა. შემეშინდა, რადგან ვინც ჩემკენ გადმოიხარა, უკვე იხვიას სახე აღარა ჰქონდა. ეს იყო ბებერი ფიცრულიდან.

თვალებს ვახელ. რკინის გისოსებიდან მზე ანათებს. დარაჯი, რომელმაც გუშინ საღამოს ჩამკეტა, ჩემი ლოგინის წინ დგას.

ყველაფერი მახსენდება და ვფხიზლდები.

კაცს დაღლილი თვალები აქვს, მეგობრულად არ მიყურებს.

— წამო! თქვენგან კაცს მხოლოდ უსიამოვნება შეხვდება.

გრძელი დერეფნით მივდივართ. კარგა ხნის დაგუბებული თამბაქოს კვამლის სუნია. მეც მომინდა სიგარეტის მოწევა. ერთი მიმოვიხედე, გაპარვა თუ შეიძლება-მეთქი. სანამ დამიჭერდნენ, მიმალვასაც მოვასწრებ.

კაცი რომელიღაც კარში მაგდებს და მაშინვე ვგრძნობ, რომ აქ საჭმელია.

ცოტა მოგვიანებით გავიპარები!

სუფთად გახეხილ მაგიდასთან ქალი დგას.

— აჭამე რამე! — ეუბნება კაცი და მიდის.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქალი მიყურებს. არც ისე მოხუცი ჩანს, მაგრამ თმა გასჭაღარავებია.

— მაინც რა დააშავე? — მეკითხება.

— არაფერიც არ დამიშავებია!

ქალი თავს აქნევს და ოხრავს.

— ყველანი ერთნაირები ხართ!

სამზარეულოდან თავშეუწუხებლად შემიძლია ათესვა.

ფქვილის შეჭამანდს და ერთ ნაჭერ პურს მაძლევს ქალი, რომელსაც საპნისა და ნარეცხი წყლის სუნი უდის.

— მამაშენი რას იტყვის ახლა? — მეკითხება ქალი.

— მამა არა მყავს.

ის ისევ აქნევს თავს.

— მაინც რამდენი წლისა ხარ? — აგრძელებს გამოკითხვას.

— საკმაო ხნისა! — ვუპასუხე მე, თუ უნდა, გაბრაზდეს, რას დავეძებ! საჭმელი შევჭამე და ცემის მეტს რას მიზამს?

ქალი კი არ ბრაზდება. ის კიდევ მივსებს თეფშს შეჭამადით და პურის ნაჭერსაც მაძლევს. აჰა, ჭამე! — შეუბნება.

კეთილი ქალია ეგებ იცის, რა მომელის?

ვუყვები, რომ რაღაცის მოპარვა მინდოდა, რადგან მე და ბებია ვშიმშილობთ.

ქალი ჩაფიქრებული მიყურებს სიტყვას არ ამბობს.

იცინის. შემდეგ კი ძალიან ბევრს მელაპარაკება. თურმე მე ჯერ კიდევ პატარა ვარ. სულ ბავშვი და არ ჩამსვამენ. სხვები უნდა ჩასვან, ვინაც ყველაფერს ეს სინდისზე აწევს, ვინც არის დამნაშავე, რომ ცხოვრება ქვეყნად ასე ცუდად არის მოწყობილი.

კოვზით ვხვრეპ ფქვილის შეჭამანდს და პურს ვლოღნი.

ქალი სწორედ ისე ლაპარაკობს, როგორც იხვია. ვუსმენ და ვფიქრობ ჩემ მომავალ ხვედრზე. რა მომელის?

— მაგრამ შენ... მე სავადმყოფოში უნდა დავწვე... შენ მარტო ვერ დარჩები, — ნაღვლიანად ლუღლუღებს ბებია, — შეიძლება მალე მოვკვდე — ნუ ჩამატან შენს ჯავრს, პეტერ!

არ მინდა ბებიამ ჩემ გამო იდარდოს.

•

ოთახიდან გავდივარ და ვხედავ ბებიას. ის ზის და მიყურებს: რა სიამოვნებით გავიქცეოდი უკან! ბებიას ვუახლოვდები. ის გულში მიკრავს და ვგრძნობ, როგორ უკანკალებს ხელები.

რა საზიზღრობაა — ბებიას მოყვანა რაში სჭირდებოდათ? მან ხომ არაფერი იცის, არც ბრუნოზე და ფიცრულის გაძარცვაზე, არც საიდუმლო კავშირზე.

დიდ საწერ მაგიდასთან ვიღაც კაცი ზის. თვალები მუქჩარჩოიანი სათვალის მიღმა ჩამალვია. მე მომმართავს:

— დაჯექი, პეტერ! — დაბალი ხმა აქვს, ოდნავ ხრინწიანი. აინტერესებს, ვისთან ერთად ვაპირებდი სასურსათო მაღაზიის გატეხვას. გულის კანკალით ვუცდიდი ამ კითხვას. მაგონდება ბრუნო და ჩვენი ფიცი.

— იქ ბიჭები შემხვდნენ, მაგრამ მათ არ ვიცნობ, — ვეუბნები ენის ბორძიკით. ეს კაცი არ მიჯერებს, შეიძლება, არც ბებია.

მამაკაცი სათვალეს იხსნის. ისეთი თვალები აქვს, რომ მის მზერას ვერსად გაექცევი

— ჰო, კარგი, — ამბობს, — კარგი.

რაღაცას წერს და ბებიას უწვდის... ისიც აკანკალებული ხელით ართმევს. ჩემი აზრით, ეს განაჩენია და გულში ყრუ ტკივილსა ვგრძნობ.

ბებიამ თავს უნდა მიხედოს, — იწყებს კაცი, — საავადმყოფოში უნდა იმკურნალოს. შენ კი ამასობაში ბავშვთა სახლში იქნები.

ბებია იღიმება, თან უხმოდ იცრემლება. საწერი მაგიდის იქით მჯდომი კაცი იკეთებს სათვალეს.

რა კარგია, არ დამაპატიმრებენ, ფიციც ხომ არ გამიტეხია!

მხოლოდ ქუჩაში მოვიაზრე, რომ ბავშვთა სახლში უნდა წავიდე.

— მე არ მოგშორდები, — ვეუბნები ბებიას. მას მივყავარ; ეტყობა, როგორ უჭირს სიარული.

•

ძველი კედლის საათი ტიკტიკებს. ვერ ვიძინებ. ბებია კი მშვიდად ფშვინავს. მთვარე იჭყიტება ოთახში და პირდაპირ პაპაჩემის სურათს დანათის. პაპა მკაცრად მიყურებს, თუმცა ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს.

უკვე მოვსინჯე — რა ადგილასაც უნდა დავდგე ოთახში, პაპა მაინც მომჩერებია.

ხვალ ბავშვთა ბანაკში უნდა გავემგზავრო. როგორ არ მინდა! მაგრამ ბებია შეიძლება მოკვდეს, რომ წავიდე.

ჯერ კიდევ ძალიან პატარა ვიყავი ბავშვთა ბანაკში. ახლაც არ დამვიწყებია. ეს ომის დროს იყო. არასოდეს წავიდოდი ბავშვთა ბანაკში, რომ მამაჩემს არ მოსვლოდა რამე.

ყველაფერი მაგონდება.

ერთ ღამეს უეცრად გამეღვიძა. რაღაც ხმაური და ხრიგინი მესმოდა. პირველად გავიფიქრე, ბომბდამშენებია-მეთქი. მაშინ თითქმის ყოველ ღამეს გვბომბავდნენ, მაგრამ ეს სულ სხვა რამ იყო. ვიღაცამ დააკაკუნა. კართან მივირბინე და დერეფანში შიშით გავიჭვრიტე. გარეთ მამა იდგა. თმა ისე გაწეწოდა, თითქოს საწოლიდან ეს-ეს არის ადგაო. აქეთ-იქით სამი კაცი ამოსდგომოდა. ისინი ხმამაღლა ლაპარაკობდნენ. ვერ გავიგე, რა უნდოდათ.

ერთმა უთხრა:

ნუ გვიძალიანდები, თორემ....

შემდეგ უცებ სტაცეს მამას ხელი და კარებიდან გაათრიეს. საწოლისაკენ გამოვექანე, საბნის ქვეშ შევძვერი. მამა მერე აღარასოდეს მინახავს. აღარც მახსოვს მისი სახე. ვიცი მხოლოდ, რომ მაღალი და ქერათმიანი იყო.

დედა ბევრს ტიროდა, მაგრამ რას უშველიდა — მამა აღარ დაბრუნებულა. ჩვენ ბებიასთან გადავედით. სახლში ყველა აღმაცერად გვიყურებდა, რადგან მამაჩემი ციხეში იჯდა. ბებია არ ტირო-

და, ხიძეს ლანძღავდა. „შეუგნებელი, — ამბობდა ის, — სულაც არ ღირს მისთვის ტირილი. ის მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობდა.

როცა ბებია ასე ითათხებოდა, დედას ტირილი უფრო აუვარდებოდა. მე ვერაფერს ვგებულობდი, მაგრამ ხშირად ვიტეხდი თავს ფიქრით, როგორ შეეძლო მამას ცუდის გაკეთება-მეთქი.

რამდენიმე კვირის თავზე წერილი მოვიდა. ეს კარგად მახსოვს, რადგან თვითონ შევუტანე დედაჩემს. როცა წაიკითხა, მთლად გაფითრდა და წამოიყვირა:

— მოკლეს, იმათ მოკლეს...

წერილით გვატყობინებდნენ, მამა გარდაიცვალაო. (ყოველივე ეს მოგვიანებით ბებიამ მიამბო).

დედა ავად გახდა. ღამღამობით ხმამაღლა ყვიროდა და ხშირად ვეღარა მცნობდა. ძალიან მეშინოდა მისი. ყოველთვის ბებიის საწოლში შევძვრებოდი ხოლმე.

ერთ დილას რომ გამეღვიძა დავინახე, ბებია მის საწოლთან იდგა და ტიროდა.

დედაჩემი მოკვდა. ბებიასთან მარტო დავრჩი.

ცუდი დრო დადგა. სულ უფრო გაჭირდა საჭმლის შოვნა და ღამე არ გავიდოდა, რომ თვითმფრინავებს არ ეგუგუნათ ქალაქის თავზე. ჩვენს ქუჩაზე ბევრი სახლი დაიწვა.

ერთ დღეს უცხო კაცი გვესტუმრა. ბებიას ელაპარაკებოდა. სამი დღის შემდეგ კი წამიყვანა. არ მინდოდა, მაგრამ არაფერმა მიშველა. თვითმფრინავების თავდასხმების გამო მაშინ ბევრი ბავშვი გაიყვანეს ქალაქიდან.

დიდხანს ვიმგზავრეთ მატარებლით. ბოლოს ბავშვთა ბანაკში ჩავედით...

იქაურობა არ მომეწონა. სადილამდე სკოლაში უნდა გვევლო, ნაშუადღევს მდიდარ გლეხებთან ვმუშაობდით სოფელში. მე ერთ ასეთ გლეხს მიმაბარეს, კუნკელი ერქვა. საუზმეზე ის, მისი ცოლი და მოჯამაგირე ბუტერბროდებს ჭამდნენ, მე კი მშრალ პურს მაძლევდნენ. როცა გლეხი გაბრაზებული იყო (ის კი ხშირად ბრაზდებოდა). „ზარმაც ქალაქელ ნაძირალას" მეძახდა. გაქცევა მინდოდა, მაგრამ ბობოლა ბანაკის ხელმძღვანელთან მეგობრობდა, მისი შიშით კი ყველას გვაკანკალებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლის უკან დიდი ბაღჩა ჰქონდა, ერთხელ, რამდენიმე ვაშლი მოვწყვიტე, მანამდე, არც კი გამესინჯა. მოჯამაგირემ დამიჭირა და გლეხთან მიმათრია.

— შე წყეულო ლორიშვილო! ჩემს ხეხილში ცაძვრები, ხომ? მე შენ გიჩვენებ სეირს! — დამიტატანა.

შემდეგ ბანაკის ხელმძღვანელთან დამაბეზღა. იმან სახეში გამარტყა და მიყვირა:

— უჰ, შე კომუნისტის ლეკვო, ერთხელაც იქნება მამაშენივით კატორღაში ამოგალპობენ.

ბევრი ბავშვი იდგა იქ, როცა სილა გამაწნეს. იმ დღიდან ცუდად წამივიდა ცხოვრება. არავის სურდა ჩემთან საქმის დაჭერა ყველა მაწვალებდა და მაბრაზებდა, რადგან „კომუნისტის ლეკვი" ვიყავი, რა ჩემი ბრალი იყო, თუ მამაჩემმა რაიმე ჩაიდინა?

მაშინ გავიგე, რომ ყველა ადამიანი ცუდი ყოფილა (ბებიის გარდა).

ცოტა ხნის შემდეგ ბებიამ მნახა, ყველაფერი ვუამბე. მან კი ჩუმად წამიყვანა სახლში.

მაშინ ბავშვთა ბანაკში ისე მკაცრი კონტროლი არ იყო, რადგან რუსები ახლოვდებოდნენ. ყველაფერი ერთმანეთში ირეოდა. ხელმძღვანელი იმალებოდა, ბობოლა კუნკელმაც შეკაზმა ცხენები. ასე იყო მაშინ.

ახლა კი ისევ ბავშვთა ბანაკში უნდა წავსულიყავი.
მთვარე მიიმალა. პაპაჩემის სურათს ველარ ვხედავდი.
კედლის საათის ტიკტიკი თანდათან ნელდებოდა...

გერმანულიდან თარგმნა
რუსუდან შამელაშვილმა.



# ჭადრაკი

განყოფილებას ხელმძღვანელობს
საქართველოს სსრ
დამსახურებული მწვრთნელი
ზოთა ინწკირველი

ამჯერად გავეცნოთ ქუთაისის მაიაკოვსკის სახელობის პირველი საშუალო სკოლის მოსწავლის გია გიორგაძის შემოქმედებას (საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის დ. ჩირაძის კლასი).

1976 წლის იანვრის არდადეგებზე ქუთაისის მოსწავლეთა ჩემპიონატში მეხუთეკლასელმა ნორჩმა მოჭადრაკემ მეორე ადგილი დაიკავა და უკან ჩამოიტოვა მასზე უფრო გამოცდილი უფროსკლასელი მოჭადრაკეები.

ჯერ ვნახოთ პიონერული ასაკის გუნდების („მსოფლიოს ჩემპიონთა პრიზზე" — „თეთრი ეტლი") საკავშირო ჩემპიონატის წინა ეტაპზე — საქართველოს პირველობაზე ნათამაშევი პარტია.

პარტია № 6

ინგლისური დასაწყისი

თეთრები: გ. გიორგაძე
(პირველთანრიგოსანი, ქუთაისი)
შავები მ. ჯღამაძე
(პირველთანრიგოსანი ცხაკაია)

ქ. სამტრედია, 1975 წ. მარტი.

1. c4 e5 2. მc3 მc6 3. მf3 კc5.

შავები ნაადრევად არკვევენ კუს პოზიციას.

4. e3 მf6 5. d4 ed 6. ed ლe7+

ესეც საეჭვო ღირსების სვლაა. მალე ლაზიერს ტემპის დაკარგვით უკან დახევა მოუხდება.

7. კe2 კb4 8. 0—0 კ:c3 9. bc 0—0 10. ეe1 ეe8 11. კf4 (შეიძლებოდა 11. კg5-ც).

თეთრებმა დაამთავრეს ფიგურების განვითარება, შავები კი ჩამორჩნენ განვითარებაში, თეთრებს ორ კუსთან ერთად ტერიტორიული უპირატესობაც აქვთ.

11. ... d6 12. კd3 ლd8 13. d5 ე:e1+ 14. ლ:e1 მe7 15. კg5 მg6 16. კ:f6 ლ:f6?

„გადამწყვეტი შეცდომაა. შედარებით უკეთესი იყო 16. ... gf, თუმცა ამ შემთხვევაშიც შავების პოზიცია არასახარბიელოა". (კომენტარი გ. გიორგაძისა).

17. ლe8+ მf8 18. d4.

შეიძლებოდა 18. კ:f7+

18. ... g6 19. ეe1 ლg5 20. ეe7 ლf4.



თეთრი ფიგურები არა მხოლოდ აქტიურადაა განლაგებული, არამედ მათი ლაზიერი და ეტლი ღრმად არიან შეჭრილი მოწინააღმდეგის ბანაკში, მაშინ როცა შავების ძალები განუვითარებელია და დაქსაქსულია, როგორც ასეთ შემთხვევაში ამბობენ, თეთრების ფიგურების მოქმედება კოორდინირებულია, შავებისა კი — არა. (დავიმახსოვროთ, რომ ფიგურათა კოორდინირებული (შეთანხმებული) მოქმედება ჭადრაკის თამაშის საფუძველია).

ყოველივე ამის შედეგად შავების პოზიციაში შეიქმნა კრიტიკული პუნქტი (იხ. „პიონერის" 1976 წ. № 3, პარტია გაფრინდაშვილი-პოლუგაევსკი) და მე-8 ჰორიზონტალის დაუცველობა. (მოტივები).

21. მf5!!

ბრწყინვალე კომბინაციის დასაწყისი! მოგებისაკენ მივყავდით 21. g3-საც, მაგრამ

ნორჩი მოჭადრაკის მიერ არჩეული გზა უმოკლესია და ეფექტური.

21. ... კe6 22. de!!

კომბინაციის დამაგვირგვინებელი სვლა. თეთრების წინა სვლით განხორციელდა „გადაკეტვის" იდეა, ხოლო ლაზიერის შეწირვით კი — ეტლის „ჩათრევა" e8 უჯრაზე, რის შემდეგაც ორმაგი დარტყმით ხდება პაიკის გაყვანა ლაზიერად, რაც ამ კომბინაციის თემაა.

22. ... ე:e8 23. ef+მფh8 24. feლ ლc1+ 25. კf1. შავები დანებდნენ.

მშვენიერი პარტიაა, ნიჭისა და ცოდნის შერწყმის კარგი ნიმუშია!

ახლა ვნახოთ მოსწავლეთა საქალაქო ჩემპიონატში ნათამაშევი პარტია.

### პარტია № 7

ძველინდური დაცვა

თეთრები: გ. გიორგაძე (პირველთანრიგოსანი)

შავები: მ. გიგიჩაძე (პირველთანრიგოსანი)

ქუთაისი, 1976 წ.

1. d4 მf6 2. c4 g6 3. მc3 კg7 4. e4 d6 5. f3 (ზემიშის სისტემა. იხ. „პიონერის" 1974 წ. № 1, 5, 8, 10, 1975 წ. № 8).

5. ... 0—0 6. კe3 მc6 7. ლd2.

აქ თეორიული გაგრძელებაა 7. მg—e2. 7. ... e5 8. d5 მd4 9. მg—e2. მ:e2 10. კ:e2 c6?

„სუსტი სვლაა, რის შედეგად შავები პაიკს აგებენ: 11. dc bc 12. ეd1 მe8 13. c5. მაგრამ თეთრები ყურადღებას არ აქცევენ პაიკის მოგებას. ისინი გატაცებული არიან მოწინააღმდეგის მეფეზე იერიშის მიტანით". (გ. გიორგაძე).

11. g4 cd 12. cd a6 13. h4 h5.

„შავების ეს სვლა ხელს უწყობს თეთრების იერიშის გაძლიერებას" (გ. გიორგაძე).

14. კg5! ლa5 15. კ:f6 კ:f6 16. gh კh 17. ლh6 კg7 18. ეg1 კg4 19. ლe3 კd7 20. ლg5. შავები დანებდნენ.

გ. გიორგაძემ კარგად ჩაატარა იერიში მეფის ფრთაზე და მიაღწია სწრაფ გამარჯვებას.

ახლა კი გთავაზობთ საინტერესო დაბოლოებას ამოხსნილად.



ალიოხინი

სვლა თეთრებისაა. შავებმა მოიგეს.

ამ პოზიციაში ალიოხინმა კუთი აიყვანა პაიკი (კ:a4??), რის შემდეგ შავებმა ტაქტიკური დარტყმით აიძულეს თეთრები დანებებულიყვნენ.

ველით თქვენს პასუხს. მისამართში აუცილებლად აღნიშნეთ: ჟურნალ „პიონერის" რედაქცია. „მხედრიონი".

## სარჩევი


დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი პიონერული რაზმების საკავშირო მარში . . . 1
გოგოლაძე თ. — მხარდამხარ (მოთხრობა, გაგრძელება) . . . 4
მეტრეველი რ. — დიდი მამულიშვილი (წერილი) . . . 12
ბრიშაშვილი ი. — ჰიმნი შრომისადმი (ლექსი) . . . 15
კ ო ც ო ნ ი . . . 16
„ა ი ს ი" . . . 18
ერისთავი ს. — მოთხრობები ცირკის ცხოვრებიდან . . . 20
ცხადაძე შ. — დათუნია და ვაშლი; ბაჭბაჭა და ეს ქვეყანა (ზღაპრები) . . . 22
ლავრენტი ჰიჰინაძე — დაბადების 70 წლისთავი . . . 24
ზებეჰკორი არნ. — შემოდგომა — ჟამი მოსვენებისა (წერილი) . . . 24
ბორლიხი ბ. — შავი პეტერი (მოთხრობა, თარგმანი რ. შამელაშვილისა) . . . 26
მ ხ ე დ რ ი ო ნ ი . . . 28
ც ხ რ ა კ ლ ი ტ უ ლ ი . . . გარეკ. . . . 33. 3


გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა იოსებ სამსონაძისა.


საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.

სარედაქციო კოლეგია: დოდო ვადაჭკორია, ზურაბ ლეჟავაშელი (პ/მგ. მდივანი), ზურაბ ლომიძე, მარიჯანი, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ძლიბაძე, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, ლევან ჩიქვანაია, ზურაბ ჭუმბურიძე.

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის—93-97-05 93-31-81 პ/მგ. მდივნის 93-97-03 93-53-05 განყოფილებების—93-97-02 93-97-01

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი ლენინის ქ. № 14.
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси. ул. Ленина № 14.
გადაეცა ასაწყობად 10/VIII-76 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/IX-76 წ. ქაღალდის ფორმატი $60 \times 90^{1}/_{8}$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35. შეკვ. № 3144. ტირ. 143.000. უე 00855

ფასი 20 კაპიკი

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.




© „პიონერი", 1976 წ.

# კროსვორდი

შვეულად: 1. გათეთრებული თმა, ანუ? 2. ნუსხა, 4. ქალაქი ევროპაში; 5. ნიკო ლომოურის მოთხრობა; 6. ფრინველი; 9. ჭადრაკის ფიგურა; 10. ფერადი ლითონი; 18. სახელმწიფო ევროპაში; 19. პირველი ბოლშევიკური გაზეთი; 20. ქსოვილის სახეობა; 21. ხის ჯიში; 26. მნათობი; 27. მდინარე ქართლში; 28. ფრინველი; 29. ახლად გაკაფული საყანე.

თარაზულად: 7. ლამაზი, ანუ? 8. მინერალი; 11. წლოვანება ანუ? 12. ჭიდაობა ძიუდოს ტერმინი; 13. დედნის პირი; 14. ხილი; 15. კაცის ქართული სახელი; 16. ნახშირბადის სახეცვლილება; 17. სამხედრო წოდება; 20. ნისლი ანუ? 22. საბჭოთა ტანმოვარჯიშე; 23. მდინარე სსრკ-ში; 24. ხის ჯიში; 25. ხილი; 26. სამყარო, ანუ?; 30. სახელმწიფო აზიაში.



ნოდარ ლოლაშვილი,
ქ. თბილისის 48-ე საშუალო სკოლის მოსწავლე.

## ხატვის მოყვარულთათვის

აიღეთ ფერადი ფანქრები და ეს ნახაზი შემდეგნაირად გააფერადეთ: კვადრატებით აღნიშნული ნაწილები — ლურჯად, ჯვრებით აღნიშნულები — რუხად, სამკუთხედებით აღნიშნული — ცისფრად, წერტილებით აღნიშნულები — ყავისფრად, შვეული ხაზები — შავად, თოლიებით აღნიშნულები — მწვანედ, წრეხაზებით აღნიშნულები — ყვითლად (აგრეთვე — მზეც), ორმაგი ჰორიზონტალური ხაზებით აღნიშნულები — წითლად. აღუნიშნავი ნაწილები თეთრად დატოვეთ. თუ სწორად გააფერადებთ, მიიღებთ ლამაზ ნახატს.

უფროსი ასაკის ბავშვებს სხვა დავალება გვძლევათ: სცადეთ გაუფერადებლად გამოიცნოთ, რა ხატია ამ სურათზე.



## გამოცანები

1. მას ჭილის ქუდი
ახურავს
ჩაყვითლებული ფერის,
მაღალ ფეხზე დგას,
-ცნობენ
მზისკენ ამაყი მზერით.

2. ცალთვალაა,
მოგაჩერდა,
— წკაპ! — რომ
გაიხმიანა,
თავის თავში შენი ლანდი
მოაქცია მთლიანად.

3. ისარი აქვს, მშვილდი
არა,
ის თავს ისრით იცავს,
როცა ვინმე შეეხება, —
მაშინ ისვრის ისარს.

გ. შეთეკაური.



## შარადა

გახლავთ ცისფერთვალება,
სურნელებით განთქმული,
იმ ყვავილით იწყება
„დედაენა“ ქართული.
ჰოდა, მისი მიგნება
თუ არ გაგიჭირდება,
მერე დაპურებული
ჯეჯილილა გვჭირდება, —
დასაწყისი თანხმოვნის
შეცვლა არის საჭირო,
მარად მწვანე მცენარის
წინა ბგერით, ყმაწვილო.
ანბანიდან მეექვსე
ასოც იცი ნამდვილად,
შეკრებამდე მათ შორის
ჩაუმატებ ადვილად.
გონივრულად შარადას
ვინც კი დაუფიქრდება,
გამოიცნობს უმალვე,
რა სიმღერაც იქნება.

## ამოცანა

ცოდნის ჩაუქრობ ჩირაღდნად
და გულის გასახარადა,
ნაირნაირი წიგნებით
სავსე მაქვს ორი კარადა.
ათას ას თექვსმეტს შეადგენს
ორივეს ტომთა ნაკრები.
მეორე კარადაშია
პირველზე სამჯერ ნაკლები.
რამდენი არის თითოში,
იანგარიშოთ ეგება,
რომელიც უცებ მიხვდება,
დაიმსახურებს შექებას.

შ. ამირანაშვილი.

## პასუხი № 9-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე“

### კროსჩაინვორდი

1. „ავრორა“; 2 აკორდი; 3. იამაიკა; 4. აღანი; 5. იდეა; 6. არენა; 7. აბრა; 8. ავტოგრაფი; 9. იმიტაცია; 10. ალვა; 11. ატმოსფერო; 12. ორბი; 13. იახტა; 14. ანეკდოტი; 15. „ივერია“; 16. არტისტი; 17. იმედი; 18. ირისი; 19. იაგო; 20 ორაგული; 21. ია; 22. ანტარქტიდა; 23. ამფიბია.



ცხოველები იცინიან



ფოტოეტიუდები
რ. რუკაიანისა